წელიწადი მეცხრე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტროქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 26 ივლისი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 169 (251)

დღიური

- სამხრეთ - სლავიის პროტესტი იუნგის გეგმის წინააღმდეგ
- სპარსეთის პრესა ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ
- „საბჭოთა ფრთები“-ს საზეიმო შეხვედრა რომში.—სპეციალისტები სარეკორდოთ თვლიან საბჭოთა ავიაციის მიღწევებს
- ინგლისის ტრანსპორტელთა კავშირი მაკდონალდისაგან მოითხოვს საარჩევნო დაპირებების შესრულებას
- ბრიუსელში (ბელგია) დემონსტრანტებმა ჩალეწეს ჩინეთის საელჩოს ფანჯრები
- გადადგა ინგლისის უმაღლესი კომისარი ეგვიპტეში ლორდი ლლოიდი
- საფრანგეთის სამხედრო აეროპლანის დაღუპვა

ყველა მშრომელმა უნდა მოაწეროს ხელი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციისა და საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრს

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია მე-16 პარტკონფერენციის მიერ მიღებული სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე, მოითხოვს მთელი ქვეყნის ფინანსიურ შესაძლებლობათა უდიდეს დაჭიმვას, აგრეთვე ახალი და ახალი სახსრების გამონახვას საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების აქტიური მატერიალური დახმარების საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ცაკმა დაადგინა გამოუშვას ინდუსტრიალიზაციის ახალი მე-3 სესხი. ეს სესხი თავისი სიდიდით ორივე წინა სესხს სჭარბობს. მორიგი სესხი გამოშვებული იქნება 750 მილიონი მანეთის რაოდენობით.

როგორც პირველი, ისე მეორე სესხის პრაქტიკამ ნათლად გვიჩვენა, რომ პარტიულ, კომკავშირის და საბჭოთა ორგანიზაციების საჭირო აქტივობით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი სისტემის ხელშეწყობით და მშენებლობის შემოქმედებითი ენტუზიაზმით გამსჭვალული მუშათა კლასის აქტიური დახმარებით, ამ სესხის 750 მილიონი მანეთის ფარგლებში განაღდების ამოცანის განხორციელება სავსებით შესაძლებელია.

მთავარი პასუხისმგებლობა ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის წარმატებით განაღდებისათვის პირველ რიგში პარტიისა და კომკავშირის წევრებს ეკისრება.

მე-3 სესხის რეალიზაციის კამპანიაში საჭიროა აღრიცხულ იქნას წინა სესხების გამოცდილება. ორივე ამ სესხით შეგროვილი თანხები ამჟამად უკვე დაეწყვენ ახალ აგურებად დიდი სოციალისტური მშენებლობის შენობაში.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, ამასთან ერთად ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის კიდევ უფრო გამტკიცება მოითხოვს ახალ, უფრო დიდ ხარჯებს.

მიუხედავად მუშათა მასების იმ საერთო აღტკინებისა და მათი სურვილისა, რომ ფინანსიური დახმარება აღმოეჩინათ თავიანთი პროლეტარული სახელმწიფოსათვის, რასაც ადგილი ჰქონდა ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაციის დროს, არა თუ სოფლად, არამედ ქალაქადაც უეჭველად დარჩნენ მშრომელთა ზოგიერთი ისეთი ფენები, რომლებსაც ეს ტალღა საკმაოდ არ შეეხო.

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის ჩვენი შინაური ძალებით სრული განხორციელების აუცილებლობა მთელი სიგრძე - სიგანით სვამს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსიური დახმარების საკითხს. ამიტომ საჭიროა ყოველ მშრომელს შევაძლიოთ ახალი სესხის ობლიგაცია.

მოწოდება მესამე სესხის შესახებ მიმართულია როგორც ქალაქის, ისე სოფლის მშრომელი მასებისადმი, მაგრამ სოფელი ჯერ ნაკლებ არის ჩაბმული ჩვენს შინაურ სესხებში.

სოფლის მეურნეობის საერთო აღორძინების, სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის გაფართოების, ზოგიერთ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებზე ფასების ნაწილობრივ გადიდების შემდეგ, სოფელი უკვე იღებს დამატებით თანხებს. მხოლოდ ეს გარემოებაც საკმაოდ აფართოებს თანხების დაგროვებას წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობებში. საჭიროა ფართოდ განუმარტოთ გლეხობას, რომ მესამე სესხი გამოშვებულ იქნება ფინანსების მისაწოდებლად კაპიტალური მშენებლობისათვის არა მარტო მრეწველობაში, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობაში.

სესხის რეალიზაციის დროს, განსაკუთრებით სოფლად, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივმართოთ იძულების მეთოდებს, პირიქით, საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ სესხის იძულებით გავრცელების შემთხვევებს, რადგან ბრძოლა ამგვარ დამახინჯებასთან მთავარ პირობას წარმოადგენს სესხის წარმატებით რეალიზაციისათვის.

ამ სესხის რეალიზაციასთან ერთად, საჭიროა ენერგიული აგიტაცია გავაჩაღოთ **წინანდელი სესხების ობლიგაციების შესანარჩუნებლად. პარტიის და კომკავშირის წევრებმა ამ მხრივ მაგალითი უნდა მისცენ უპარტიოთა მასების ფართო ფენებს.**

ჩინელი მილიტარისტების მორიგ პროვოკაციას მშრომელმა მასებმა უკვე გასცეს ღირსეული პასუხი, რაიც გამოიხატა იმაში, რომ მთელი კავშირის მშრომელნი ერთსულოვნად მოითხოვენ ინდუსტრიალიზაციის ახალი სესხის გამოშვებას. ჯერ კიდევ მთავრობის გადაწყვეტილებამდე საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების და სამრეწველო რაიონების მუშებმა საკუთარი ინიციატივით ჩაატარეს ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის ახალ სესხზე. მესამე სესხზე ხელის მოწერის კამპანია უნდა გადაიქცეს იმის დემონსტრაციად, რომ ჩინეთის ხალხის ჯალათების ავაზაკური თავდასხმის საპასუხოდ მუშათა კლასი სრულ ნდობას უცხადებს და ეხმარება თავის სახელმწიფოს.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის კიდევ უფრო გაძლიერების და პროლეტარული სამშობლოს საზღვრების დაცვის ლოზუნგებით უნდა ჩატარდეს ფართო კამპანია იმ დიდი სესხის რეალიზაციისათვის, რომელსაც საბჭოთა მთავრობა უშვებს.

დეე, იცოდნენ საბჭოთა კავშირის მტრებმა, რომ მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს მშრომელებმა ჩინელი მილიტარისტების იმპერიალისტურ გამოლაშქრებას უპასუხეს თავიანთი რიგების კიდევ უფრო მეტად დარაზმვით პროლეტარული რევოლიუციის დროშის ირგვლივ, უპასუხეს ფინანსიური დახმარებით თავდაცვისათვის, რასაც მოწმობს მოთხოვნა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვების შესახებ.

თბილისის კომიტეტის პლენუმი წინადადებას იძლევა პარტიის და კომკავშირის ყველა ორგანიზაცია დაუყოვნებლივ შეუდგეს უაღრესად ფართო კამპანიას უპარტიო მშრომელ მასებს შორის გამოშვებული სესხის მნიშვნელობის ახსნა-განსამარტებლად, მიიღოს მთელი რიგი კონკრეტული ზომები სესხის რეალიზაციისათვის პროფკავშირების წევრთა შორის, გამოიყენოს ამისათვის აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა სახე.

სოფლად სესხის რეალიზაციის საქმეში ჩაბმულ უნდა იქნას მთელი სოფლის საზოგადოებრივობა, რეალიზაციის კამპანიის ირგვლივ უნდა დაირაზმონ ღარიბ და საშუალო გლეხთა, სასოფლო-სამეურნეო მუშათა და სხვ. ფართო ფენები.

პროფესიონალურმა, საბჭოთა, კოოპერატიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური ენერგია უაღრესად სერიოზული და უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანის, მესამე სესხის რეალიზაციის საქმეში.

საჭიროა ფართოდ შემოღებულ იქნას შეჯიბრება ფაბრიკებსა და ქარხნებს შორის, დაწესებულებებს შორის კოლექტიური ხელმოწერის უსწრაფეს გატარებაზე, მთელ საწარმოს, მთელი დაწესებულების მუშაკთა ასი პროცენტით ხელმოწერაზე.

პრესამ, როგორც აგიტაციის უძლიერესმა საშუალებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სესხის რეალიზაციის კამპანიას.

ამავე დროს ყველა პარტიულმა, კომკავშირულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ უნდა დაიწყოს მოსამზადებელი მუშაობა „ინდუსტრიალიზაციის დღის“ გასამართავად 20 სექტემბერს, ბაქოს 26 კომუნარის დაღუპვის დღეს. საჭიროა განხორციელებულ იქნეს პროფკავშირის ყველა წევრის, ყველა მშრომელის მონაწილეობა ინდუსტრიალიზაციის დღეში.

პროფკავშირის არც ერთი წევრი არ უნდა დარჩეს ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ობლიგაციის შეუძენლად!

არ უნდა დარჩეს არც ერთი ისეთი გლეხური მეურნეობა, რომელიც ხელს არ მოაწერს ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხს.

გავიღოთ ერთი თვის ხელფასი ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხისათვის.

მე-3 სესხზე ხელის მოწერის დროს აუცილებლად შევინარჩუნოთ წინა სესხების ობლიგაციები.

100 პროცენტით გავანაღდოთ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი.

საქართველოს ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

ჩვენი ბიუჯეტის სამეურნეო მნიშვნელობა (კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებისაგან განსხვავებით, რომელთაც უმთავრესად ადმინისტრატიული და სამხედრო მნიშვნელობა აქვთ) ხდის მას საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იარაღად—სახალხო შემოსავლის დაგროვებისა და განაწილების იარაღად. ამიტომ ბუნებრივია, რომ ბიუჯეტში გამოხატულებას პოულობს ჩვენი სინამდვილის ყველა სამეურნეო ამოცანა, კერძოდ, ის ამოცანა, რომ სოციალისტურ მშენებლობის ინტერესებისათვის გამოყენებულ იქნან მოსახლეობის წვრილმანი დანაზოგი თანხები.

ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენ თანდათან მეტი წარმატებით ვახერხებთ ამ ამოცანის განხორციელებას. ამას ცხადად მოწმობენ ჩვენი სახელმწიფო კრედიტის არა მარტო რაოდენობითი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებელნიც. თუ ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ვალი სულ 657,2 მილიონ მანეთს შეადგენდა, ამჟამად მან უკვე 2 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. თუ სამი წლის წინად ჩვენი სესხების ობლიგაციების პატრონთა რიცხვი სულ რაღაც რამდენიმე ასი ათას კაცს უდრიდა, ამჟამად ეს რიცხვი 17 მილიონს სჭარბობს. თუ ამიტომ ამ სამი წლის წინად ზოგიერთი ჩვენი სახელმწიფო სესხი 17 და მეტ წლიურ პროცენტს მოითხოვდა, ამჟამად მოსახლეობისაგან მიღებული კრედიტი სახელმწიფოსაგან მოითხოვს მხოლოდ 10—11 წლიურ პროცენტს.

ეს ციფრები ცხადად მოწმობენ ერთის მხრივ ჩვენი სახელმწიფო კრედიტის ბაზისის გაფართოებას, რაც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მოხდა, ხოლო მეორეს მხრივ ჩვენი ფინანსიური მეურნეობის განუწყვეტელ განმტკიცებას..

ამ გაფართოებასა და განმტკიცებაში გადამჭრელი როლი ითამაშა მუშათა, მოსამსახურეთა და მშრომელი გლეხობის ფართო მასების აქტივობის ზრდამ. ამაში უდიდესი მნიშვნელობა (პარტიის ხელმძღვანელობით საფინანსო ორგანოების, პროფკავშირებისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის მიერ ჩატარებულ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობასა და საბჭოთა ფინანსებისადმი მოსახლეობის ნდობის ზრდასთან ერთად) ჰქონდა სახელმწიფო სესხების ხასიათს. ამ სესხებს ჩვენი სახელმწიფო მთლიანად და სავსებით იყენებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, ჩვენი სამეურნეო ძლიერების განმტკიცების და მშრომელთა ფართო მასების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის აწევის მიზნებისათვის, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციის წარმატებით განხორციელებასთან.

სახელმწიფო სესხების ამ მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო დანიშნულებას საკმაოდ ნათლად ასურათებს მათი როლი სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდების საქმეში. ასე, მაგალითად, შარშან სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მისაწოდებლად გადადებულ ასიგნობათა საერთო თანხიდან—ერთ მილიარდნახევარ მანეთზე მეტიდან—ამ მიზნებისათვის სახელმწიფო სესხების რეალიზაციით მიღებული თანხა შეადგენდა 706,5 მილიონ მანეთს. ხოლო თუ ამ თანხიდან გამოვაკლებთ 299 მილიონ მანეთს, რაც დასჭირდა კრედიტს, მთელ სისტემაში გაწეულ ხარჯებს, რჩება 407,5 მილიონი მანეთი, ანუ სახალხო მეურნეობისათვის ბიუჯეტით გადადებული მთელი თანხების მეოთხედი. მიმდინარე წელს სესხების როლი უფრო გაიზარდა: საბიუჯეტო გეგმის თანახმად, სესხებმა უნდა მოგვცენ 800 მილიონი მანეთი წმინდა შემოსავალი. სახელმწიფო სესხებით მიღებული შემოსავალი თითქმის სანახევროდ დაფარავს მიმდინარე წლისათვის მრეწველობაში ნავარაუდევ მთელ კაპიტალურ სამუშაოთა თანხას—1.659 მილიონ მანეთს. ამრიგად, ამჟამად კაპიტალურ მშენებლობას მრეწველობაში ფინანსები სანახევროდ იმ თანხების ხარჯზე ეძლევა, რაც სახელმწიფო სესხების საშუალებით იკრიფება. მარტო ეს ფაქტიც საკმაოდ აშკარად მეტყველებს იმ უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ, რომელსაც თამაშობს სახელმწიფო კრედიტი სოციალისტურ მშენებლობაში. მიმდინარე წელს სახელმწიფო კრედიტის როლი გაიზარდა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის წარმატების მეოხებით. ამ სესხზე ხელი მოაწერა მუშა და მოსამსახურეთა 83 პროცენტმა, ხოლო ამ სესხით განაღდებული თანხა შეადგენს თვიური სამუშაო ხელფასის მთელი ფონდის 74 პროცენტს.

მაგრამ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის დროს იყო სუსტი ადგილი—მუშაობა ამ სესხის გასავრცელებლად სოფლად. გლეხობაში ეს სესხი მხოლოდ 40 მილიონი მანეთის რაოდენობით განაწილდა; რაც სრულებით არ შეეფერება სოფლად დაგროვილი ფულის რაოდენობას. არასაკმარი განაწილების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა სუსტი მუშაობა სესხის გასავრცელებლად სოფლად და ადგილობრივი ორგანოების არასაკმაო მობილიზაცია სახელმწიფო კრედიტის საქმეში. ამ ნაკლის გამოსწორება უნდა შეადგენდეს იმ კამპანიის ცენტრალურ მომენტს, რომელიც უნდა მოეწყოს დღეს გამოქვეყნებულ დეკრეტის თანახმად გამოშვებული ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის განაღდებლად.

ამ სესხის გამოშვებას წინ უძღოდნენ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა და მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი რეზოლიუციები იმის შესახებ, რომ სასურველი და დროულია ახალი სესხის გამოშვება სახელმწიფო რესურსების გასაძლიერებლად, იმ რესურსების, რომელნიც გამოყენებულ უნდა იქნან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვის განმტკიცებისათვის, რაც მჭიდროდ დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციასთან. რეზოლიუციების უმრავლესობა გამოტანილ იქნა იმ დღეებში, როდესაც ჩინელი მილიტარისტები ბანდიტურად თავს დაესხნენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზას და, ამრიგად, ახალი სესხის გამოშვების მოთხოვნა წარმოადგენს პასუხს, რომელიც მოწმობს მთელი ჩვენი მუშათა კლასის მტკიცე სურვილს—იბრძოლოს სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად და საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარის განსამტკიცებლად.

ეს დემონსტრაცია, რაც მოწმობს იმას, რომ მუშათა კლასი იწონებს მთავრობის მოქმედებას, წარმოადგენს საუკეთესო საწინდარს ახალი სესხის წარმატებისა და პოპულიარობისათვის მუშათა და მოსამსახურეთა ფართო მასებში.

კამპანიის ლოზუნგი მუშათა შორის უნდა იყოს „ერთი თვის ხელფასი სესხისათვის“. მთელი მუშათა კლასი, პროფკავშირის ყველა წევრი და ყველა მშრომელი ერთსულოვნად უნდა გამოეხმაუროს დეკრეტს სესხის გამოშვების შესახებ.

სავარაუდო ანგარიშებიდან სჩანს, რომ კამპანიის ენერგიულად განვითარებით ჩვენ შევსძლებთ გავანაწილოთ მუშათა და მოსამსახურეთა შორის ახალი სესხის 500 მილიონი მანეთის ობლიგაცია მაინც. მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტიურმა ხელმოწერამ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე მოგვცა 415 მილიონი მანეთი. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ მოვახერხებთ სავსებით ხელსაყრელად გადავჭრათ მუშათა და მოსამსახურეთა შორის 500 მილიონი მანეთის ობლიგაციების განაწილების ამოცანა.

სესხის დანარჩენი თანხა—250 მილიონი მანეთი ნავარაუდევია განაწილებულ იქნას გლეხობაში და ქალაქის შეუკავშირებელ მოსახლეობაში (თავისუფალ პროფესიების პირნი, შინამრეწველნი, ხელოსანნი, ოჯახის დიასახლისები და სხვ.). ქალაქის შეუკავშირებელ მოსახლეობაში ნავარაუდევია განაწილებულ იქნას იმდენივე ობლიგაცია, რამდენიც განაწილდა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის დროს, ე. ი. 50 მილიონი მანეთი, ხოლო დანარჩენი 200 მილიონი მანეთი განაღდებულ უნდა იქნას გლეხობაში.

ამ ამოცანის შესრულება გულისხმობს, რომ 10-12 მილიონი გლეხური მეურნეობა შეიძენს საშუალოდ 16—20 მანეთის ობლიგაციას კომლზე. 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის კი სახელმწიფო ვალის საშუალო თანხა მოსახლეობის სულზე შეადგენდა სულ 8,7 მანეთს, აქედან ქალაქის მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა დაახლოვებით 18 მანეთი, ხოლო სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე 1 მან. 30 კაპ.

ეს ციფრები მოწმობენ, რომ ჩვენ სრულიად არასაკმაოდ გამოვიყენეთ სესხების საშუალებით სოფლის მოსახლეობის დანაზოგი თანხები. მესამე სესხით დასახული ამოცანა სავსებით რეალურია, მისი შესრულება შესაძლებელია და იგი კიდევაც უნდა გადაიჭრას.

ძირითად პირობას ამისათვის წარმოადგენს სოფლის ფართო საზოგადოებრივობის ჩაბმა სააგიტაციო-საპროპაგანდო კამპანიაში სესხის გასავრცელებლად და ყველა ადგილობრივ ორგანოს ინტენსიური მუშაობა სესხის განაღდებლად გლეხობის შორის. საქმის ენერგიულად გაშლით და სწორი, შეუსუსტებელი პარტიული ხელმძღვანელობით მუშაობა სათანადო ნაყოფს გამოიღებს, და ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეს, რომელთანაც დაკავშირებულია თავდაცვის უნარის განმტკიცება და ფართო მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება, მიეცემა ახალი უდიდესი სტიმული წინსვლისათვის.

„პრავდა“, 25 ივლისი.

თეთრგვარდიელ ბანდიტთა ბანდის დაპატიმრება ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე

ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში საშინელი ტერორი გამეფდა 1-ლ აგვისტოს მოლოდინში

საფრანგეთის მთავრობამ გასცა განკარგულება კომპარტიის ცეკას წევრების დაპატიმრების შესახებ

მაკდონალდის მთავრობის შრომის მინისტრმა პოლიციის საშუალებით გარეკა უმუშევართა დელეგაცია

თეთრგვარდიელ ბანდიტების დახვრეტა

გაერთ. სახ. პოლიტსამმართველომ დააპატიმრა მანჯურიიდან საბჭოთა საზღვარზე გადმოსული თეთრგვარდიელი ბანდიტები, რომლებიც ჯაშუშურ ცნობებს აგროვებდნენ და ტერორისტული აქტების მოწყობა ჰქონდათ განზრახული. — გამოირკვა, რომ მათ აქტიურ დახმარებას უწევდა ჩინეთის ხელისუფლება. — მშრომელთა დაუძინებელი მტრები და ჩინელ მილიტარისტების მოკავშირეები დახვრეტილ იქნენ

ხაბაროვსკი, 24 ივლისი. ამ უკანასკნელ დღეებში, ჩინეთის ხელისუფლების პირდაპირი დახმარებით რუს თეთრგვარდიელთა ემიგრაციის აქტივობის გაცხოველებამ საზღვარზე (ნაზაროვის შეიარაღებული ბანდის თავდასხმა ღამით 22 ივნისს სანაპირო პოსტზე ვლადივოსტოკის ოლქში, შეიარაღებულ ბანდის გადმოსვლა 12 ივნისს ჩიტას ოლქში ტერიტორიაზე, ცალკე შეიარაღებულ პირთა და ჯგუფთა შეპყრობა საზღვრის გადმოლახვის ცდის დროს და სხვ.) სავსებით დადასტურდა გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს განკარგულებაში მყოფი ცნობები, რომლებიდანაც სჩანს, რომ რუსი თეთრგვარდიელნი შეუდგნენ თავიანთი გადაწყვეტილების განხორციელებას: საბჭოთა ტერიტორიაზე გადმოსვლას აქტიური სადივერსიო და ტერორისტული მოქმედებისათვის ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი და ეკონომიური ცხოვრების დასარღვევად.

22 ივლისს ჩვენ საზღვარზე ზაბაიკალიეში გადმოსვლისას გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოებმა დააპატიმრეს თეთრგვარდიელნი: **რაზდობრეევი**, **ტარასკინი**, **ნეპომნიაშჩი** და სხვები. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ყუმბარებით და რევოლვერებით, თან ჰქონდათ დიდძალი ვაზნები. გამორკვეულია, რომ ბანდიტები გადმოვიდნენ ჩვენს საზღვარზე ჩინეთის ხელისუფლების დავალებით და სრული დახმარებით, იმ მიზნით, რომ ჩაედინათ დამაზიანებელი აქტები, აეფეთქებიათ რკინის გზის ხიდები, ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობები, მოეწყოთ ბანდები თეთრგვარდიელ კულაკურ ელემენტებისაგან და სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან. ამურის რაიონშიაც შეპყრობილ იქნენ რუსი თეთრგვარდიელნი, რომელნიც გადმოდიოდნენ საზღვარზე ანალოგიური მიზნით.

გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ 23 ივლისის სხდომაზე განიხილა შემდეგ თეთრგვარდიელთა და ბანდიტთა საქმეები:

დუგანოვი—აზნაური, ყოფილი პოლკოვნიკი, 1924 წლიდან მისდევდა ბანდიტობას, სისტემატიურად აწყობდა თავდასხმებს საბჭოთა ტერიტორიაზე,—შეპყრობილ იქნა, როდესაც არალეგალურად გადმოდიოდა საზღვარზე სადივერსიო და ტერორისტული მიზნებით (დუგანოვი დაკავშირებული იყო ჩინელთა ჯარის შტაბთან მუკდენში, ამ შტაბმა იგი ჯერ კიდევ 1926 წელს გაანთავისუფლა სახალინის საპყრობილედან, სადაც იგი დააპატიმრეს საბჭოთა მთავრობის მოთხოვნით ბანდიტური მოქმედებისათვის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე); **ბაშკიროვი**—ჩინეთის ჯარის შტაბის დავალებით თეთრგვარდიელებისაგან აწყობდა რაზმებსა და ჯგუფებს ჩვენს ტერიტორიაზე შეიარაღებული გამოსვლის მოსაწყობად, მეთაურობდა მონარქისტულ ორგანიზაციას; **პერმინი**—კოლჩაკის არმიის ყოფილი პორუჩიკი, შემოვიდა საბჭოთა კავშირში ტერორისტული მიზნით; **აპლინი**—დიდი ვაჭარი—კონტრაბანდისტი და ფაშისტური ორგანიზაციის წევრი; **მატვეევი**—მრავალი ბანდიტური გამოსვლის მონაწილე მდინარე ამურზე; **მუგანცევი**—ყოფილი თეთრი ოფიცერი, შემოვიდა საბჭოთა კავშირში სადივერსიო და ტერორისტული აქტის ჩასადენად; **სერგიენკო**—სემიონოვის არმიის ოფიცერი—მოხალისე, მერკულოვის არმიის დამსჯელი ექსპედიციის მონაწილე, ხორვატის მონარქისტული ორგანიზაციის წევრი, გადმოვიდა საბჭოთა ტერიტორიაზე ტერორისტული მიზნით, **დერევიანკინი** და **ზუევი**—იმავე ორგანიზაციის წევრი; **ვოლოკიტინი**—თვალსაჩინო მონაწილე ელკინის ბანდისა, რომელსაც ჩინეთის ხელისუფლება აწვდიდა სახსრებს, არა ერთხელ იღებდა მონაწილეობას ბანდიტურ თავდასხმებში ჩვენს ტერიტორიაზე; **რაზდობრეევი**—შეპყრობილ იქნა მაშინ, როდესაც მესამედ გადმოდიოდა სახელმწიფო საზღვარზე თეთრგვარდიელებისა და იმ კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციის თვალსაჩინო მოღვაწეების დავალებით, რომელსაც მეთაურობს ყოფილი პოლკოვნიკი **ნაზაროვი**, პარიზიდან ხარბინში ჩასული თეთრგვარდიელთა პარტიზანული რაზმების მოსაწყობად, ჩვენს ტერიტორიაზე შეიარაღებული თავდასხმების, ტერორისტული აქტების და სხვ. მოხდენის მიზნით (რაზდობრეევს დავალებული ჰქონდა მოეწყო ზაბაიკალიეში ნაზაროვის ორგანიზაციის უჯრედები. თითონ ნაზაროვი მუშაობს ჩინეთის ხელისუფლების სრული დახმარებით); **ტარასკინი**, **ბონდარევი** და **ნეპომნიაშჩი**—ნაზაროვის ორგანიზაციის წევრი; **სლეპცოვი**—ამურზე მომხდარი ბანდიტური თავდასხმების მონაწილე და ფაშისტური ორგანიზაციის წევრი.

გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ დაადგინა—**ყველა ზემოთჩამოთვლილი პირი დახვრეტილ იქნას. განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში.** (ადს).

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

„დეილი ჰერალდ“-ი კმაყოფილებას გამოსთქვამს

ლონდონი, 24 ივლისი. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ“-ი კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობამ დასთანხმდა ჰენდერსონის წინადადებას—გაგზავნოს ლონდონში მოსალაპარაკებლად თავისი წარმომადგენელი.

გაზეთი სწერს:

„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მომავალი მოლაპარაკება ჰენდერსონსა და დოვგალევსკის შორის ნაყოფიერი იქნება“.

კონსერვატიული „ივნინგ სტანდარტ“-ი სწერს:

„საბჭოთა ნოტა წარმოადგენს მეტად საინტერესო დოკუმენტს, რომელიც გვიჩვენებს, რომ დიპლომატიაში მოსკოვს არ სჭირდება რაიმეს სწავლება დასავლეთ ევროპისაგან“.

მაკდონალდის მთავრობა აგუჯად მდევს მუშებს

უმუშევართა დელეგაცია პოლიციის საშუალებით გარეკეს შრომის სამინისტროდან

ლონდონი, 24 ივ. შრ. მინსტ. მარგარიტა ბონფილდმა უარი განაცხადა უმუშევართა დელეგაციის მიღებაზე იმ საბაბით, რომ „ამას არ მოჰყვება რაიმე სასარგებლო შედეგი“. მიუხედავად ამისა, უმუშევართა დელეგაცია, რომელიც 13 კაცისაგან შესდგებოდა, გამოცხადდა შრომის სამინისტროში და მოითხოვა მიღება. სამინისტროს მოხელეებმა განუცხადეს, რომ ბონფილდს არ სურს დელეგაციის მიღებაო. დელეგაციის მონაწილეებმა უპასუხეს—ისინი არ გავლენ სამინისტროდან იმ დრომდე, სანამ მათ მინისტრი არ მიიღებს. მაშინ მოხელეებმა გამოიწვიეს პოლიცია. გამოცხადდა პოლიციელთა ძლიერი რაზმი, რომელმაც ძალით გაიყვანა დელეგაცია. (ადს).

კვლავ „მშვიდობიანობა მრეწველობაში“

ლონდონი, 24 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ვაჭრობის მინისტრმა გრეჰემმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობა შემოდგომაზე შემოიტანს კანონპროექტს სამუშაო დღის ხანგრძლივობისა და მუშაობის სხვა პირობების შესახებ ქვანახშირის მრეწველობაში. კანონპროექტის შეტანამდე მთავრობას თათბირი ექნება სამთა-მადნო მუშათა სრულიად ინგლისის ფედერაციასთან და მაღაროების პატრონებთან განზრახული კანონპროექტის შინაარსის შესახებ“. (ადს).

მუშები მოითხოვენ მაკდონალდისაგან დაპირებების შესრულებას

მემაღაროეთა ფედერაციის სრულიად ინგლისის კონფერენცია

ლონდონი, 24 ივლისი. შესდგა მემაღაროეთა ფედერაციის სრულიად ინგლისის კონფერენციის დახურული სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება მთავრობის წინადადებათა შესახებ. ეს წინადადება შეეხებოდნენ მაღაროებში სამუშაო დღის ხანგრძლივობას, სხდომას არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანია. ხვალ კვლავ შესდგება კონფერენციის დახურული სხდომა. როგორც იუწყებიან, აღმასკომმა ურჩია კონფერენციას—არ იჩქაროს და არ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მუშათა პარტიის მთავრობის მდგომარეობას. (ადს).

ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის კონფერენცია

ლონდონი, 24 ივლისი. ტრანსპორტის არაკვალიფიციურ მუშათა კავშირის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას. შემდეგ რეზოლიუცია მოითხოვს რეინის ოლქიდან უცხოეთის ჯარის გაყვანას. კონფერენციამ ერთხმად მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ მოსთხოვოს მთავრობას პროფკავშირთა წინააღმდეგ კანონის გაუქმება. (ადს).

მზადება წითელი დღისათვის

მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის ავსტრიის სექციის მიმართვა

ვენა, 24 ივლისი. ავსტრიის კომუნისტური პარტიის ორგანოში „როტე ფანე“-ში მოთავსებულია მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის ავსტრიის სექციის მიმართვა, რომელიც მოუწოდებს მშრომელებს—გამოაცხადონ პირველ აგვისტოს საპროტესტო გაფიცვა და მოაწყონ მასიური დემონსტრაციები იმპერიალისტური ომის საფრთხის და ფაშიზმის წინააღმდეგ და პროლეტარული სამშობლოს—საბჭოთა კავშირის დასაცავად.

მოწოდებას ხელს აწერენ მემარცხენე ინტელიგენციის წარმომადგენელნი, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წევრები, კომუნისტები და სოციალ-დემოკრატები. (ადს).

საბჭოთა კავშირის დასაცავად

ვენა, 24 ივლისი. რუმინეთის უნიტარული (რევოლიუციონური) პროფკავშირების ორგანო „ვიაცა მუნჩიტოარე“ სწერს, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული იმპერიალისტური ინტერვენციის დასაწყისია. საერთაშორისო წითელი დღე რუმინეთში უნდა ჩატარდეს რუმინეთის მშრომელი მასების გადამჭრელი ბრძოლის ნიშან ქვეშ. იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. (ადს).

პოლიციის ტერორი პირველ აგვისტოს წინ

განკარგულება საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრთა დაპატიმრების შესახებ

პარიზი, 24 ივლისი. გაზეთების ცნობით, მთავრობამ ბრძანება გასცა —დააპატიმრონ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრი, მათ რიცხვში პოლიტბიუროს მდივანი ფერა და კომუნისტ-დეპუტატები დიუკლო და კორნავენა. მათ ჰბრალდებათ პირველ აგვისტოს რევოლიუციონური დღის მოწყობაში აქტიური მონაწილეობის მიღება. გაჩხრიკეს კომკავშირის მდივნის გალოპენის და უნიტარული პროფკავშირის მდივნების რაკამონის და სელარის ბინები, მაგრამ თვითონ ისინი პოლიციას სახლში არ დახვდნენ.

„ლიბერტე“ სწერს, რომ პოლიცია მეტ წილად ვერ ახერხებს დასაპატიმრებელი პირების შეპყრობას, რადგან ისინი თავის დროზე ასწრებენ მიმალვას; მაგრამ მათ მალე შეიპყრობენ. (ადს).

ჩხრეკა და დაპატიმრება გრძელდება

პარიზი, 24 ივლისი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, დააპატიმრეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის და უნიტარული პროფკავშ. მრავალი ხელმძღვანელი, შრომის უნიტარულ კონფედერაციაში მოხდა ჩხრეკა. წაიღეს მრავალი საბუთი. (ადს).

პარიზი, 24 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„მთელი ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა კომუნისტების ჩხრეკა. პოლიციამ წაიღო მრავალი დოკუმენტი და სამი რევოლვერი. დააპატიმრეს შრომის უნიტარული კონფედერაციის გენერალური მდივანი დიუდილი. (ადს).

ჩხრეკა ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პრაღა, 24 ივლისი. პოლიცია შემოერტყა ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შენობას და მოახდინა ჩხრეკა, რომელმაც 2 საათს გასტანა. პოლიციამ გასტეხა დაკეტილი მაგიდები და განჯინები. მთელი მიწერ-მოწერა და დაბეჭდილი მასალა, რომელიც შენობაში აღმოჩნდა, პოლიციამ თან წაიღო. მათ გადასაზიდად საჭირო გახდა საბარგო ავტომობილების დაბარება. (ადს).

ყოველკვირეული ორგანოების „დელნიცი ტელოვიხოვა“-სა და „კრონიკა“-ს აკრძალვა

პრაღა, 24 ივლისი. ყველა ყოველდღიური კომუნისტური გაზეთის დახურვის შემდეგ ჩეხო-სლოვაკიის ხელისუფლების ორგანოები შეუდგნენ კომუნისტური ყოველკვირეული ჟურნალების დახურვას. 6 თვის ვადით აკრძალულ იქნა პროლეტარულ-გიმნასტიურ საზოგადოებათა ყოველკვირეული ორგანო „დელნიცი ტელოვიხოვა“ და მეორე ყოველკვირეული ორგანო „კრონიკა“ (ადს).

სოფიაში პირველ აგვისტოს ჩატარება აკრძალეს

ვენა, 24 ივლისი. სოფიიდან მიღებული ცნობის მიხედვით, პოლიციის უფროსმა და ქალაქის კომენდანტმა გამოსცეს ბრძანება, რომლითაც 1 აგვისტოს აკრძალულია მუშათა ყოველგვარი კრების გამართვა. ბრძანება იმუქრება, რომ დაპატიმრებული იქნება პირველი აგვისტოს დემონსტრაციის ყოველი მონაწილე. სახელმწიფო და კერძო საწარმოებს ებრძანათ, აცნობონ პოლიციას იმ მუშების სია, რომლებიც 1 აგვისტოს არ გამოცხადდებიან სამუშაოდ. ქალაქის მოსახლეობას წინადადება ეძლევა, არ გამოვიდეს, ქუჩებში დემონსტრაციის დროს (ადს).

მუშების მასიური დაპატიმრება

ვენა, 24 ივლისი. როგორც ზაგრებიდან იუწყებიან, ოსიეკში (ხორვატია) გრძელდება იმ მუშების მასიური დაპატიმრება, რომელთაც აბრალებენ სამხრეთ-სლავიის კომუნისტური პარტიის წევრობას. ოსიეკში ყველა საპყრობილე გაჭედილია დაპატიმრებულებით (ადს).

პროფინტერნის აღმასრულებელი ბიუროს მოწოდება

მოსკოვი, 25 ივლისი. საერთაშორისო წითელ დღესთან 1-ლ აგვისტოსთან დაკავშირებით, პროფინტერნის აღმასბიურომ მოწოდებით მიმართა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც პროფინტერნს ემხრობიან, და ყველა ქვეყნის მუშებს. მოწოდებაში ნათქვამია: „ახლოვდება 1-ლი აგვისტო, ომისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო და მძლავრი დემონსტრაციის დღე, ის დღე, როდესაც ყველა ქვეყნის მუშები გამოვლენ ქუჩაში და გაბატონებული კლასების გასაგონად გადიძახიან ბრძოლის მძლავრ ლოზუნგს: „ძირს იმპერიალისტური ომი“. პირველი აგვისტო იქნება რევოლიუციონურ ძალთა შემოწმების დღე, ეს იქნება დღე მუშათა კლასის მძლავრი მასიური გამოსვლებისა ომის საფრთხისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს იქნება დღე საერთაშორისო ერთდღოული გამოსვლისა ომის გამომწვევთა და მათი სოციალ-დემოკრატიული თანაშემწეების წინააღმდეგ. აი ამიტომ ყველა ორგანიზაცია, რომელიც პროფინტერნს ემხრობა, ყველა მუშა, რომელიც რევოლიუციონური და კლასთა ბრძოლის თვალსაზრისზე სდგას, იმპერიალიზმის ყველა მტერი და საბჭოთა კავშირის ყველა მეგობარი უნდა გამოვიდეს 1-ლ აგვისტოს ქუჩაში და საქვეყნოდ ხმა-მაღლა განაცხადოს: „ძირს იმპერიალისტური ომი და მისი გამომწვევები! ძირს ჩინეთის გამყიდველი მილიტარისტები, ძირს სოციალ-დემოკრატები მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალებიდან! გაუმარჯოს ჩინეთის მშრომელი მასების ძმურ კავშირს საბჭოთა კავშირისა და მთელი ქვეყნის მშრომელებთან! გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის სოციალისტურ სამშობლოს—საბჭოთა კავშირს“!

რურის კომ. ორგანიზაციების მუშაკთა კონფერენცია

ბერლინი, 24 ივლისი. ესენში მოხდა გერმანიის კომუნისტური პარტიის რურის ორგანიზაციის პარტმუშაკთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 500 დელეგატზე მეტი. გერმანიის კომუნისტური პარტიის და კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის დადგენილებათა და პროფკავშირებში წარმოებული მუშაობის შესახებ ძირითადი მოხსენებით გამოვიდა ორკერი. მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ბრძოლა იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ შეთანხმებული უნდა იყოს კომუნისტების მუშაობასთან საწარმოებსა და პროფკავშირებში. კონფერენციამ ერთხმად (თავი შეიკავა ერთმა დელეგატმა) მიიღო ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია სამხედრო საფრთხისა და პროფკავშირებში მუშაობის ტაქტიკის შესახებ.

გუვერის განცხადება

ვაშინგტონი, 24 ივლისი. პრეზიდენტმა გუვერმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ მას განზრახვა აქვს დანიშნოს განსაკუთრებული კომისია, რომელიც განიხილავს სამხედრო ხარჯების შემცირების საკითხს. გუვერი აღნიშნავს, რომ ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების ხარჯები არმიისა და ფლოტისათვის აღემატება სხვა სახელმწიფოთა ხარჯებს. გუვერი აცხადებს, რომ საჭიროა, შეძლებისდაგვარად, ხარჯების ამ დონეს შენარჩუნება, „სათანადო მომზადების სავსებით დაცვით“.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ გუვერის ამ განცხადების მიზანია აღნიშნოს პაციფისტური ხასიათი მომავალ ცერემონიისა, რომელიც დაკავშირებულია კელოგის პაქტის ძალაში შესვლასთან.

ლორდ ლოიდის გადადგომა

ლონდონი, 24 ივლისი. თემთა პალატაში ჰენდერსონმა შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს განაცხადა, რომ სამსახურიდან გადადგა ინგლისის უმაღლესი კომისარი ეგვიპტეში ლორდი ლოიდი. გადადგომა მოხდა მთავრობის წინადადებით. პოლიტიკურ წრეებში ამან დიდი სენსაცია გამოიწვია, განსაკუთრებით იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სამსახურიდან გადადგომა მთავრობის წინადადებით მოხდა. პროგრესიული ელემენტები არ მალავენ თავის კმაყოფილებას, რადგან ლოიდი ბრიტანეთის იმპერიალიზმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მრისხანე ფიგურად და ახლო-აღმოსავლეთის პოლიტიკის სულის ჩამდგმელად ითვლებოდა.

მიუხედავად ამისა, საქმის კარგად მცოდნე წრეებში ლოიდის გადადგომა არ მიაჩნიათ იმის მაჩვენებლად, თითქოს ახლო მომავალში შეიცვლება ინგლისის პოლიტიკა ეგვიპტეში. კერძოდ თითქმის დაუჯერებლად მიაჩნიათ, რომ მაკდონალდის მთავრობას განზრახვა ჰქონდეს უარი სთქვას ეგვიპტის პრემიერ მაჰმუდ-ფაშასთან მოლაპარაკებაზე, რომლის წინააღმდეგ კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ეგვიპტის ნაციონალისტთა პარტია ვაფდი.

რეიტერის სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მწვავე უთანხმოებამ იჩინა თავი ლორდ ლოიდსა და კონსერვატიულ მთავრობას შორის. ეს უთანხმოება უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ძალაუფლება აიღო მუშათა პარტიამ, რომლის „პოლიტიკა ეგვიპტის საკითხში არ შეიძლება იყოს ნაკლებ ლიბერალური, ვიდრე წინანდელი მთავრობის პოლიტიკა“ (ადს).

მდგომარეობა ავღანისტანში

ლონდონი, 24 ივლისი. რეიტერის სააგენტო ინდოეთიდან იუწყება, რომ ხაბიბულას მთავრობა განაგრძობს მოსახლეობის გაწვევას ჯარში და გადასახადის ნარჩენების შეგროვებას.

ყანდაგარის ახალმა გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება, რომ მოსახლეობამ იარაღი გადასცეს ხელისუფლების ორგანოებს. მოსახლეობა პროტესტს აცხადებს ამ ბრძანების წინააღმდეგ. ყანდაგარის გარნიზონის ჯარები ქალაქის ქუჩებში დადიან. ფიქრობენ, რომ ხელისუფლება მდგომარეობის ბატონ-პატრონია. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვება

მოსკოვი, 25 ივლისი. მთავრობის გადაწყვეტილებით, გამოშვებული იქნება სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი 750 მილიონ მანეთის რაოდენობით, 10 წლის ვადით, 1929 წლის 1-ლ დეკემბრიდან 1939 წლის 1-ლ დეკემბრამდე. სესხი დანიშნულია ფაბრიკა-ქარხნების, რკინის გზებისა და ელექტრო-სადგურების ასაშენებლად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გასაუმჯობესებლად და სხ..

სესხი ორი სახისა იქნება: პროცენტიან-მომგებიანი — 250 მილ. მანეთის რაოდენობით და უპროცენტო-მომგებიანი—500 მილ. მანეთის რაოდენობით. ობლიგაცია ეღირება 50 მანეთი: ყოველი ობლიგაცია შესდგება ორი ნაწილისაგან, თითო 25 მანეთის ღირებულებისა, და 10 ნაწილისაგან — თითო 5 მანეთის ღირებულებისა.

10 წლის განმავლობაში მოხდება მოგებათა 38 ტირაჟი. პროცენტიან-მომგებიანი სესხით გათამაშებული იქნება 405.800 მოგება 84.512.000 მანეთის რაოდენობისა. ამ სესხით საშუალოთ 10 წლის განმავლობაში 12 ობლიგაციაზე ერთი მოგება მოვა. უპროცენტო მომგებიანი სესხით გათამაშებული იქნება 1.861.200 მოგება 380.096.000 მანეთის რაოდენობისა. საშუალოდ ათი წლის განმავლობაში ამ სესხით ყოველ ხუთ ობლიგაციას ერთი მოგება ხვდება. მოგებები იქნება 5.000 მანეთიანი, 1.000 მანეთიანი და 200 მანეთიანი.

სესხის რეალიზაცია დაიწყება 1929 წლის პირველ სექტემბერს და გაგრძელდება ქალაქებში 1929 წლის 1-ლ ოქტომბრამდე, ხოლო სოფლებში — 1-ლ დეკემბრამდე. ობლიგაციების შეძენა შეიძლება ნაღდზე ფულის გადახდით სამი თვის განმავლობაში. კოლექტიური ხელისმომწერნი ფულს ათი თვის განმავლობაში იხდიან. (ადს).

ამხ. ბრიუხანოვი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 25 ივლისი. საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ბრიუხანოვმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვების შესახებ განაცხადა შემდეგი:

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი წარმოადგენს ჩვენი ხუთწლიანი ფინანსიური გეგმის ორგანიულ ნაწილს. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი მეტად ხელსაყრელ პირობებში იქნება გამოშვებული. იმისათვის, რომ სესხის კამპანია წარმატებით იქნას ჩატარებული, საბჭოთა მშრომელი მოსახლეობა ფართოდ გაეცნოს ჩვენი სახელმწიფო ფონდის საკითხებს, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას გლეხკაცობაზე, ამ მიზნით დაუყოვნებლივ უნდა ჩავატაროთ პარტიულ და საბჭოთა მუშაკთა აქტივის მობილიზაცია, ამ საქმეში ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობს, რომ ჩვენ კიდევ სამეურნეო წლის დასასრულამდე შევძლებთ მივცეთ ბიუჯეტს მნიშვნელოვანი რაოდენობის თანხები, რომელიც საჭიროა მეურნეობის ფინანსიურ უზრუნველყოფისათვის.

სამხრეთ-სლავია იუნგის გეგმის წინააღმდეგ

ვენა, 24 ივლისი. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ თავისი პარიზელი და ლონდონელი ელჩების საშუალებით საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებს გადასცა ერთნაირი შინაარსის საპროტესტო ნოტები იუნგის გეგმის წინააღმდეგ. ნოტა აღნიშნავს, რომ, იუნგის გეგმით, სამხრეთ-სლავიის წილი სარეპარაციო გადასახადებში ძალიან შემცირებულია და მოითხოვს სამხრეთ-სლავიის მონაწილეობას სარეპარაციო საკითხებისათვის დანიშნულ პოლიტიკურ კონფერენციაში. ნოტა მოითხოვს აგრეთვე სამხრეთ-სლავიისათვის მთელი სარეპარაციო გადასახადების 5 პროცენტის უზრუნველყოფას (ადს).

„საბჭოთა ფრთები“-ს საზეიმო შეხვედრა რომში

რომი, 24 ივლისი. აეროპლანი „საბჭოთა ფრთები“ დაეშვა ლიტორიოს აეროდრომზე 18 საათსა და 20 წუთზე. ამრიგად მან პარიზიდან რომამდე 7 საათისა და 20 წუთის განმავლობაში გაიარა 1.260 კილომეტრი ანუ საშუალოდ საათში 173 კილომეტრი.

იტალიის ხელისუფლების წარმომადგენელნი აეროპლანს გულთბილად შეხვდნენ. აეროპლანს გარს შემოერტყა მრავალი ხალხი, რომელიც აღტაცებით მიესალმა მოსულთ. აეროდრომზე გამოცხადდნენ საბჭოთა ახალშენის წევრები საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის კურსკის მეთაურობით—გამოცხადდნენ აგრეთვე იტალიის სამოქალაქო და სამხედრო ავიაციის მრავალი წარმომადგენელი. იტალიის მთავრობის და ავიაციის სახელით მოსულებს მიესალმა ავიაციის მინისტრის ამხანაგი ბალბო (ადს).

საბჭოთა ავიაციის გამარჯვება.

რომი, 24 ივლისი. „საბჭოთა ფრთების“ მოფრენამ მთელი იტალიის პრესის ყურადღება მიიქცია. „საბჭოთა ფრთების“ გადაფრენას გაზეთები განსაკუთრებით გაბედულ ნაბიჯად სთვლიან, ვინაიდან მის მიერ გამოვლილი მარშრუტით ჩვეულებრივად მხოლოდ ჰიდროაეროპლანები დაფრინავენ. ამასთან ერთად გაზეთები აღნიშნავენ, რომ „საბჭოთა ფრთების“ გადაფრენა სისწრაფით შეიძლება შედარებულ იქნას ყველაზე განთქმულ გადაფრენებთან. გაზეთების აზრით, ეს მოწმობს საბჭოთა ავიაციის დიდ მიღწევებს და საბჭოთა მფრინავების დიდ ღირსებებს. (ადს).

საბჭოთა აეროპლანის მაღალი ღირსება

რომი, 24 ივლისი. პარიზიდან რომში შეუსვენებლად გადაფრენამ დაამტკიცა საბჭოთა თვითმფრინავის მაღალი ღირსება. რადგან ფრენა ხდებოდა მთებში და ზღვაზე, რაც მეტად ძნელია. საბჭოთა მფრინავების მიერ მიღწეული შედეგები სჭარბობენ ამერიკელ მფრინავების იანსის და ვილიამსის მიერ მიღწეულ შედეგებს, რაც გამოიხატა იმაში, რომ ისინი ამ დღეებში რომიდან პარიზში შეუსვენებლივ გადაფრინდნენ, საათში 144 კილომეტრის სისწრაფით. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„მორნინგ პოსტ“-ის მორიგი ანტისაბჭოთა პროვოკაცია

მოსკოვი, 25 ივლისი. „პრავდა“-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია წერილი სათაურით „ჩან-კაი-შის მოკავშირენი“. გაზეთი სწერს:

ინგლისის კონსერვატიული გაზეთი „მორნინგ პოსტ“-ი სენსაციის სახით ბეჭდავს ცნობას იმ საიდუმლო დოკუმენტების შესახებ, რომელნიც თითქოს აღმოჩენილ იქნენ ჩვენი საკონსულოს გაჩხრეკის დროს ხარბინში. დოკუმენტ № 2 თანახმად, სწერს „მორნინგ პოსტ“-ი, გამომუშავებული იყო გეგმა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მთელ ხაზზე წითელი ტერორის ჩასატარებლად. დოკუმენტ № 3 წარმოადგენს იმ კომუნისტურ ორგანიზაციების სიას, რომლებზედაც დაყრდნობით უნდა განეხორციელებიათ წითელი ტერორის ჩატარების ხსენებული გეგმა.

ასეთი აბდა-უბდის გავრცელების მიზანი აშკარაა, „ზინოვიევის წერილის“ აქ ახალი გამოცემით სურთ გაამართლონ ბანდიტური თავდასხმა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე. მაგრამ ეს ცდა, რომ დაუმალონ მშრომელებს საქმის ნამდვილი ვითარება, უნაყოფოა. მიღებულია ახალი ცნობები იმის შესახებ, რომ ჩინეთში მცხოვრები თეთრგვარდიელების ქაობი ჯერ კიდევ გაზაფხულიდან გამოცოცხლდა, მათ ამაში ხელს უწყობდნენ იმპერიალისტები და ჩინეთის რეაქციონერები.

განსაკუთრებულ აქტიობას იჩენენ თეთრგვარდიელები ჩრდილოეთ მანჯურიაში. ხარბინში ეწყობა გენერალ საველიევის პოლკი, სადგურ პოგრანიჩნაიაზე გაგზავნილია მატარებელი გენერალ სახაროვის ჯარებით, მაგრამ თეთრი არმიის ძალები მეტად მცირეა. ჩრდილოეთ მანჯურიაში ცხოვრობს სულ 70.000 თეთრგვარდიელი ემიგრანტი. აქედან მხოლოდ 4.000 კაცი ჩაეწერა მოხალისეთ ანტისაბჭოთა რაზმებში. თეთრგვარდიელთა ცალკე დაჯგუფებებს შორის დაუსრულებელი კინკლაობაა, მაგრამ ეს მაინც არ შეუშლის ხელს ზოგიერთ თეთრგვარდიელს დაესხას თავს ჩვენს ტერიტორიას.

საბჭოთა ექსპორტი იზრდება

მოსკოვი, 25 ივლისი. მთავარ საბაჟოში თქვენს კორესპონდენტს აცნობეს, რომ უკანასკნელ ცხრა თვის განმავლობაში საზღვარგარეთ გატანილ იქნა 516 მანეთის საექსპორტო საქონელი. თუ ამას შევადარებთ წარსული წლის ცხრა თვის ექსპორტის რაოდენობას, გამოვა, რომ უცხოეთში გაზიდულ საბჭოთა საქონლის რაოდენობა გაიზარდა 13 პროცენტით.

მოჯამაგირე ქალთა შორის მუშაობა საქართველოში სუსტია.

მოსკოვი, 25 ივლისი. „სელსკოხოზიაისტვენნაია გაზეტა“ ეხება მოჯამაგირე ქალთა შორის მუშაობას მოკავშირე რესპუბლიკებში და სწერს: საქართველოში, ისე როგორც მთელ რიგ სხვა რესპუბლიკებში, ცუდად არის დაყენებული მოჯამაგირე ქალთა პარტიაში გაერთიანების საქმე. **მთელ ამიერ-კავკასიაში პარტიის რიგებში ირიცხება მხოლოდ 38 მოჯამაგირე ქალი** იმნაირივე მდგომარეობაა მოჯამაგირე ქალთა კოოპერატიულად დარაზმვის მხრივ. **საქართველოს კოოპერატივებში მხოლოდ 33 მოჯამაგირე ქალია გაერთიანებული.** ქალთა შორის მუშაობის გაძლიერება, მშრომელ ქალთა აქტივის მომზადება სოფლად, სწერს გაზეთი, შეუძლებელია მოჯამაგირე ქალთა შორის მუშაობის გაცხოველების გარეშე.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინეთი და საბჭოთა კავშირი

თეთრგვარდიელები დახმარებას ჰპირდებიან ნანკინის მთავრობას

შანხაი, 24 ივლისი. თეთრგვარდიელთა გაზეთები უკანასკნელ დღეებში თავგამოდებით უმტკიცებენ ნანკინის მთავრობას, რომ ისინი მზად არიან დაეხმარონ ჩინეთის მთავრობას, თუ საბჭოთა კავშირთან ომი მოხდა. თეთრგვარდიელთა ფურცლები დორბლმორეულნი ილაშქრებენ ყველა ქვეყნის გაზეთების და, სხვათა შორის, იმ „ნორთ ჩაინა დეილი ნიუს"-ის წინააღმდეგ, რომელმაც მოულოდნელად მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირს.

შანხაის წრეებში გამოსთქვამენ შიშს, რომ მუკდენის არმიაში მყოფი თეთრგვარდიელები შეიძლება თავს დაესხან საბჭოთა ტერიტორიას, რომ ამნაირად გაართულონ მდგომარეობა, ჩაითრიონ ამ საქმეში ჩინეთი და გამოიწვიონ ომი (ადს).

სუნ-ფო მანჯურიაში გაემგზავრა

შანხაი, 24 ივლისი. ნანკინის მთავრობის გზათა მინისტრი სუნ-ფო აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მდგომარეობის გასაცნობად მანჯურიაში გაემგზავრა (ადს).

თათბირი ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

პეიპინი, 24 ივლისი. ჩან სუე-ლიანი მუკდენში ჩავიდა, სადაც დაუყოვნებლივ მოიწვია თათბირი, რომელზედაც განიხილეს საკითხი ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. თათბირის შედეგებს დიდი საიდუმლოებით ინახავენ (ადს).

საბჭოთა მისიის ქონების გადაცემა

პეიპინი, 24 ივლისი. დამთავრდა საბჭოთა მისიის ქონების გერმანიის საელჩოსათვის გადაცემა. საბჭოთა კონსული სპილვანეკი 23 ივლისს ტიანძინში გაემგზავრა (ადს).

გომინის სააგენტო უარყოფს

შანხაი, 24 ივლისი. ნანკინის მთავრობამ მხოლოდ 24 ივლისს ჩასთვალა საჭიროდ გამოეცხადებინა გომინის სააგენტოს საშუალებით, რომ „ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ის ცნობა, თითქოს ჩინეთის ხელისუფლებას განზრახვა აქვს გამოიყენოს რუსი თეთრგვარდიელნი საბჭოთა ტერიტორიაზე შესასევად.

ავტორიტეტულ წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ჩინეთს არა აქვს განზრახვა, დაიწყოს ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მას სრულიადაც არ სურს ხელი შეუწყოს თეთრგვარდიელთა დახმარების საქმეს". მიუხედავად ამისა, ნანკინის და მუკდენის ხელისუფლება არავითარ ზომებს არ ღებულობს იმ ნორმალური ორგანიზაციების დასაშლელად, რომელნიც ხარბინში, შანხაიში და სხვა ადგილებში არსებობენ და რომელნიც არა მარტო მოსამზადებელ საორგანიზაციო მუშაობას აწარმოებენ, არამედ, გაზეთების გადმოცემით, საბჭოთა კავშირთან ომის მოლოდინში მოხალისეებსაც აგროვებენ.

შუამდგომლობის ინიციატივა სტიმსონს ეკუთვნის

ვაშინგტონი, 24 ივლისი. მოსკოვიდან გადმოცემული იმ დეპეშის საპასუხოდ, რომელშიაც ნათქვამია, რომ თავის მიმართვაში საბჭოთა კავშირისადმი ბრიანმა არ მოიხსენია საგარეო საქმეთა მინისტრის სტიმსონის ინიციატივა, სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რომ სტიმსონი იყო ინიციატორი მოსკოვისადმი მიმართვის წინადადებისა. სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რომ სტიმსონმა უშუალოდ არ მიმართა მოსკოვს და არ სთხოვა ბრიანს ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების ცნობის გადაცემა, რადგან ერიდებოდა, რომ ეს საბჭოთა ცნობად არ მიეჩნიათ.

როდესაც მოსკოვიდან გადმოცემულმა დეპეშებმა გამოაშკარავეს, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს არავითარი მიმართვა არ მიუღია სტიმსონისაგან, სახელმწიფო დეპარტამენტმა აღიარა, რომ ასეთი მიმართვა არ ყოფილა გაგზავნილი, სტიმსონმა მხოლოდ ითათბირა საფრანგეთთან და საფრანგეთმავე მიმართა საბჭოთა კავშირს. ამნაირად, გამოდის, რომ ბრიანმა ისარგებლა სტიმსონის შიშით საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში, ხელთ აიღო ინიციატივა და არ მოიხსენია სტიმსონის წინადადება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რომ მოსკოვისადმი მიმართვის საკითხის ინიციატივა სტიმსონისაგან გამომდინარეობს. (ადს).

ჩინეთის მისიის შენობის წინ

პარიზი, 24 ივლისი. როგორც ბრიუსელიდან იუწყებიან, ჩინეთის მისიის შენობის წინ გაიმართა მანიფესტაცია საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგებით. მანიფესტანტებმა ჩაამტვრიეს მისიის ფანჯრები. პოლიციამ 15 კაცი დააპატიმრა.

პოლონეთის სეიმის კომუნისტური ფრაქციის პროტესტი

ვარშავა, 24 ივლისი. პოლონეთის რევოლუციონური მუშებისა და გლეხების სახელით პოლონეთის სეიმის კომუნისტურმა ფრაქციამ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიაც პროტესტს აცხადებს ჩინეთის იმპერიალისტების პროვოკაციის წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში (ადს).

სპარსული გაზეთი ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

თეირანი, 24 ივლისი. სპარსული გაზეთები მთლიანად ათავსებენ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობებს ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ და დიდის ყურადღებით ეპყრობიან ამ ურთიერთობის საკითხს.

„სეთარეე ირან"-მა 2 წერილი უძღვნა ხარბინის თავდასხმას. გაზეთი აკრიტიკებს ჩინეთის ხელისუფლების მოქმედებას და აღნიშნავს, რომ ეს მოქმედება დიდ ნივთიერ ზიანს მიაყენებს ჩინეთს და თვით აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზასაც. გაზეთი სწერს, რომ ყოველი სხვა მთავრობა ომს გამოაცხადებდა, საბჭოთა მთავრობამ კი მხოლოდ ეკონომიური ხასიათის ზეგავლენას მიმართა.

ობიექტიურად აშუქებს ამ ამბებს გაზეთი „ირან"-იც (ადს).

საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო დემონსტრაცია ჩაიშალა

შანხაი, 24 ივლისი. გომინდანის სურვილი გამოეწვია საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო მასიური დემონსტრაცია, სამარცხვინოდ დამთავრდა. დემონსტრაციაზე, რომელიც საერთაშორისო უბნის მთავარ ქუჩაზე იყო დანიშნული და რომელსაც ხელისუფლება და პოლიცია ხელს უწყობდა, ინგლისური „შანხაი ტაიმს"-ის სიტყვით, გამოცხადდა სულ რამდენიმე სტუდენტი და ისინიც მალე დაიშალნენ. (ადს).

უკმაყოფილება სიდეხარათი

ტოკიო, 24 ივლისი. ფაშისტური გაზეთი „იამატო" ილაშქრებს სიდეხარას წინააღმდეგ. გაზეთი სწერს, რომ მისი პოლიტიკა არ არის საკმაოდ ენერგიული იაპონიის პოზიციების დასაცავად, რადგან „თუ ამერიკას ნებას მისცემენ ჩაერიოს მანჯურიის საქმეებში, მაშინ იაპონია დაჰკარგავს თავის უპირატესობას შორეულ აღმოსავლეთში" (ადს).

მდგომარეობა მანჯურიაში

ხაბაროვსკი, 25 ივლისი. გაიარა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზისა და საბჭოთა საკონსულოს თანამშრომლების მორიგმა ჯგუფმა. თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ჩინეთის ხელისუფლების ორგანოები განაგრძობენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა და საბჭოთა სხვა მოქალაქეების დაპატიმრებას, ამასთან არავითარ ბრალდებას არ უყენებენ მათ.

საბჭოთა მოქალაქეების, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა შვილების 400-მა მასწავლებელმა ჩინეთის ხელისუფლების მტაცებლური საქციელის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად განცხადება შეიტანა, რომ თავს ანებებს სამსახურს. ფინცინ-ჩუანმა, რომელიც ჩინელებმა ემშანოვის ადგილას დანიშნეს, წერილით მიმართა მასწავლებლებს და მოსთხოვა მათ უკანვე წაეღოთ განცხადება. მასწავლებლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ახალი გამგეობა არაჩვეულებრივ უყაირათობას იჩენს.

გზაზე უმოძრაოდ გაჩერებულია რამდენიმე ათასი ვაგონი დატვირთული პურით; გახშირდა ხუნხუზების თავდასხმა.

ხარბინი პანიკამ მოიცვა. ბირჟა ჩაკვდა. ხმებია, თეთრგვარდიელები ებრაელების დარბევას აპირებენ ხარბინში. თეთრგვარდიელები თავხედურად იქცევიან.

ჩინეთის მილიტარისტების დახმარებითა და ფულით სოკოლოვი ადგენს პარტიზანულ რაზმებს 1.200 კაცისაგან.

მშრომელთა პასუხი ჩინელ ხუნხუზებს

თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის მოწოდება

მოსკოვი, 25 ივლისი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი ამბების გამო საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს მიმართა მოწოდებით.

„ლენინგრადის, მოსკოვის და საბჭოთა კავშირის სხვა დიდი ქალაქების პროლეტარებო— ნათქვამია, სხვათა შორის, მოწოდებაში,—რომელნიც მზად არიან უკუაგდონ ყოველგვარი გამოლაშქრება სოციალისტური სახელმწიფოს ღირსებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ინდივიდუალურად და კოლექტიურად შედიან თავდაცვა-ავიაქიმის რიგებში. ისინი თავიანთი ინიციატივით შეუდგენ ფულის შეგროვებას თავდაცვა-ავიაქიმის „თავდაცვის ფონდის" სასარგებლოდ, ახალი აეროპლანების, ახალი ტანკების ასაგებად და სამხედრო ტექნიკურ საშუალებათა შესაძენად, რაც განამტკიცებს წითელი არმიის ძლიერებას.

ასეთია მოწინავე პროლეტარების პასუხი ბანდიტ-გენერლების თავდასხმაზე".

თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს —მიბაძონ ამ მაგალითს, განამტკიცონ თავდაცვა-ავიაქიმის რიგები, გაამაგრონ საბჭოთა კავშირის თავდაცვა, სოციალისტური შეჯიბრების გაშლით გააძლიერონ შეტევა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე და პირველ აგვისტოს გამართონ საპროტესტო დემონსტრაციები იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის მიმართ პროვოკაციის პოლიტიკის და ბანდიტური თავდასხმების წინააღმდეგ (ადს).

მშრომელთა მასები აძლიერებენ თავდაცვას

მოსკოვი, 25 ივლისი. ჩინეთის ბანდიტ-გენერლების მტაცებლური მოქმედების საპასუხოდ რკინის გზის ინჟინერ-ტექნიკოსთა ცენტრ. ბიურომ დაადგინა — თავის წევრებს შორის შეგროვილი ფულით ააგოს ახალი აეროპლანი (ადს).

მოსკოვი, 25 ივლისი. ბელორუსიის გლეხთა ურთიერთ დამხმარე ამხანაგობათა ც. კ.-ის პლენუმმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ბანდიტური თავდასხმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაადგინა — აგებულ იქნას აეროპლანი „ბელორუსიის გლეხთა ურთიერთ დახმარება" (ადს).

სამარა, 25 ივლისი. სამარის ცხენოსანთა № დივიზიის ბანაკში გამართულ მიტინგზე დაიწყო ფულის შეგროვება აეროპლანის— „ჩვენი პასუხი ბანდიტ ჩან-კაი-შის" ასაგებად. (ადს).

ახალი აეროპლანების და ტანკების აგება

მოსკოვი, 24 ივლისი. ჩინელი მილიტარისტების საწინააღმდეგო პროტესტების ტალღა არ სცხრება. მუშებს გამოაქვთ დადგენილებები საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის შემდგომი განმტკიცების შესახებ.

ლენინგრადის ყველა ფაბრიკასა და ქარხნებში აგროვებენ თანხებს ახალი აეროპლანებისა და ტანკების ასაგებად.

მურმანის რკინის გზის მუშები შეუდგნენ თანხების შეგროვებას აეროპლანების ესკადრილიის — „კომკავშირელი"-ს ასაგებად.

კოლჩუგინის რკინის გზის მუშებმა შეაგროვეს 2.000 მანეთი „მებრძოლი აეროპლანის" ასაგებად.

სახელმწიფო პოლიტსამმართველოს რკინის გზის განყოფილების მუშაკებმა დაადგინეს გადასდონ ორი დღის ხელფასი ძერჟინსკის სახელობის საჰაერო ესკადრილიის ასაგებად. (ადს).

საფრანგეთის სამხედრო აეროპლანის დაღუპვა

პარიზი, 24 ივლისი. როგორც ჰავასის სააგენტო რეიმსიდან იუწყება, ჩამოვარდა სამხედრო აეროპლანი, რომლის დროსაც მოხდა ბენზინის აფეთქება. ორი მფრინავი დაიწვა. ამ შემთხვევის გარდა, მიწაზე დაშვების დროს ერთმანეთს დაეჯახა ორი აეროპლანი. მძიმედ დაშავდა სამი კაცი. (ადს).

52-ის პროცესი

ვენა, 24 ივლისი. სოფიაში ახლო მომავალში დაიწყება 52-ის პროცესი. პასუხისგებაში მიცემულთა შორის არის ბულგარეთის კომპარტიის ყოფილი მდივანი მლადენ სტოიანოვი (ადს).

პროფინტერნის კონგრესი შესდგება 1930 წ. 15 ივლისს

მოსკოვი, 25 ივლისი. პროფინტერნის აღმასბიურომ დაადგინა — პროფინტერნის მე-V კონგრესი მოიწვიოს 1930 წლის 15 ივლისს, პროფინტერნის 10 წლის თავზე (ადს).

რადიოგრამა „სედოვი"-დან

მოსკოვი, 25 ივლისი. 24 ივლისს მიღებულ იქნა რადიოგრამა იმ ექსპედიციის უფროსისაგან, რომელიც ფრანც იოსებისაკენ მიემართება. რადიოგრამაში ნათქვამია, რომ „სედოვ"-მა გადაჭრა მე-77 პარალელი და პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ მიდის. ამინდი შედარებით ხელსაყრელია (ადს).

პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივა

მოსკოვი, 25 ივლისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს და მრეწველობის სხვა ორგანოებს—ყოველგვარად ეცადონ თავიდან აიცილონ ის დეფექტები, რომლებიც ხელს უშლიან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა მასების ჩაბმას საწარმოო დეფექტების აცილების საქმეში. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს—მიმდინარე წლის მეორე ნახევარში თვითღირებულება იმდენად შეამციროს, რომ შესრულებულ იქნას საშუალო წლიური დავალება, რომელიც 7 პროცენტს უდრის. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მისცა სათანადო დაწესებულებებს დირექტიული მითითებანი, რომელთა მიზანსაც შეადგენს პროდუქციის ღირსების გაუმჯობესება. საბჭოთა კავშირის სახალხო ს. მ. უ. საბჭოს წინადადება მიეცა ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ერთად, სასწრაფოდ დაამუშაოს და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინოს პროექტი იმ დირექტივებისა, რომლებიც უნდა მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს და რომლებიც შეეხებიან სისხლის სამართლის კოდექსის შევსებას სპეციალური მუხლით; ამ მუხლში გათვალისწინებულ უნდა იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა იმათი, ვინც აშკარად ცუდი ღირსების პროდუქციას გამოუშვებს გასასყიდათ. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაევალა, საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოსთან და მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან ერთად, სასწრაფოდ დაამუშაოს მრეწველობის დაგეგმვისა და მართვა-გამგეობის საკითხები, ამასთან მხედველობაში უნდა იქონიონ ის, რომ საჭიროა მრეწველობის დაგეგმვისა და მართვა-გამგეობის საქმის მაქსიმალური ცენტრალიზაცია (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ჰენდერსონის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 24 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „თემთა პალატაში კონსერვატორი სმიზერსი საგარეო საქმეთა მინისტრს შეეკითხა: მოითხოვს თუ არა იგი საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს რუსეთის სესხის ქაღალდების მეპატრონეთა პრეტენზიების დაკმაყოფილებას იმ მიზნით, რომ მიაღწიოს რაიმე თანხების გადახდას ვალების ანგარიშში ან ამ ვალების აღიარებას მაინც. ჰენდერსონმა უპასუხა: „მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამ ჯგუფის ინტერესები, ისევე როგორც პრეტენზიების მქონე ინგლისელ მოქალაქეთა ყველა ჯგუფების ინტერესები მხედველობაში გვექნება ყოველგვარი მოლაპარაკების დროს, რომელიც გაიმართება საბჭოთა მთავრობისადმი ჩვენ მიერ გაგზავნილი წინადადების შედეგად". სმიზერსი შემდეგ შეეკითხა: „იკისრებს თუ არა ჰენდერსონი თემთა პალატის წინაშე იმის ვალდებულებას, რომ ამ ვალების აღიარება იქნება პირობა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენისათვის". ჰენდერსონმა უპასუხა: „არა"-ო. (ადს).

უმუშევრებმა მაკდონალდის სახლის ფანჯრები ჩაამტვრიეს

ლონდონი, 25 ივლისი. შრომის მინისტრმა მარგარიტა ბონფილდმა არ მიიღო უმუშევართა დელეგაცია. პროტესტის ნიშნად სამმა უმუშევარმა გუშინ ჩაამტვრია მაკდონალდის სახაზინო ბინის (დოუნინგსტრიტი 1) ფანჯრები. პოლიციამ დააპატიმრა ეს უმუშევრები, სასამართლომ დაადგინა საქმის გარჩევამდე აღნიშნული პირნი დაპატიმრებულ იქნან (ადს).

ვაიან კუტიურიეს საზეიმო შეხვედრა

პარიზი, 24 ივლისი. კვირას, 22 ივლისს, პარიზის გარეუბნის—ვილ ჟუიფის მუშათა მოსახლეობამ საზეიმო შეხვედრა მოუწყო „ლიუმანიტე"-ს რედაქტორს, ვაიან კუტიურიეს, რომელიც ამას წინად განთავისუფლეს საპატიმროდან. ვაიან კუტიურიე მაისში იყო არჩეული ვილ ჟუიფის მერად. (ადს).

გაცხოველებული სამზადისი 1-ლ აგვისტოსათვის

ბერლინი, 25 ივლისი. 1 აგვისტოს მოახლოების გამო მზადება ამ დღისათვის უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. ყოველ დღე მოდის ცნობები, რომ იმართება კონფერენციები, რომლებიც იმუშავებენ ღონისძიებებს 1 აგვისტოს დღის ჩასატარებლად. ჰინდენბურგში (ზემო სილეზია) ზემო სილეზიის ფაბქარკომების მემარცხენე ოპოზიციის წარმომადგენელთა ფართო კონფერენციამ დაადგინა —მოუწოდოს მუშებს მიიღონ მონაწილეობა გერმანელ და პოლონელ მუშების დაძმობილებაში, რომელიც 28 ივლისს გაიმართება ბეიტენში საზღვართან, მიიღონ მონაწილეობა აგრეთვე საპროტესტო დემონსტრაციებში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, რომლებიც ჩატარდება 1 აგვისტოს. კონფერენციაზე შეიქმნა ზემო სილეზიის ფაბქარკომების საგანგებო კომისია. ბერლინის დურგალთა პროფკავშირის ფაბქარკომების რწმუნებულმა და წევრებმა ბერლინის საამშენებლო მუშებს მიმართეს მოწოდებით, რათა 1 აგვისტოს 1 საათით ადრე დაანებონ თავი მუშაობას და მიიღონ მონაწილეობა დემონსტრაციაში. ასეთივე გადაწყვეტილებანი მიიღეს მთელი რიგი საწარმოების საერთო-საქარხნო და საცეხო კრებებმა. აახენიდან იუწყებიან, რომ მოსამზადებელი მუშაობა საერთაშორისო წითელი დღის ჩასატარებლად, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბელგიის და ლიუქსემბურგის მუშებმა, წარმატებით მიმდინარეობს. (ადს).

ანტიიმპერიალისტური ლიგის კონგრესზე

კამათი ამხ. პოლიტის მოხსენების გარშემო

მაინის ფრანკფურტი, 24 ივლისი. 22 ივლისს საღამოთი და 23 ივლისს დილით იმპერიალიზმის წინააღმდეგ და კოლონიალურ ხალხთა შევიწროვებასთან მებრძოლი ლიგის სხდომაზე გაგრძელდა კამათი პოლიტის მოხსენების გამო. ვენეცუელის რევოლუციონური პარტიის სახელით ილაპარაკა პროფესორმა გოლდშმიდტმა, რომელმაც კონგრესს გააცნო მუშათა ანტიმილიტარისტული მოძრაობის ჩაქრობის დროს ვენეცუელაში მომხდარი შემაძრწუნებელი ამბები.

გერმანელი რევოლუციონური პაციფისტების ბელადი კურტ მილერი მთლიანად შეუერთდა ლიგის პროგრამასა და ტაქტიკას და საბჭოთა წინადადებას განიარაღების შესახებ (ადს).

მაინის ფრანკფურტი, 24 ივლისი. პოლიტის მოხსენების გამო, რომელიც პოლიტიკურ მდგომარეობას და ლიგის ამოცანებს შეეხებოდა, ილაპარაკა მრავალმა ორატორმა. ისინი თავიანთი ქვეყნების მაგალითებით ადასტურებდნენ პოლიტის იმ თეზისების სისწორეს, რომლებიც მოითხოვენ ბრძოლის გაძლიერებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ორატორები აღნიშნავდნენ აგრეთვე მათ საკუთარ რიგებში არსებულ ყოყმანს და სისუსტეს.

ბესარაბიის მშრომელთა წარმომადგენელმა ლუდეანუმ დამსწრეთ გადაუშალა ბესარაბიის კატასტროფიული ეკონომიური მდგომარეობის სურათი და განაცხადა, რომ ეს არის იმ უსასტიკესი ექსპლოატაციისა და პოლიტიკური შევიწროების შედეგი, რომელსაც ადგილი აქვს რუმინეთში. ლუდეანუს საჭიროდ მიაჩნია ბრძოლა ბესარაბიიდან რუმინეთის ჯარისა და ბოიარების განსადევნად, ბრძოლა იმისათვის, რომ ბესარაბიის მშრომელთ მიეცეთ თვითგამორკვევის უფლება, უფლება თვით რუმინეთიდან გამოყოფისაც.

ამხ. პოლიტის საბოლოო სიტყვა

პოლიტმა საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ ლიგაში არსებობს სხვადასხვა მიმართულება. ესენი იმპერიალიზმთან ბრძოლის საკითხში სხვადასხვა ხაზს იცავენ. არსებობს ბურჟუაზიულ-ნაციონალურ-რევოლუციონური, პროლეტარულ-რევოლუციონური, რეფორმისტული, პაციფისტური და ანარქისტული მიმდინარეობა. შემდეგ პოლიტმა განაცხადა, რომ ზოგიერთმა ორატორმა სათანადოდ ვერ შეაფასა ომის საფრთხე.

„ლიგა, — სთქვა პოლიტმა, — არ წარმოადგენს კომუნისტურ ორგანიზაციას; იგი არის იმ მამაკაცების, ქალებისა და ახალგაზრდობის გაერთიანება, რომელნიც გამსჭვალულნი არიან იმპერიალიზმთან ბრძოლის სურვილით. მაგრამ ლიგა თავის მომხრეთაგან მოელის საქმეს და არა ცარიელ სიტყვებს".

ინდოეთის დელეგატების განცხადებები

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებანი ინდოეთის შესახებ. პირველმა მომხსენებელმა, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის დელეგატმა გუპტამ განაცხადა: „ჩვენ გვსურს სრული დამოუკიდებლობა, ნაკლებზე ვერ მოვრიგდებით და არ დავზოგავთ არავითარ მსხვერპლს. ინგლისის სიმდიდრე ინდოელების ზურგზეა შექმნილი. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მიწა მთლად ჩვენს მფლობელობაში იყოს, რომ ჩვენს გამგებლობაში იყოს ფინანსები, ჯარი საზღვაო და საჰაერო ფლოტი, ჩვენს უფლებას შეადგენდეს სხვა სახელმწიფოსთან ხელშეკრულებების დადება. მსოფლიო განვითარებას მივყავართ კაპიტალისტთა ბატონობის დამხობისაკენ. მომავალში მათ ადგილი არ ექნებათ ეროვნულ-რევოლუციონურ მოძრაობაში. იმ ულტიმატუმს, რომელიც განდიმ ინგლისს წარუდგინა, მეტად სერიოზული ხასიათი აქვს. იანვარში ჩვენ უკვე ჩაბმულნი ვიქნებით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. საზღვარ-გარეთ მცხოვრები ყველა ინდოელი უნდა დაბრუნდეს სამშობლოში, რომ მონაწილეობა მიიღოს ამ ბრძოლაში".

მეორე მომხსენებელმა, ინდოეთის მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მებრძოლი ლიგის ხელმძღვანელმა და ანტი-იმპერიალისტური ლიგის ინგლისის სექციის თავმჯდომარემ — დეტმა აღნიშნა, რომ მუშათა პარტიის პოლიტიკა ინდოეთის საკითხში მუშათა მასების უდიდეს მოტყუილებას წარმოადგენს.

„მირუტის პროცესი, — სთქვა მომხსენებელმა, — მოწმობს კლასთა ბრძოლის გამწვავებას ინდოეთში. გარდა ამისა, ასევე პროცესი მოწმობს იმას, რომ ბრძოლის ინიციატივა უფრო და უფრო გადადის მუშათა და გლეხთა მასების ხელში. მუშების ბელადებს აპატიმრებენ ხანგრძლივი ვადით, მაშინ, როდესაც განდის მიუსაჯეს მხოლოდ ერთი რუპის გადახდა.

დეტმა კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ გუპტა გამოვიდა, როგორც იმ ძალების წარმომადგენელი, რომლებიც ანტი-იმპერიალისტურად აზროვნებენ და წინააღმდეგნი არიან ქედი მოხარონ იმპერიალისტების წინაშე. მაგრამ ნაციონალურ კონგრესზე არიან მასიური მოძრაობის მტრებიც.

ამხ. მელნიჩანსკი

კონგრესის დელეგატი საბჭოთა კავშირიდან

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერყევი ელემენტები უნდა განიდევნონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებიდანო (ადს).

ბურჟუაზიის მარცხენა და მარჯვენა ხელი

მაინის ფრანკფურტი, 24 ივლისი. ანტიიმპერიალისტური ლიგის კონგრესზე გამოვიდა სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა გაერთიანების წარმომადგენელი ლუ-ჩანი. ლუ-ჩანს მხურვალე ტაშით შეხვდნენ და რამდენჯერმე შეაწყვეტინეს სიტყვა. მან თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ არ არის საკმარისი სიტყვიერი განცხადება ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის მხრით იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს იგი მუშათა პარტიის კოლონიალურ პოლიტიკას.

„მუშათა პარტია,—სთქვა ლუ-ჩანმა,— წარმოადგენს იმპერიალიზმის მარჯვენა ხელს, ხოლო დამოუკიდებელი მუშათა პარტია მარცხენა ხელს".

იტალიის იმპერიალიზმი ჩრდ. აფრიკაში

იტალიის გლეხობის წარმომადგენელი მილიოლი გამოვიდა იტალიის დელეგაციისა და საერთაშორისო ანტიფაშისტური კომიტეტის სახელით. მილიოლიმ დამსწრეთ გადაუშალა ბალკანეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიის იმპერიალიზმის მოქმედების სურათი. მისი გადმოცემით, იტალიას უნდოდა ჩამოეშორებინა სამხრეთ-სლავიისათვის ხორვატია, ხოლო შემდეგ, უნგრეთთან ერთად, მოეხდინა სლოვენიის ოკუპაცია. დეკემბერს მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება სამხრეთ-სლავიაში წარმოადგენს საფრანგეთის მიერ მომზადებულ პასუხს იტალიის ამ გეგმებზე.

შემდეგ მილიოლიმ აცნობა დამსწრეთ, რომ იანვარში მოწვეული იქნება სრულიად ევროპის გლეხთა კონგრესი.

„დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გლეხები,—დაამთავრა სიტყვა მილიოლიმ, არავის მისცემენ ნებას, რომ მომავალშიაც გაგრძელდეს მათი იზოლაცია გლეხთა იმ უდიდესი მასებისაგან, რომელნიც სხვა ქვეყნებში იმპერიალისტური ბატონობის წინააღმდეგ იბრძვიან" (ადს).

ეხლავე მივიღოთ საჭირო ზომები

(პიონერთა შეკრების გამო)

მიმდინარე წლის 18 აგვისტოს პროლეტარულ რევოლუციის დედა ქალაქში—მოსკოვში შეიკრიბება ექვსი ათასი პიონერი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან. პიონერთა შეკრების მოახლოებამ უკვე აამოძრავა საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობა. პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ემზადებიან და ხელს უწყობენ პიონერთა შეკრების დღის წარმატებით ჩატარებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ამ მხრივ თითქმის თითიც არ განძრეულა. კიდევ მეტი. ჩვენს საზოგადოებრიობას ჯერაც არ აქვს შეგნებული პიონერთა შეკრების მნიშვნელობა.

საბჭოთა კავშირის არსებობის 12 წლის განმავლობაში, მხოლოდ წელს ეწყობა ბავშვთა ლენინური სულისკვეთების აღზრდის შესამოწმებლად პიონერთა შეკრების დღე. ეს გარემოება ყველა ქვეყნების პროლეტარულ ორგანიზაციების უდიდეს ყურადღებას იპყრობს. პიონერთა შეკრებამ გრანდიოზული ხასიათი უნდა მიიღოს ჩვენშიაც. მით უმეტეს ბავშვთა ასეთი შეკრებისათვის ბურჟუაზიული სამყაროც ემზადება. ბურჟუაზიული ქვეყნები ლონდონში აწყობენ ბავშვთა შეკრებას. მათ სურთ დაუმტკიცონ მუშათა კლასს, რომ ისინი ზრუნავენ არა მარტო შეძლებულ კლასთა შვილების საკეთილდღეოთ, არამედ—მშრომელთა მოზარდი თაობის საკეთილდღეოდაც. რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის კაპიტალისტური კლასების ამგვარი ნაბიჯის აზრი. ბავშვთა შეკრების სახით ბურჟუაზია მიზნად ისახავს გააძლიეროს მოზარდ თაობის ბურჟუაზიულად აღზრდა.

გარდა ამისა წელსვე უნგრეთში მზადდება მენშევიკურ ორგანიზაციების ბავშვთა შეკრება. აი, სხვათაშორის, რატომ გვმართებს უფრო უკეთ ამოქმედება, მომზადება და ხელის შეწყობა პიონერთა შეკრების დღის წარმატებით ჩატარებისათვის.

ცხადია, საბჭოთა კავშირში პიონერთა შეკრების დანიშნულება რადიკალურად განსხვავდება ბურჟუაზიის მიერ განზრახულ ბავშვთა შეკრებისაგან. პროლეტარულ სახელმწიფოს მიერ მოწყობილ პიონერთა შეკრებამ უფრო მეტად უნდა გააძლიეროს ბავშვთა კომუნისტური აღმზრდელობა. ბურჟუაზიული ბავშვთა შეკრება კი შიშს, მორიდებას, მორჩილებას და ბურჟუაზიულ სისტემისადმი შეგუების ფსიქოლოგიას ნერგავს მოზარდთა შემოქმედებითი უნარიანობაში.

ჩვენში პიონერთა შეკრებას ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირი ხელმძღვანელობს. შეკრების ორგანიზაციულ პოლიტიკურ მუშაობას კომკავშირი ეწევა.

როგორც აღვნიშნეთ, პიონერთა შეკრებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, მან აშკარად უნდა დაგვანახოს ჩვენი მიღწევები და ნაკლოვანებანი ბავშვთა კომუნისტურად აღზრდელობის საქმეში, პიონერთა შეკრება მოზარდთა მოძრაობაში უარყოფითი და დადებითი მხარეების აღნიშვნის დღეთ უნდა გავხადოთ.

ამ შეკრებამ უნდა დაგვანახვოს, თუ როგორ ტარდება შრომის პრინციპები ჩვენს სასკოლო მშენებლობაში. რამდენად განიდევნა სქოლასტიკა სწავლების მეთოდიდან, რამდენად დაუახლოვდა სკოლა არსებულ სინამდვილეს, ტარდება თუ არა სასოფლო სკოლებში აგრონომიზაცია, რამდენად შესძლო პიონერთა ორგანიზაციამ თავისი გავლენის გაძლიერება შეუკავშირებელ ბავშვებზე და რამდენად შეისწავლეს მათ თავიანთი ორგანიზაციის მტკიცედ ჩამოყალიბება სოფლად და ქალაქად.

გარდა ამისა შეკრებას უაღრესად აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ენიჭება. მისი ნაყოფი იმდენად უფრო დიდი იქნება, რამდენადაც მეტ მონაწილეობას მიიღებს მასში ჩვენი საზოგადოებრიობა. შეკრებამ უნდა აღნიშნოს მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, თუნდაც ჩვენი საბინაო მშენებლობის დარგში. როგორც სხვა ქალაქებში, აქაც, თბილისშიაც, ვევებერთელა საცხოვრებელ შენობების აგების დროს ავიწყდებათ, რო საჭიროა შენობაში სათანადო მოედნების გამოყოფა ბავშვების სათამაშოდ, საკლუბო ოთახი და ბავშვთა ბაგები. ამავე დროს ჩვენს სათანადო ორგანოებს ხშირად ავიწყდებათ ბავშვების კვების უკეთ მოწყობა და ისეთი ტანსაცმელების და ფეხსაცმელების დამზადება, რომელიც მუშებისა და გლეხების შვილებს გამოადგებათ და სხვა მრავალი. ამგვარ საკითხებს კი ჩვენშიაც დღემდე ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა.

კომკავშირმა თავის ამოცანად დაისახა პიონერთა რიგების ორმაგად გაზრდა. საქმე იმაშია, რომ ამ უკანასკნელად ძალზე მინელდა პიონერთა რიცხვობრივი ზრდა. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჩვენს სილატაკეს პედაგოგიურ ძალებით. ბავშვთა კომუნისტურად აღზრდა თვით პედაგოგზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მეცხრე წელშიაც მრავალია ისეთი სკოლები, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ოქტომბრის სიოს ჯერაც არ დაუბერავს. რათქმა უნდა, ასეთ სკოლებში პიონერთა რიგების ზრდაზე ფიქრი თავის მოტყუილება იქნებოდა. შეკრებამ უნდა გამოამჟღავნოს მუშაობის ეს უარყოფითი მხარეც. ან ხელი უნდა შეუწყოს პიონერთა რიგების რიცხვობრივ ზრდას და ბავშვთა ლენინურ სულისკვეთებით გამსჭვალვას.

არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ჩვენ ვზრდით ურყევ, მებრძოლ შემცვლელ თაობას, რომელმაც უნდა დაამთავროს სოციალიზმის საქმე. ამიტომ არ იქნებოდა მიზანშეუწონელი თუ კი შეკრების შედეგად ჩვენ გამოვყოფდით კომკავშირელების კიდევ უფრო მეტ რაოდენობას პედაგოგიურ ტექნიკუმებში ასაზრდელად, რათა გავაძლიეროთ მასწავლებელთა კომუნისტური კადრები.

აქვე საჭიროა აღინიშნოს ის ფორმალობა, რომელსაც ადგილი აქვს ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობაში. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს გამოყოფილი ჰყავთ ესა თუ ის ამხანაგი ბავშვთა მოძრაობაზე ხელმძღვანელად. სინამდვილეში კი აქ ხშირად არაფერი კეთდება. მიმაგრება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. მიმაგრებული არც კი აბარებს ანგარიშს ფართო მასებს პიონერთა შორის მუშაობის შესახებ. უჯრედის მდივანი საანგარიშო მოხსენებაში ან სრულიად არ მოიხსენიებს პიონერთა შორის მუშაობას ან უკეთეს შემთხვევაში გაკვრით, ორიოდე სიტყვით შეეხება მას. ეს გარემოება იჭვებს ბადებს ჩვენში: ვაი, თუ პიონერთა შეკრებამ ასეთი ფორმალური ხასიათი მიიღო ადგილებზეც. ყოველგვარი ფორმალიზმი ამ საქმეში თავიდან უდნა ავიშორიოთ. შევეცადოთ, რომ პიონერთა შეკრება არ გადაიქცეს მხოლოდ აღლუმად, სადაც პიონერთა რაზმებს მუსიკით მოაცილებენ და მხოლოდ სიტყვებს ეტყვიან.

უნდა გვახსოვდეს, რომ პიონერთა შეკრება ეს უბრალო აღლუმი როდია, ის სერიოზულად პოლიტიკური დათვალიერებაა იმისა, თუ რა მიღწევები გვაქვს ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობაში.

საჭიროა გავიგოთ, რა გაკეთდა ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, უნდა შევამოწმოთ ბავშვთა დაწესებულებების მუშაობა უარყოფითი და დადებითი მხარეების გამოსამჟღავნებლად.

მუშათა ორგანიზაციებთან და წამოწყებებთან ეწყობა დამხმარე კომიტეტები. ამ კომიტეტებმა ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ პიონერთა შეკრების საქმეს. ასეთივე კომიტეტები ეწყობა საბჭოებთან. საბჭოებთან არსებულმა დამხმარე კომიტეტებმა უნდა გადასინჯონ თუ რა გააკეთა საბჭომ ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და რა ღონისძიებანია საჭირო მათი მდგომარეობის უკეთ დასაყენებლად.

პიონერთა შეკრება მოახლოებულია. საჭიროა, ვიდრე გვიან არ არის ფართოდ ავამოძრაოთ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირის, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. კლუბებში, წრეებში, კრებებზე, საწარმოებში, გაერთიანებულ სხდომაზე უნდა ჩატარებულ იქნას ახსნა-განმარტებითი საუბრები პიონერთა შეკრების დღის მნიშვნელობის შესახებ.

არც ერთი პარტიული, კომკავშირელი და მშრომელი მოქალაქე პიონერთა შეკრებაში მონაწილეობის გარეშე—აი რა უნდა გვახსოვდეს ჩვენ.

სევ. მინდაძე

მდგომარეობა ბაქოს პარტორგანიზაციაში

ამხ. გიკალოს მოხსენება ბაქოს ლენრაიონის პლენუმზე

ბაქო, 25 ივლისი. ამხანაგებო! თქვენი ტაში ნიშნავს, რომ თქვენ მიესალმებით საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილებას, ც. კ.-ის, რომელიც თავის დროზე და სავსებით სწორად ჩაერია აზერბეიჯანის პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობაში. სესინის საქმეს, ჩემი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ ეს სრულებით არ არის შემთხვევითი საქმე. მას კავშირი აქვს მთელ რიგ საქმეებთან, რომლებიც უკანასკნელ დროს აღმოჩენილი იქნენ ბაქოს ორგანიზაციაში და აზერბეიჯანის მთელ რიგ ორგანიზაციებში. ჩვენ, ბოლშევიკებს, ყოველთვის და ყოველ დროს უპირველეს ყოვლისა და ყველაზე მეტად გვაინტერესებს საქმის ფესვი, ის მიზეზები, რომლებიც იწვევენ ამგვარი ამბების წარმოშობას პარტიულ ორგანიზაციაში და ისეთ ორგანიზაციაში, როგორიც არის ბაქოს ორგანიზაცია, ჩვენ გვაინტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ ისეთი ბოლშევიკური პროლეტარული ორგანიზაცია, როგორიც არის ბაქოს ორგანიზაცია,—ბაქოს ორგანიზაციაში კი, რამდენადაც მე ვიცი, ლენინის რაიონის ორგანიზაციას თითქოს პირველი ადგილი უჭირავს,—სესინისებური საქმის ასპარეზად გადაიქცა. რა ფესვები და პირობები ჰკვებავენ ისეთ საქმეს, როგორიც არის სესინის საქმე. ამ საქმეს, როცა მას უკავშირებთ მთელ რიგ სხვა საქმეებს, რომლებიც უკანასკნელ დროს იქნენ აღმოჩენილი ბაქოს ორგანიზაციაში, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამ საქმემ უნდა გვაიძულოს უფრო მკაფიო, ბოლშევიკური, მარქსისტული ანალიზი გაუკეთოთ მიზეზებს. სანამ შევეხებოდე სესინის საქმეს, შევჩერდები ზოგიერთ საკითხებზე, რომლებსაც, შეიძლება პირველ შეხედვით პირდაპირი კავშირი არა აქვთ ამ საქმესთან.

პარტიის მიმდინარე ამოცანები

შეეკითხა თუ არა თავის თავს ყოველი კომუნისტი, რომელიც აქ ზის: რატომ გამოსცა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტ. კომიტეტმა ერთი წლის წინად მიმართვა პარტიისადმი კრიტიკისა და თვითკრიტიკის საკითხების შესახებ? რატომ მიაქცია ამ საკითხებს მთავარი ყურადღება პარტიის ც. კ.-მა? ტყუილად ხომ არ გადადგა პარტიამ ასეთი ნაბიჯი, ტყუილად ხომ არ გადასწყვიტა პარტიამ, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა უნდა გაიშალოს! საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ალბად ხელმძღვანელობდა სავსებით გარკვეული და მეტად, ჩემის აზრით, მნიშვნელოვანი მოსაზრებებით, რომლებმაც გამოიწვიეს პარტიისადმი ასეთი მიმართვის გამოცემის საჭიროება.

ამხანაგებო! ყველა თქვენთაგანმა იცის, რომ პარტიის მე-XV ყრილობამ დიდი გარდატეხა მოახდინა სოციალისტური მშენებლობის ტემპის საკითხში. ყველამ იცით, რომ მე-XV ყრილობამ, ც. კ.-ის შემდგომმა პლენუმმა და მეთექვსმეტე პარტკონფერენციამ აიღეს კურსი იქითკენ, რომ დაჩქარდეს სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, აიღეს ისეთი ხაზი, რომელიც დააჩქარებს ჩვენში დარჩენილი კაპიტალისტური ელემენტების აღმოფხვრას. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიამ მთლიანად აიღო სოციალიზმის მშენებლობის უფრო სწრაფი, უფრო ძლიერი ტემპი.

რას ნიშნავს სოციალიზმის უშუალო მშენებლობის კურსი ჩვენს პირობებში, როცა ყოველმხრივ გარემოცულნი ვართ კაპიტალისტური ქვეყნებით, როცა ჩვენი ქვეყანა ყოველმხრივ გარსშემორტყმულია მტრებით, როცა ჩვენი ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ არსებობენ კაპიტალისტური ელემენტები? ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა მოვახდინოთ მობილიზაცია მთელი პარტიის, მთელი მუშათა კლასის, მოჯამაგირეების, ღარიბ და საშუალო გლეხთა ძალების იმისათვის, რომ განვახორციელოთ ეს სოციალისტური მშენებლობა. თუ ვლაპარაკობთ კოლმეურნეობათა მშენებლობაზე,—ეს სრულებითაც არ არის უბრალო საქმე, კოლმეურნეობათა აშენებისათვის საჭიროა გლეხობის საუკუნოებრივი იდეოლოგიის დამსხვრევა, სოფლის საუკუნოებრივი ჩამორჩენილობის დაძლევა. იმისათვის, რომ ავაშენოთ კოლმეურნეობა, საჭიროა საფუძვლიანად შევცვალოთ ის ურთიერთობა, რომელიც სოფლად არსებობს. იმისათვის, რომ ნამდვილად შევქმნათ კოლექტიური ცხოვრება სოფლად, უნდა გარდავქმნათ გლეხობის მთელი ფსიქოლოგია და იდეოლოგია, წვრილი და უწვრილესი ინდივიდუალური მეურნეობანი უნდა გავაერთიანოთ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობად ახალი თანამედროვე ტექნიკის ნიადაგზე. ამისათვის საჭიროა მთელი ჩვენი პარტიის ძალთა მობილიზაცია. და ის, რაც კომუნისტებს დარჩათ ძველი მეშჩანობიდან, კაპიტალისტური მსოფლიოსაგან, ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოიფხვრას, უნდა აღმოიფხვრას აგრეთვე ყოველგვარი მერყეობა და ქანაობა.

რაკი პარტიამ აიღო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გაძლიერების კურსი, ესეც რაღაცას გვავალებს. თქვენთვის, მუშებისათვის, გასაგებია, რას ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ეს არის არა სიტყვა, არამედ მოქმედება, არა ფრაზა, არამედ საქმე. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს არა მარტო პარტიის, არამედ მთელი მუშათა კლასის ძალთა დაძაბვას. თუ ასეა, ჩვენთვის საჭიროა, რომ ჩვენი პარტია მართლაც ისეთი პარტია იყოს, რომელიც მუშათა კლასს მიუძღვის. საჭიროა არა უბრალო ცირკულიარული მოწერილობა ამა თუ იმ მდივნის,—იქნება იგი ც. კ.-ის, ბაქოს კომიტეტის, რაიკომის თუ უჯრედის მდივანი, საჭიროა მთელი მასების მობილიზაცია ამ საქმისათვის, მასების, მასების და მასების. სოციალისტური მშენებლობის განსახორციელებლად ყოველ დარგში—სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, კულტურის თუ სხვა დარგში, განა შეგვიძლია, ამხანაგებო, გამოვიჩინოთ უთავბოლობა, მერყეობა, ქანაობა და მით უფრო გახრწნა?

მე-XV ყრილობამ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახა ბრძოლა გადახრებთან; უკანასკნელ დროს პარტიამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან. ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლა მუშათა კლასის მტრული იდეოლოგიის ელემენტებთან, ბრძოლა კომუნისტის კლასობრივი ალღოსათვის ეხლა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ყველა კომუნისტმა უნდა იცოდეს, ვის წინააღმდეგ რატომ და რისთვის იბრძვის იგი. მას ნათლად უნდა ჰქონდეს შეგნებული პარტიის მთელი ხაზი. ყოველმა კომუნისტმა, მუშაობს იგი ბაქოში, სარეწაოებში, სოფლად თუ სოციალისტური მშენებლობის რომელიმე სხვა ფრონტზე, მტკიცედ უნდა შეასრულოს პარტიის მიერ დასმული ყველა ამოცანა და უნდა შეასრულოს არა უგულოდ, არამედ თავგამოდებით, ისე, რომ მიღებულ იქნას თვალსაჩინო შედეგები. ასეთია ამოცანა. რატომ? იმიტომ, რომ დრო არ გვიცდის, იმიტომ, რომ ეხლა კაპიტალისტურ მსოფლიოს შევეჯიბრეთ. თქვენ თვითონ იცით, რამდენჯერ სთქვა ლენინმა, რაც შემდეგში ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებებმა დაადასტურეს, რომ როცა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დაჩქარების გზას დავადექით, ჩვენ ამით ასეთ გზაზე შევდექით: ვინ ვის გაუსწრებს—ჩვენ თუ კაპიტალისტური მსოფლიო, ვინ იქნება წინ, ვინ უფრო უკეთესად და სწრაფად გარდაქმნის ცხოვრებას, ვინ უფრო ძლიერი იქნება.

განახლებული ბაქო

ამაშია საკითხის არსებითი მხარე: მთავარი ის არის, რომ ჩვენ ყოველთვის გვქონდა, გვაქვს და გვექნება სოციალისტური პერსპექტივა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის, მუშაობის რომელ ფრონტზედაც არ უნდა ვიყოთ, უნდა ვიცოდეთ, რომ დრო არ გვიცდის, და ჩვენი მუშაობის შეფერხება საათით, წუთით წარმოადგენს პლიუსს ჩვენი კლასობრივი მტრისათვის. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ როცა ვასრულებთ პარტიის გადაწყვეტილებებს, ამით ვასრულებთ არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს მრავალ მილიონი [illegible] მუშის ნება-სურვილს, იმიტომ, რომ იერიში ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ეხლა ან მომავალში, არის იერიში არა მარტო საკავშირო კომპარტიის (ბ), არამედ მსოფლიო რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ. ეს ყველა კომუნისტმა უნდა იცოდეს. როცა ის ჰკარგავს ამ რევოლუციონურ კლასობრივ პერსპექტივას, იგი ექცევა მეშჩანობის ჭაობში, მას არ შეუძლია იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც პარტიამ დააკისრა.

პარტიამ უმნიშვნელოვანესი ამოცანები დაისახა. ეს ამოცანები მეტად ძნელი და რთულია. ჩვენ, ჯერ-ერთი, უნდა აღმოვფხვრათ კაპიტალიზმის ყველა ფესვი, ყოველი საშუალებით მთელი ბოლშევიკური სიმტკიცით უნდა ვიბრძოლოთ ყოველგვარი ქანაობისა და პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრის წინააღმდეგ, პირველ ყოვლისა, მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. ჩვენ საქმით უნდა ვიყვეთ მუშათა კლასის წინამძღოლები, უნდა მოვუწოდოთ მუშათა კლასს არა მარტო დღევანდელი, პირდაპირი სოციალისტური მშენებლობისაკენ, არამედ მსოფლიო რევოლუციის მსოფლიო პერსპექტივისაკენ. ის რომ მტერს არ სძინავს ჩვენს ქვეყანაშიაც, თქვენ კარგათ იცით, განსაკუთრებით დღეს, როცა სოციალისტურ. ელემენტებმა გააძლიერეს შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე, განა არ იცით, რომ კაპიტალისტური ელემენტების აქტივობამ და წინააღმდეგობამ აიწია, განა არ იცით, რომ სოფელში მეტის-მეტად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა, რომ მთელ ჩვენ კავშირში ვერ ავსცდით ისეთს შემთხვევებს, როგორიცაა მკვლელობა, აქტივისტ-კომუნისტისა, აქტ.-მოჯამაგ., აქტივისტ-ქალისა? განა არ იცით, რომ აზერბეიჯანში თანდათან ძლიერდება კლასობრივი ბრძოლა, რომ მას თავისი მსხვერპლი მიაქვს რევოლუციის სამსხვერპლოზე? განა არ იცით, რომ ყველაფერი მნიშვნელოვან და დიდ ამოცანებს გვაკისრებს, როგორიცაა სოციალისტური მშენებლობა, კაპიტალიზმის დაწევისა და გასწრობის ამოცანა, სოციალიზმის მშენებლობა, მუშათა კლასის მობილიზაცია და მისი წაყვანა უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

ამისათვის უნდა ვიყოთ მტკიცე, გაბედული და საკუთარი საქმის რწმენით გამსჭვალული კომუნისტები. ჩვენ ვიცით, რომ პარტია სწორედ ასეთია, რომ პარტია, მიუხედავად სიძნელეებისა, სძლევს მათ და მიიმართება წინ.

ამის დამამტკიცებელი ბევრია, ავიღოთ ბაქო. უნდა ვსთქვა, რომ წარსულში მე ცოტათი ვიცნობდი ბაქოს. დღეს ბაქოს ველარ ვიცნობ. ბაქოს სახე შეიცვალა, იგი გარდაიქმნა. იგი ახალი ინდუსტრიალური ქალაქია. ერთი კითხვაც: არის თუ არა დედამიწაზე ისეთი ქალაქი, როგორიც ბაქოა? საქმე იმაშია, რომ არსად მსოფლიოში, თვით ამერიკაშიაც არ მომხდარა ნავთის მრეწველობის ისეთი კონცენტრაცია, როგორც მოხდა აქ. პატარა ტერიტორიაზე თავმოყრილია ნავთის მძლავრი ფენები, უამრავი სიმდიდრე, უდიდესი მუშათა კლასი. პროლეტარებმა ამ ქალაქში უდიდესი საქმე შეასრულეს. აიღეთ ნავთის მრეწველობის ბუმბერაზული განვითარება. მე ძველად მინახავს სარეწაოები; ვნახე ახლაც. ახლა მართლაც გრძნობთ პროლეტარულ ხელს, გეგმიან სოციალისტურ მეურნეობას. ყველა ხედავს, რა ნავთის სახდელი ქარხნებია აგებული, ახალი გიგანტები სრულიად ახალ, საბჭოთა კავშირში ჯერ უნახავ, ტექნიკურ ბაზისზე. მუშაობაში ჩაბმულნი არიან ახალი პროლეტარული კადრები. განა წარსულში ბევრი იყო თურქი მუშა? მე ვიცი, სპარსელი მუშა ბევრი იყო, მაგრამ ადგილობრივი მუშა კი ძალიან ცოტა. განა საბინაო მშენებლობაში ბაქომ არ გადადგა ნაბიჯი წინ? ახალი შენობები, ახალი სახლები,—მართლაც ვერ იცნობთ ქალაქს. მას ახალი ფიზიონომია აქვს, ფიზიონომია სოციალისტური ქალაქისა, რომელიც გოლიათური ნაბიჯით მიდის წინ. სოფლის მეურნეობაში? რაც ამ დარგში აზერბეიჯანში გაკეთდა, საკმარისი არ არის, მაგრამ იმათ შორის, რაც იყო და რაც დღეს არის, დიდი მანძილია. ახალი მშენებლობა, ახალი კულტურა სოფლის მეურნეობაში—ბამბა, კენაფი. ახალი მშენებლობა სოფლის რაიონებში. აიღეთ განჯა. იგი თანდათან ხდება ახალ პროლეტარულ ცენტრად, უმთავრესად თურქ მუშების ცენტრად. მიღწევა უდიდესია. ბევრია გაკეთებული, მაგრამ ეს მიღწევები ჯერ კიდევ საკმარისი არ არის ჩვენი ტემპისათვის.

რამ წარმოშვა უმზგავსეობანი

და აი, ამ მიღწევათა ფონზე უეცრად ჩვენ გამოვამჟღავნეთ სხვადასხვა საქმე. მე ვფიქრობ, რომ გამოამჟღავნა ეს ბაქოს ორგანიზაციამ, გამოამჟღავნეს ბაქოს პროლეტარებმა. მე ვფიქრობ, რომ განკვეთა დაჩირქებული და უვარგისი ადგილისა, რომელსაც დღეს აქვს ადგილი, ხდება ბაქოს მუშის ხელით. აქედან ჩვენ ზოგიერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ. ჩვენ გვაქვს სადგურის გადაღმა რაიონის საქმე, აზერბეიჯანის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საქმე და სხვ. ყველას არ ჩამოვთვლი. ერთი ამხანაგი აღშფოთებული ამბობდა: „ეშმაკმა დალახვროს! როგორ მოხდა, რომ ბაქოს ორგანიზაციას, იმ ორგანიზაციას, რომელიც მსოფლიო რევოლუციის ბელადებს იძლეოდა, დღეს ველარ გამოუნახავს ც. კ.-ისა და ბაქოს კ.-ის მდივანი?" მართლაც და როგორ მოხდა, რომ იმ ორგანიზაციას, რომელსაც ბევრი უდიდესი პარტიული მუშაკი და სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელი მოუცია, ორგანიზაციას, რომელიც მთელი ბოლშევიკური გაბედულებით ამხელდა პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარ გადახრასა და გადახვევას იმ პერიოდის განმავლობაში, რაც აქ საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, ორგანიზაციას, რომლის ფესვებიც პარტიისა და ბაქოს მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობის შორეულ ისტორიაში იმალება,—ამ ორგანიზაციას თავისთვის მდივანი ვერ გამოუნახავს.

ამ ორგანიზაციაში ჩვენ ვამჟღავნებთ მთელ რიგ საქმეებს. რას გვეუბნება ეს? ბევრ რამეს. უპირველესად ყოვლისა, როგორც ეტყობა, ბაქოს ორგანიზაციისა და მთელი აზერბეიჯანის ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში ყველაფერი რიგზე ვერ არის.

ალბად, არის რაღაც განსაკუთრებული პირობები და მიზეზები, რომლებმაც ასეთი არასასურველი მდგომარეობა შექმნეს. როგორია ეს მიზეზები? აქ ილაპარაკეს ოჯახური ცხოვრებით გატაცებაზე, კარჩაკეტილობაზე, კრიტიკისა და თვითკრიტიკისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე. ზოგიერთები აღნიშნავდნენ, რომ თვითკრიტიკა გაშლილი არ არისო. მაგრამ თუ თვითკრიტიკა გაშლილი არ არის, მაშასადამე, წინააღმდეგობას უწევდნენ თვითკრიტიკას. ვფიქრობ, რომ მთავარი ძირითადი მომენტი ბაქოს ორგანიზაციაში შემდეგია: აქ არ იყო მუშების ნამდვილი, გაბედული ბოლშევიკური დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე. ჩემის აზრით, ეს მთავარია (ხმები: „მართალია"). ავიღოთ ამხ. ზეინალოვი, ლენინის რაიონის, ბაქოს ყველაზე დიდი პარტორგანიზაციის მდივანი. მე აქ მოვუსმინე გამოსულ ამხანაგებს, ვიცნობ ამხ. ზეინალოვს მასალების მიხედვით, ვიცნობდი მას წინადაც. იგი ცუდი მუშაკი არ არის, მან იცის საქმე და შეუძლია მუშაობა. მაგრამ ნება მომეცით, შეგეკითხოთ: განა ლენინის რაიონის ორგანიზაციას არ შეეძლო სათავეში ჩაეყენებინა მუშა, განა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 9 წლის განმავლობაში ბაქოს მუშათა კლასმა ვერ შესძლო რაიონის მდივნის მომზადება, თურქი მუშის მომზადება ამ თანამდებობისათვის? თუ წარსულში, არალეგალობის დროს ბაქოს ორგანიზაცია ამზადებდა მსოფლიო რევოლუციის ბელადებს, ნუ თუ მან ვერ შესძლო თურქი მუშის მომზადება პარტიის რაიონის მდივნად? განა ცხრა წლის განმავლობაში ვერ შესძლეს ბაქოს კომიტეტის და ც. კ.-ის ხელმძღვანელობისათვის მოემზადებინათ დაწინაურებული მუშები, რომლებიც ბაქოს ორგანიზაციის ნამდვილი ბელადები გახდებოდნენ? აი, რა არის მთავარი, ამას უნდა მიექცეს უპირველესი ყურადღება. აქ ამხ. კასიმოვმა სწორად სთქვა, რომ ყველაზე მთავარ საკითხს ეხლა შეადგენს მუშების დაწინაურება ხელმძღვანელ ადგილებზე. მუშები გაბედულად უნდა დავაწინაუროთ. ჩვენს პარტიას აქვს დიდი გამოცდილება, რომელიც ამტკიცებს, რომ დაწინაურებული მუშები, პროლეტარულ ორგანიზაციაში მუშაობის დიდი მანძილის გავლის შემდეგ, კარგი ხელმძღვანელები ხდებიან.

სესინის საქმე

გადავალ, ამხანაგებო, სესინის საქმეზე. ეს სერიოზული საქმეა, რომელსაც ანალიზი უნდა გავუკეთოთ მთელი ბოლშევიკური სიმტკიცით, გამოცდილებით და თანმიმდევრობით. აქ იყო ეგრედწოდებული ვირიპაევის საქმეც. რაში მდგომარეობდა იგი? ამ საქმის არსებით მხარეს თითქმის ისეთივე ნიშნები აქვს, როგორიც სესინის საქმეს. ხომ ასეა? გარდა, რასაკვირველია, მკვლელობისა. ლოთობა, გახრწნილებისა და სხ. განა სესინის გახრწნაზე არა სწერდნენ? განა არ სწერდნენ, რომ იგი ლოთია, განა არ ამბობდნენ, რომ იგი არ ვარგა? მე დავამტკიცებ და ვამტკიცებ, რომ ასეთი გაფრთხილება იყო. ორჯერ სწერია ამაზე გაზეთ „ვიშკა"-ში, ეს ნომრები მაქვს, შავით თეთრზე სწერია, რომ სესინი ლოთია, რომ ის არ ვარგა ხელმძღვანელობისათვის. ეს დიდი ხნის წინად დასწერეს, მაშ რაშია საქმე? მაინც რატომ დააწინაურეს იგი? რატომ მოხდა, რომ როცა თვალწინ ჰქონდათ ვირიპაევის მაგალითი, სესინი მაინც დააწინაურეს პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, მერე ბელადად რაიონში? სწორედ სოციალისტური მშენებლობის პირობებში, როცა ბოლშევიკს მოეთხოვება დიდი ღირსება, პროლეტარული ორგანიზაციები რატომ აწინაურებდნენ სესინს? განა სესინს არ იცნობდნენ? და განა თქვენ, ამხანაგებო, ყველანი არ იცნობდით? ვფიქრობ, რომ იცნობდით. გარინი, რამდენადაც მახსოვს, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ იყო ვირიპაევის დროს (ხმები: „დიახ, იყო"). სად არის ეხლა გარინი, რას აკეთებს ის, რა ბრალდებოდა მას წინად? გაფლანგვა, რამდენადაც მახსოვს, 700—600 მანეთის გაფლანგვა (ხმები: „ავანსებს იღებდა"). იღებდა ავანსებს, ვირიპაევთან მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა. იქნებ ფიქრობთ, რომ მე ვერ მოვასწარი ცენტრ. საკონტრ. კომისიის გადაწყვეტილების გადათვალიერება? გარინი ეხლა მდივანია პარტკოლექტივისა, სადაც 400 მუშაა. რატომ მოხდა ასე? როგორ ხდება, რომ ბოლშევიკ მუშებს არ შეუძლიათ ბოლომდე გამოიყვანონ დასკვნები? მიპასუხეთ ამ კითხვაზე.

როდესაც ორგანიზაციაში ასეთი რამ ხდება, ეს მრავალი ჩვენგანისთვის დამაფიქრებელია. გუშინ მოვისმინე ყველა ამხანაგის სიტყვა. არ ყოფილა არც ერთი, რომელსაც არ გაეკრიტიკებინოს რაიკომის მუშაობა. ყველა აკრიტიკებდა. ვიმეორებ, არ ყოფილა არც ერთი, რომელსაც არ გაეკრიტიკებინოს პარტიის რაიკომის მუშაობა. თითქმის არ გამოსულა არც ერთი ამხანაგი, რომელსაც არ ეთქვას, რომ ამ უმსგავსოებაზე უთითებდნენ წინადაც, მაგრამ ხელმძღვანელობა არ ღებულობდა ზომებს. რას გვიჩვენებს ეს? ეს გვიჩვენებს ხელმძღვანელობის საკმაოდ ხანგრძლივ დაავადებას. ზოგიერთი ამხანაგი მსჯელობს, რომ სესინის საქმემ სრულიად შემთხვევით იჩინა თავი, შემთხვევით გაებნენ ბიჭები ამ საქმეში. ამხანაგებო, განა შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ამხანაგები ბუნებით ბოროტმოქმედნი არიან, განსაკუთრებით რუნდაევი და სხვ.? მე მგონია, რომ არა. არც ამაშია მთავარი. საქმე იმაშია, რომ როგორ შეუძლია კომუნისტს ჩვენი პარტიული მუშაობის და სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე ბრძოლის ასეთ პასუხსაგებ ისტორიულ პერიოდში დაჰკარგოს პასუხისმგებლობა, დაჰკარგოს ბოლშევიკის ყნოსვა და ასეთ მდგომარეობამდე დაეშვას?

მაშასადამე, მთელი საქმე მდგომარეობს იმაში, თუ რა პირობები უწყობდნენ ამას ხელს, ანუ როგორი იყო ის ვითარება, რომელმაც ეს საქმე წარმოშვა. ეს პირობები იყო: მასებისაგან მოწყვეტა, შინაურულობის ელემენტები, აქედან თვითკრიტიკის არა საკმაო გაშლა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში თვითკრიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა (ამის შესახებ აქ თქვენ თვითონ ილაპარაკეთ), დასასრულ, პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის რამდენიმედ დაკარგვა. მაშასადამე, ხელმძღვანელობაში არ იყო საქმე მთლად კარგად.

ამხ. ზეინალოვმა თავისი პირველი გამოსვლის დროს, ჩემის აზრით, არც თუ ისე ცუდად აღნიშნა შეცდომები, რომლებიც პარტიის რაიკომს აქვს. იგი კარგად მოიქცა. მაგრამ მეტი იყო საჭირო, და ამხ. ზეინალოვმა, მე მგონია, ეს შეიგნო, როდესაც დღეს ჩემთან მოვიდა და სთქვა: ამხ. გიკალო, მე არ დავსვი სარაიონო ორგანიზაციის წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ მე არ შემიძლია მდივნად დარჩენა, და დღეს ვსვამ ამას.

მე ამას განგებ ვამბობ, რათა იცოდეთ, რომ ზეინალოვს თვითონ გამოჰყავს ეს დასკვნა. არა აქვს მნიშვნელობა ცემას, სრულებითაც არ არის სავალდებულო, რაც შეიძლება მაგრად შემოჰკრა, რომ კაცმა ყოველგვარი გრძნობა დაჰკარგოს. არა, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადამიანმა იფიქროს და დაინახოს, რა ხდება მის ირგვლივ, რა შედეგი მოსდევს მის მუშაობას. ამას აქვს მნიშვნელობა.

სესინის ამ საქმიდან, გარდა პოლიტიკური დასკვნებისა, უნდა გამოვიყვანოთ სრულიად გარკვეული ორგანიზაციული დასკვნები, რომლებიც თქვენ გამოგყავთ. როგორ შეიძლება აღიაროთ, რომ რაიონში ყველაფერი რიგზე არ არის, რომ იყო თვითკრიტიკის დევნის შემთხვევები,—აღიაროთ ყოველივე ეს ბოლშევიკურ ორგანიზაციაში და ამავე დროს არ გავაკეთოთ შესაფერი ორგანიზაციული დასკვნები? ეს, რასაკვირველია, დაუშვებელია. ორგანიზაციამ უეჭველად უნდა გააკეთოს ეს დასკვნები.

აუცილებელი ღონისძიებანი

მაშ, როგორი ორგანიზაციული დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ? აქ ამხანაგები ამბობდნენ, რომ უნდა შეიცვალოს პარტიის რაიკომის მთელი პრეზიდიუმი. ჩემთვის ეს სრულიად ნათელია, (ხმები: „მართალია"). უნდა შეიცვალოს რაიკომი მდივნითურთ.

მდივანს უნდა წავუყენოთ ბრალდება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: შენ ვერ შესძელი რაიონის ხელმძღვანელობა, იმიტომ, რომ ძირფესვიანად არ ამოგლიჯე ვირიპაევის საქმე და ზოგიერთი დაავადება, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინანდელი ხელმძღვანელობის დროს; შენ ვერ გააკეთე ყველაფერი, რის გაკეთებაც საჭირო იყო, ვერ გააკეთე ეს ბოლშევიკურ ორგანიზაციაში.

აი, რა უნდა ვთქვათ, და, ჩემის აზრით, ეს მართალი იქნება (ხმა: „მან არ იცოდა"). ამხანაგებო, მან აქ ერთ წელიწადს დაჰყო, ორ კვირაზე ცოტა მეტია, რაც აქა ვარ და მხედველობაში მიიღეთ, ძალიან ბევრი რამ ვიცი ეხლა.

ვათავებ რა ამით, ორ სიტყვას კიდევ ვიტყვი ერთ საკითხზე. აქ გამოსული ორატორებიდან, ორის გარდა, არავინ არ შეჩერდა რაიონის გარეშე საკითხებზე. ხოლო ისეთი საქმეები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ რაიონის გარეშე, განა არ უნდა დაუკავშიროთ ეხლა რაიონის საქმეს? განა ის ფაქტი, რომ აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მოხსენება სდგას საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ში, პატარა საქმეა? როცა თქვენ, ბოლშევიკებმა, იცით, რომ ც. კ.-ის მოხსენება სდგას ბოლშევიკური პარტიის შტაბში, თქვენ თქვენი სიტყვა უნდა გეთქვათ. მაგრამ ეს არ მოხდა, ამხანაგებო. რას იზამ, ალბად, სხვა საქმეებით იყავით გატაცებულნი, (ხმები: „არ ვიცოდით"), პირველი, არ იცოდით, მეორე, სხვა „საქმეებით" იყავით გატაცებულნი. ალბად, ხელმძღვანელობას „არა სცალოდა" ასეთი საკითხებისათვის. უნდა ვსთქვა და გულახდილად ვაღიარო, რომ ორგანიზაციის მდგომარეობა დღეს მძიმეა, რომ პრაქტიკული მუშაობის ბევრი საკითხი დღეს ჩვენი ყურადღების გარეშე რჩება. უდიდესი მნიშვნელობის საკითხები—ნავთის, ბამბის და სხ. საკითხები—უნებლიეთ რჩებიან ყურადღების გარეშე იმიტომ, რომ იძულებულნი ვართ სხვა საკითხები გავარკვიოთ. ეს კი დაუშვებელია. დაუშვებელია იმიტომ, რომ ბაქოს ორგანიზაცია მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, იმიტომ, რომ ბაქოს მუშები გვაძლევენ ნავთს, იმიტომ, რომ ბაქოს მუშების მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი საბჭოთა კავშირის მრეწველობის ბედი, ე. ი. ინდუსტრიალიზაციის საქმე, იმიტომ, რომ ბაქოს ორგანიზაციის სიმტკიცეზე, მისი პრაქტიკული მუშაობის უნარზე დამოკიდებულია ბოლშევიზმის სიმტკიცე აქ, ამიერ-კავკასიაში.

ბაქოს ორგანიზაცია ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების საფუძველთა საფუძველია. მეტსაც ვიტყვი: ბაქოს ორგ. პირველია, საერთოდ, კავკასიაში. ბაქოს ორგანიზაციას კავშირში, საკავშირო კომპარტიის (ბ) სისტემაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. მაგრამ, ამხანაგებო, საკავშირო კომპარტიაში (ბ) საპატიო ადგილები ორგანიზაციებს ეძლევათ არა „ლამაზი თვალებისათვის", საკავშირო კომპარტიაში (ბ) საპატიო ადგილი ბოლშევიკებს ეძლევათ არა იმისათვის, რომ გულზე ხელდაკრეფილნი ისხდნენ,—საკავშირო კომპარტიაში (ბ) საპატიო ადგილი, კერძოდ ბაქოს ორგანიზაციას ეძლევა იმიტომ, რომ იგი იყო მეტად მტკიცე ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომ იგი მართლაც იყო ღერძი, რომელსაც ვეყრდნობოდით და რომლის მეოხებითაც აქ, კავკასიაში, ვახორციელებდით ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას.

ამხანაგებო, თუ ბაქოს ორგანიზაციას ასეთი ადგილი უჭირავს, თუ იგი საკავშირო კომპარტიის (ბ) ღერძია, რასაკვირველია, ბაქოს ორგანიზაციას და, კერძოდ, მის ხელმძღვანელობას მეტი უნდა მოეთხოვებოდეს. თუ ბაქოს ორგანიზაცია ჩვენი საკავშირო კომპარტიის (ბ) ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზაციაა, იგი ამავე დროს უნდა იყოს ბოლშევიზმის სამაგალითო ორგანიზაციაც, უმტკიცესი ორგანიზაციაც.

ამხანაგებო, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბაქოს ორგანიზაცია შესძლებს გაბედულად, მთელი ბოლშევიკური სიმტკიცით აღმოფხვრას ყველა შეცდომა, გახრწნის ყველა ელემენტი, რომელიც მოედო ხელმძღვანელობის ან ორგანიზაციის ცალკე საფეხურებს. ბაქოს ორგანიზაცია მთელი ბოლშევიკური გაბედულებით დასძლევს ყველა დეფექტს, რომელსაც ადგილი აქვს მის წრეში, თავისი საკუთარი ხელით გამოასწორებს ამ დეფექტებს და იქნება ურთგულესი და უმტკიცესი ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ჩვენ ბოლშევიკურ შტაბს—საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ს (ხანგრძლივი ტაში).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეხუთე პლენუმზე

გუშინ, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მე-5 გაფართოებული პლენუმი—რაიკომების წევრების და კანდიდატების, პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობათა ფრაქციების თავმჯდომარეების და მსხვილი უჯრედების მდივნების თანდასწრებით.

პლენუმის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვება და პარტიის ამოცანები, 2) პარტგანათლების შედეგები და პერსპექტივები და 3) საერთაშორისო წითელი დღის ჩატარების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. გალ. ვაშაძემ. კამათში მონაწილეობა მიიღო 10 კაცმა. ორატორები მიზანშეწონილად სცნობდენ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვებას და აღნიშნავდნენ მუშათა დაინტერესებას ამ საქმით, რაც გამოიხატა იმაში, რომ უკვე ამჟამად იწყება ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე წინასწარი ხელისმოწერა.

პლენუმმა მიიღო მიმართვა პარტიისა და კომკავშირის წევრებისადმი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ.

შემდეგ პარტგანათლების შედეგებისა და პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ადამიანმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. თავშავაძემ, სარქისოვმა, ხაჟალიამ, მარტინოვმა, ხუციბერიძემ, ადამიძემ, გამრეკელმა, მდივანმა და შოგირაძემ, რის შემდეგ მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუცია.

საერთაშორისო წითელი დღის ჩატარებისათვის მზადების შესახებ მოკლე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. ასრიბეკოვმა.

დასასრულ პლენუმმა დაადგინა თბილისის კომიტეტის შემადგენლობიდან გამოყვანილი იქნეს ამხ. ბოჭორიშვილი და მის მაგივრად კომიტეტის და პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს ამხ. ლუკა ლომიძე.

—:—

ცვლილებები ს.კ.პ. (ბ) ქალაქის რაიკომის პრეზიდიუმის შემადგენლობაში

საქართველოს კ.პ. (ბ) ქალაქის რაიკომის უკანასკნელმა პლენუმმა რაიკომის მდივნის მოვალეობიდან განთავისუფლა ამხ. მორჩილაძე მისი ტყავტრესტში სამუშაოდ გადაყვანის გამო და მის მაგივრად რაიკომის მდივნად აირჩია ამხ. ლუკა ლომიძე.

გარდა ამისა, პლენუმის დადგენილებით [illegible] პრეზიდიუმის შემადგენლობიდან გამოყვანილი არიან ამხ. გობეჩია, კუდრიავცევი, ლუჩანსკაია, აგრბა, ნიკოლაიშვილი და ბოჭორიშვილი. პრეზიდიუმში შეყვანილია შემდეგი ამხანაგები: ლომიძე ლუკა, სიხაშვილი, მ. ჩუბინიძე, ა. რუხაძე, ჩიტორიანი და ბაიანდურაშვილი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი თანხები ინდუსტრიალიზაციისათვის

მესამე სესხზე ხელისმოწერის კამპანია ფართოდ იშლება

2 თვის ხელფასი

მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოსმენილი იქნა ა.-კ. ფინსახკომის წარმომადგენლის ამხ. [illegible] მოხსენება სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების და სახელმწიფო სესხების მიზნების შესახებ. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები შეინახონ კოლექტიურად და არ გაყიდონ სანამ არ გავა სესხის ვადა. ვისაც არა აქვს შეძენილი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაცია, უნდა შეიძინოს და სხვებთან ერთად მიაბაროს შესანახად. გარდა ამისა კრება სთხოვს ხელისუფლებას დაჩქარებით გამოუშვას ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი, რომელიც მთლიანად უნდა მოხმარდეს ინდუსტრიალიზაციის მიზნებს. მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე წინასწარ აწერენ ხელს ორი თვის ხელფასის ოდენობით.

„ზაკვოენტო"-ს ცენტრალური საწყობის თანამშრომლებმა (10 კაცმა) ხელი მოაწერეს ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე 1.080 მანეთის რაოდენობით და გამოიწვიეს „ზაკვოენტო"-ს პირველი და მესამე მაღაზიების თანამშრომლები.

ხელს ვაწერთ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე 250 მანეთის რაოდენობით თვითეული და ვიწვევთ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თანამშრომლებს: ამხ. მარკმანს, ზუაძეს, ბეჟანიშვილს, ეირანოვს, ქშონძერს, ომაროვს, კაკაურიძეს, გიორგობიანს (ადგკ.). პელიძეს; კავშირების ცენტრალურ გამგეობათა თანამშრომლებს: მემაღაროეთა კავშირიდან: ფურცელაძეს. ჯაფარიძეს და ნოვოსელცკის; ტრანსპორტის მუშაკთა კავშირიდან: კლდიაშვილს; პაიჭაძეს; საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირიდან: გოგოხიას, მაისურაძეს; ხელოვნების მუშაკთა კავშირიდან: გაჩეჩილაძეს; მიწა-ტყის მუშაკთა კავშირიდან: ლეკვეიშვილს, ღულაძეს.

არჯევანიძე, ნარიმანოვი, ბაინდუროვი, უნგიაძე.

ხელს ვაწერთ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე სამას-სამასი მანეთის რაოდენობით თვითეული და ვიწვევთ კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ყველა თავმჯდომარესა და მოადგილეებს: ამხ. გოზალოვს, ფირაშვილს. მატინიანს, თალაკვაძეს, ჩიტაძეს; აკოფოვს. გურულს, ავანოვს, სალდაძეს, ოგანოვს, მოსესოვს, ცინცაძეს, ჰქვიანოვს, ოსიპოვს; ფანცულაიას, ნაცვლიშვილს, შიშინაშვილს, კოპლამაზაშვილს; ციტეკიძეს, ფურცელაძეს, ბიქტორ სიხარულიძეს, მელიქაძეს, რაზმაძეს, ქურდევანიძეს, ბოჭორიშვილს, დ. ორჯონიკიძეს, ვანო სტეფანოვს, თვალჭრელიძეს; კაკელიძეს; საბა ორჯონიკიძეს, კომახიძეს. ჯიჯაძეს, მ. აკოფოვს, გეგენავას, ბ. ბრუთიანოვს; დისამიძეს; შესტოვს, სირაძეს, ქილარჯიშვილს, ვალიკო სიხარულიძეს, გოგოჩიშვილს; ავტონომიური რესპუბლიკების პროფკავშირთა საბჭოებისა, საოლქო პროფკავშირთა საბჭოებისა, სამაზრ. პროფბიუროებისა და კავშირთა სამაზრო განყოფილებების თავმჯდომარეებსა და მდივნებს.

მაჩაიძე, მაშკევიჩი, ანთიძე, გოდაბრელიძე.

24 ივლისს შესდგა ზაჰესის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებამ მოისმინა სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლის ამხ. ინწკირველის მოხსენება სახელმწიფო სესხების მნიშვნელობის და ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების კოლექტიურად შენახვის შესახებ.

კრებამ ერთხმად დაადგინა თავი შეიკავოს ობლიგაციების გაყიდვისაგან უკიდურეს გაჭირვებამდე. ამ მიზნით გამოყოფილ იქნა კომისია, რომელსაც მიენდო მუშა-მოსამსახურეთა შორის მუშაობის ჩატარება იმის შესახებ, რომ ობლიგაციები გადასცენ სახელმწიფო ბანკს შესანახად.

გარდა ამისა ზაჰესის მუშა-მოსამსახურეები მუქდენელ ბაშიბუზუკების გამოსვლების საპასუხოდ მთავრობისაგან მოითხოვენ **ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის დაჩქარებით გამოშვებას.**

თბილისის ჯან. განყოფილების 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საინიციატივო ჯგუფი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოწერის ჩასატარებლად, რომელმაც უკვე მოაწერა ხელი 1.500 მანეთის ობლიგაციაზე.

ამავე მიზნით საინიციატივო ჯგუფი იწვევს საექიმო-სასანიტარო დაწესებულებებს, ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს, რესპ. მთავარი საავადმყოფოს, ვენ-ინსტიტუტს, კამოს სახ. საავადმყოფოს, რკინის გზის საავადმყოფოს, საზებიო ინსტიტუტს, ფსიქიური ინსტიტუტს, ჯან. განყოფილებას, კურორტთა სამმართველოს, ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტს, ჯანმრთელობის განყოფილების ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტს, და ქალაქის და რკინის გზის ტუბ-დისპანსერებს.

საინიციატივო ბიუროს წევრები: **გორდელაძე, გარსოევა, ჯაგაშვილი.**

—:—

წინასწარი ხელისმოწერით ობლიგაციაზე შეგროვდა 18.765 მან.

თბილისის რკინის გზის საავადმყოფოს დირექტორის ვ. ნემსაძის თაოსნობით შესდგა საინიციატივო ჯგუფი, რომლის მიზანია ჩაატაროს თანამშრომელთა შორის წინასწარი ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მე-3-მე სესხზე. ამ ამბავმა პირველ დღესვე მხურვალე თანაგრძნობა ჰპოვა ექიმთა შორის. ამ დღეს ხელი მოაწერა 72 ექიმმა, საშუალო მედპერსონალმა და ტეხნიკურმა მოსამსახურემ.

თვითეული ხელის მომწერის ჯამის საშუალო რაოდენობა უდრის 100 მან.-დან 500 **მანეთამდე, რაც შეადგენს 18.765 მან.**

აღსანიშნავია საერთოდ საავადმყოფოს თანამშრომლების ერთსულოვანი მისწრაფება სახალხო მეურნეობის გაფართოება-გაუმჯობესებისაკენ, რაც გამოიხატება იმაში, რომ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ხელის მომწერთა, მეტმა ნაწილმა ობლიგაციები კოლექტიურად შეინახა შემნახველ სალაროში.

იმედია ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხსაც მედპერსონალი და თანამშრომლები ჩვეულებისამებრ შეხვდებიან და დასახულ მიზნის განხორციელებისათვის მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ მისი ობლიგაციების რეალიზაციაში..

ვეფხვი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის 1929—30 წ. საკონტროლო ციფრები

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა საქ. სოფლის მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1929—30 წლისათვის.

პურისა და ფურაჟის ბალანსის დეფიციტი განისაზღვრა 1.720 ათ. ცენტნერ. (10,4 მილ. ფ.).

ხორბლეული კულტურის (გაზაფხულის) ნათესების არეს გადიდება განისაზღვრა 7 პროცენტით. მოსავლის 4,9 პროცენტით გადიდებასთან ერთად, ხოლო შემოდგომის ხორბლეულისა კი 2,3 პროცენტით მოსავლის 5,5 პროცენტით გადიდებასთან ერთად.

ტეხნიკურ კულტურების არე გადიდებულ იქნა 23,4 პროცენტით, აქედან: ბამბის 40 პროცენტით (8.000—12000 ჰექტ.), თამბაქოს —13,3 პროცენტით (15.000—17.000 ჰექტ.), კანაფის —333,3 პროც. (150—650 ჰექტ.), დანარჩენი კულტურებიდან: ბოსტნეული გადიდებულ იქნა 50 პროცენტით (4.700—7.050 ჰექტ.), და სათესი ბალახი—66,7 პროც. (3.000—5000 ჰექტ.).

სპეციალურ კულტურებიდან საჭიროდ იქნა ცნობილი საერთო არეს გადიდება 8,4 პროცენტით, აქედან: ჩაის—457,7 პროცენტით (7,8 ათ. ჰექტარიდან 12,3 ათ; ჰექტარამდე), ბაღების—3,4 პროცენტით (17,9 ათ. —18,5 ათ. ჰექტარამდე).

მუშა-საქონლის გადიდება განისაზღვრა 2,4 პროცენტით (550,4 ათ.—563,8 ათ. სულამდე). საპროდუქტო საქონელი გადიდებულ იქნა 3,4 პროც. (462,2 ათ.—478,1 ათასამდე), ცხვრის ფარას გადიდება განისაზღვრა—12,9 პროცენტით (1917 ათ.—2,164 ათასამდე) და ღორების 12 პროცენტით (662,2 ათ.—741.7 ათასამდე).

მელიორაციისათვის საჭიროდ იქნა ცნობილი 41.870 ჰექტარის გამოყოფა, აქედან გაზაფხულისათვის უნდა იქნეს მიღებული 16.700 ჰექტარი.

მიწადმოწყობა ჩატარებული იქნება 267.000 ჰექტარზე, აქედან: ჩაის რაიონებში —142.000 ჰექტ. და სხვ. 125.000 ჰექტ.

საჭიროდ იქნა ცნობილი რესპუბლიკის ფარგლებში 1800 მეურნეობის გადასახლება ახალ მიწებზე, ხოლო რესპუბლიკის ფარგლების გარეთ კი 1.000 მეურნეობისა.

გლეხების მეურნეობათა კოლექტივიზაცია უნდა იქნეს აყვანილი 7,8 პროცენტამდე; კოლმეურნეობათა განმტკიცებასთან ერთად გაძლიერებულ იქნება მათი აგროტეხნიკური მომსახურეობა.

საჭიროდ იქნა ცნობილი ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობა. ერთი მემინდვრეობა-მესაქონლეობის დარგში (1200 ჰექტ.), ერთი მემინდვრეობა-მეცხვარეობის დარგში (შირაქში—2.000 ჰექტ.), ერთი შაქრის ჭარხლისა (გორის მაზრაში) და ორი ჩაის მეურნეობისა (ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებში).

ტრაქტორებით მომარაგებისათვის საჭიროდ იქნა ცნობილი 300 ტრაქტორის შემოტანა.

საქართველოს ტყეების შემოსავალი განისაზღვრა 2.600.000 მანეთით.

1929—30 წ. უნდა იქნეს დაწყებული საქართველოს ეკონომიური დარაიონება, იმ ანგარიშით, რომ აღნიშნული დარაიონება დამთავრდეს სამი წლის განმავლობაში. ამ მიზნისათვის საჭირო 135.000 მან. შეტანილი იქნება მიწსახკომის ხარჯთაღრიცხვაში.

საკონტროლო ციფრებით სოფლის მეურნეობაში 1929—30 წ. განმავლობაში დაბანდებული იქნება—36.733.000 მანეთი. აქედან საერთო ხასიათის ღონისძიებათათვის გათვალისწინებულია—16.067.000 მან., მცენარეობის დარგში—9.300.000 მან., მესაქონლეობისათვის—2.019.000 მან. და სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის—5.812.000 მან.

ყოფ. წითელი მეთაურები სამოქალაქო სამსახურში

(ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ბევრ დაწესებულება - წარმოებაში თადარიგის მეთაურები შეუფერებელ თანამდებობაზეა დანიშნული. — ბევრი მათგანის მატერიალური მდგომარეობა გაუარესებულია. — ზოგიერთ დაწესებულებებში თადარიგის მეთაურთა გარშემო შექმნილია აუტანელი ატმოსფერა. — ა.-კ. მუშგლეხინს განზრახული აქვს პასუხისგებაში მისცეს რამდენიმე დაწესებულების ხელმძღვანელი თადარიგის მეთაურთადმი უყურადღებობისათვის.

24 ივლისს, საღამოს, წითელ არმიის სახლში შესდგა თბილისში მყოფ სათადარიგო მეთაურთა კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის მუშგლეხინის წარმომადგენლის მოხსენება თადარიგის უფშემადგენლობის სამსახურში მოწყობის შემოწმების შედეგებზე.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ამ.-კავკ. მუშგლეხინმა შექმნა 13 სპეციალური ჯგუფი, რომელნიც აწარმოებდნენ თადარიგის უფშემადგენლობის სამსახურებრივ - უფლებრივ მდგომარეობის გამორკვევას ამიერ-კავკასიის ყველა დიდ ქალაქებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თადარიგის მეთაურთა სამსახურში მოწყობის საკითხს.

წითელი არმიიდან დათხოვნის შემდეგ თადარიგის მეთაურთა მოწყობა სამსახურში დავალებული აქვს ცალკე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან არსებულ სპეციალურ კომისიებს. ამ კომისიების მუშაობაში დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ.-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში თითქმის მთელი ასი პროცენტი წითელ-არმიიდან დათხოვნილ უფშემადგენლობისა მოწყობილია სხვადასხვა დაწესებულებებში და წარმოებებში. თადარიგის მეთაურთა შემადგენლობიდან ამჟამად უმუშევრად ირიცხება: თბილისში 21 კაცი, ბაქოში—5, განჯაში—2, ბათომში—3 და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს კომისიის მიერ აღრიცხვაზე აყვანილია 41 კაცი. შედარებით მცირე რიცხვი უმუშევრებისა მოწმობს იმას, რომ რიცხვობრივი თვალსაზრისით კომისიების წინაშე დასმული ამოცანა თითქმის შესრულებულია.

სულ სხვა სურათი გადაშალა მომხსენებელმა, როდესაც შეეხო საქმის ხარისხოვან მხარეს, ე.ი. იმას, თუ როგორია სამსახურში მოწყობილ მეთაურთა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა. ჯერ კიდევ 1926 წელს 14 სექტემბერს იყო გაცემული სპეციალური დირექტივა, რომ თადარიგის უფშემადგენლობის სამოქალაქო დაწესებულებებში მოწყობის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუარესდეს მათი მატერიალური მდგომარეობა. ეს მითითება დაწესებულებების ადმინისტრაციის მიერ უმრავლეს შემთხვევაში არ ტარდება ცხოვრებაში. ამიერ-კავკასიის მასშტაბით სამსახურში მოწყობილ თადარიგის უფშემადგენლობის მესამედი ღებულობს უფრო ნაკლებ ხელფასს, ვიდრე წითელ ჯარში ყოფნის დროს იღებდა. განსაკუთრებით ცუდათ არის დაყენებული ეს საქმე თბილისში და ბაქოში. ყოველივე ეს იწვევს სამართლიან საყვედურს უფშემადგენლობის მხრივ.

დაწყებული 1926 წლიდან, ე.ი. მთავრობის კომისიების დაარსების დღიდან, ამ საკითხზე მეთაურებისაგან შემოსულია 629 საჩივარი და აქედან, მხოლოდ 10 პროცენტია დაკმაყოფილებული.

ყოფილი მეთაურების დიდი რიცხვი რკინის გზაზე მიღებულია ტაბელჩიკებად და მოანგარიშეებად. ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოება ყოფ. მეთაურებს ნიშნავს გამყიდველებად სავაჭრო დარაბებში. ყოფილი ლეგიონის თავი ამჟამად გადამწერათ მუშაობს ერთ-ერთ დაწესებულებაში. რკინის გზის შეიარაღებულ რაზმში ყოფილ მეთაურებს, მიუხედავად მაღალი კვალიფიკაციისა, ნიშნავენ მსროლელებათ. თბილისის ტრამვაის ადმინისტრაცია ყოფილ მეთაურებს შავ მუშებად იყენებს. თბილისის შრომის ბირჟაში ყოფილი მეთაურები „სპეციალურ აღრიცხვაზე" არიან აყვანილი მეეზოვეთა და შავ მუშების სექციებში.

ხშირია თადარიგის უფშემადგენლობის სამსახურიდან დათხოვნის, ჩამოქვეითების, ხელფასის დაკლების, ერთ ადგილიდან მეორეზე გადაყვანის (სურვილის გარეშე) შემთხვევები. ზოგან ყოფილი მეთაურების ირგვლივ შექმნილია იმდენად აუტანელი ატმოსფერა, რომ ისინი იძულებული ხდებიან თავის სურვილით დაანებონ თავი სამსახურს.

როდესაც ერთერთმა ყოფ. მეთაურმა, ამხ. ბერიონმა რკინის გზაზე აღმოაჩინა 284 ათასის გაფლანგვა, მას განყოფილების თანამშრომლებმა გამოუცხადეს თავისებური ბოიკოტი, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ არც ერთი ქაღალდი არ მოდიოდა მის მაგიდაზე რამოდენიმე კვირის განმავლობაში. ცხადია, რომ ასეთი არანორმალური პირობები ბევრ შემთხვევაში კლავდა მუშაობის ხალისს თადარიგის უფშემადგენლობაში.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის მუშგლეხინს განზრახული აქვს მთელ რიგ დაწესებულებების ხელმძღვანელთა და მომუშავეთა პასუხისგებაში მიცემა თადარიგის უფშემადგენლობის მიმართ ამგვარი მოქცევისათვის. შემდეგში მიღებული უნდა იქნეს ყოველგვარი ღონისძიებანი, რომ წითელ-არმიიდან დათხოვნილი უფშემადგენლობის ინტერესები დაცული იქნეს ისე, როგორც ეს არის აღნიშნული უმაღლეს ორგანოების დირექტივებში. ამავე დროს ყურადღება მიექცევა, რათა შემოღებული იქნეს წესად სახკომსაბჭოსთან არსებულ კომისიების მოხსენებების მოსმენა თადარიგის უფშემადგენლობის კრებებზე მათი მუშაობის შესახებ. ეს ერთი მხრით ასწევს ამ კომისიების ავტორიტეტს მეთაურებში და მეორე მხრივ გააძლიერებს სამოქალაქო დაწესებულებების პასუხისმგებლობას თადარიგის უფშემადგენლობის სამსახურით და უფლებრივად უზრუნველყოფის დარგში.

გარდა მუშგლეხინის მოხსენებისა კრებაზე მოსმენილ იქნა მუშკოოპის, ალმასკომის და სხვა დაწესებულებების გამომკვლევ კომისიების მოხსენებები, რომელიც აგრეთვე ეხებოდა ამ დაწესებულებებში მყოფ უფშემადგენლობის მდგომარეობას.

კამათში მოხსენებების გარშემო გამოვიდნენ თვით თადარიგის მეთაურები, რომელთაც დაადასტურეს ყოველივე ის, რაც იყო ნათქვამი მომხსენებლების მიერ.

ი. რ—ი.

ა. კ. სახკომსაბჭოში

სტუდენტების მდგომარეობის გაუმჯობესება

ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ყველა ორგანიზაციებს მომავალ სამეურნეო წელს გაადიდონ უმაღლეს სასწავლებლების და ტეხნიკუმების მოსწავლეთათვის სტიპენდიების გასაცემი თანხები; ვინაიდან მოსწავლეთა საერთო რაოდენობასთან შედარებით სტიპენდიას ღებულობს მოსწავლეთა მცირე რაოდენობა, სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო დაისვას საკითხი სტიპენდიების ფონდში გადასარიცხ პროცენტის გადიდების შესახებ.

ხორცის ფასები

საკლავი საქონლის დასამზადებელი ფასების ზრდის გამო ა.-კ. სახკომსაბჭომ დააწესა საქონლის ხორცის ახალი საგასაცემო ფასები: თბილისისათვის ცენტნერ ხორცზე დაწესებულია 90 მან. 31 კაპ. (ფუთზე—14 მან. 80 კაპ.), ბათომისათვის ცენტნერზე—109 მან. 49 კაპ. (ფუთზე—17 მან. 94 კაპ.).

უმაღლეს კვალიფიკაციის მუშების მოსამზადებლად

უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე წყალთა მეურნეობის მუშაკების მოსამზადებლად ა.-კ. სახკომსაბჭომ გადასდო 150.000 მან.

ქალთა აქტივის მომზადება

ა.-კ. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო მუშაქალების აქტივის მოსამზადებელ კურსების გახსნა. ა.-კ. ფინანსთა სახკომისარიატს წინადადება მიეცა გამონახოს აღნიშნული კურსების მოწყობისათვის საჭირო თანხები.

წითელი ჯვრის რაზმები

სტიქიურ უბედურების დროს სამუშაოდ გაწვევის შემთხვევაში წარმოება-დაწესებულებები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ სამსახურიდან წითელ ჯვრის საზოგადოების რაზმების წევრები. ამასთანავე რაზმების წევრებს უნდა შეენახოს ხელფასი.

მოსახლეობის თანხების მობილიზაცია

ა.-კ. სახკომსაბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა მოხსენება მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის შესახებ და აღნიშნა, რომ კამპანია გაშლილია არადამაკმაყოფილებლად. ვადაგადასულ სესხების აკრეფის კამპანიის ვადა გაგრძელებულია 1 დეკემბრამდე. კამპანია განსაკუთრებით გაძლიერებული უნდა იქნეს 1 აგვისტოდან და 1 ოქტომბრისათვის ვადა გადასული სესხები მთელ ამიერ-კავკასიაში აკრეფილი უნდა იქნეს არა ნაკლებ 2,500.000 მანეთისა. აქედან საქართველოში აკრეფილი უნდა იქნეს 1.025.000 მან., აზერბეიჯანში—1.025.000 მანეთი და სომხეთში—450.000 მანეთი.

კამპანიის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ შეღავათები გავრცელებული იქნეს მხოლოდ კოლექტიურ მეურნეობებზე და სას.-სამ. გადასახადისაგან განთავისუფლებულ ინდივიდუალურ მეურნეობებზე.

სახდაზღვევის მუშაკთა თათბირი

თათბირის მეოთხე სხდომაზე, 22 ივლისს საღამოს, სახდაზღვევის ა.-კ. სამმართველოს წარმომადგენელმა რუვინსკიმ მოხსენება გააკეთა მუშა, მეწველი და სხვა საქონლის დაზღვევის დიდი ზარალიანობის და ამ ზარალთან ბრძოლის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენს სინამდვილეში ადგილი აქვს დასაზღვევ ობიექტების საგრძნობი რაოდენობით გადამალვას, რაც დიდ ზარალს აყენებს სახდაზღვევის საქმეს. გარდა ამისა ამიერ-კავკასიაში, უკანასკნელი წლების განმავლობაში, ხანგრძლივი ზამთრების და საკვების სიმცირის გამო გაწყდა დიძალი საქონელი, რაც კიდევ უფრო დიდ ტვირთად დააწვა სახდაზღვევას, ვინაიდან მოულოდნელად ასანაზღაურებელი გახდა დიდი თანხა. სახდაზღვევა ვალდებულია დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს გლეხობას უბედური ან სტიქიური შემთხვევით გამოწვეული ზარალი. ეს სახდაზღვევის პირდაპირი ამოცანაა. მაგრამ ადგილი აქვს სახდაზღვევის მიზნების არაკეთილ სინდისიერად გამოყენებას. სოფლის ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მუშაკი საბჭოს წევრი იქნება იგი, ვეტერინარი, ექიმი თუ სხვა) სისტემატიურად აძლევს ასეთსავე არაკეთილსინდისიერ გლეხებს ყალბ მოწმობას საქონლის დახოცვის შესახებ და შუამდგომლობს „დაზარალებული" გლეხობისთვის „ჯილდოს" ძიცემის შესახებ. აღმოჩენილი იქნა რამდენიმე შემთხვევა, როცა ასეთ ყალბ მოწმობებს ეს პირები აძლევენ ანგარების მიზნით.

ამ მოვლენების წინააღმდეგ საჭიროა სასტიკი ბრძოლის წარმოება. მარტო აგენტები ამ საქმეს ვერ გაწევდებიან. მათთვის დახმარების გაწევის მიზნით შემოღებულია ლიკვიდატორთა ინსტიტუტი. მაგრამ არც ეს კმარა და ამ ბოროტებასთან ბრძოლაში ჩაბმული უნდა იქნეს სოფლის ყველა აქტიური ძალები. ამასთანავე საჭიროა დიდი სიფხიზლე და დაკვირვება, რომ დაუჯილდოვებელი არ დარჩეს მართლა დაზარალებული გლეხი.

ამხ. რუვინსკის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელიც გაგრძელდა თათბირის მეექვსე სხდომამდე. კამათში მონაწილეობა მიიღო 60-მდე კაცმა.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახდაზღვევის მიზნების პოპულიარიზაციას. ამ საქმისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ყოველგვარი სასოფლო ყრილობა, ცალკე ჯგუფების, კომკავშირის კრებები და სხვ. გარდა ამისა ამავე მიზნით საჭიროა სპეციალური კამპანიის ჩატარება, პოპულიარული ბროშურების და პლაკატების გამოცემა და სხვ.

აღრიცხვის საქმის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილი იქნება, რომ დასაზღვევ ობიექტების აღრიცხვა ჩამოერთვას ფინანსთა სახ. კომისარიატს და გადაეცეს სახდაზღვევის ორგანოებს. გარდა ამისა გაადვილდება დასაზღვევ ობიექტების ცვლილებების აღრიცხვა. აგენტების ნაწილი კარგად არ არის გაცნობილი დაზღვევის სხვადასხვა სახეებთან, რის გამო საჭიროა ინსტრუქტაჟის გაძლიერება და აგენტების გადასამზადებელ კურსების მოწყობა.

განაკვეთის იძულებითი აკრეფის დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე, რომ გადაჭარბებულ ადმინისტრატიული ზომით არ დაზიანდეს ღარიბი გლეხი და არ დაეცეს სახდაზღვევის პრესტიჟი.

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე, 24 ივლისს, განხილული და დამტკიცებული იქნა რეზოლიუციები და თათბირი დაიხურა.

ზაჰესის გაფართოება

ჯერ კიდევ სამი წელი არ გასულა მას შემდეგ, რაც დამთავრდა ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროსადგურის აგება (ზაჰესი) და უკვე მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა საკითხი მისი ძალოვნების გაფართოების შესახებ.

ტრესტი „ელდენი", უმაღლესი ორგანოების დირექტივების თანახმად შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას სადგურის გასაფართოებლად 18 ათასიდან 54 ათას ცხ. ძალამდე. პროექტი საბოლოოდ შედგენილ იქნება არა უგვიანეს 1930 წლის იანვრისა, ახლო გაზაფხულზე დაიწყება მისი განხორციელება. ზაჰესის აგება დაჯდა 18 მილიონი მანეთი. სადგურის ძალოვნობის სამჯერ მეტად გადიდება დაჯდება 6 მილიონი მანეთი. ამ თანხაში შედის ამამაღლებელი ქვესადგურის აგება, რომელიც ზაჰესს შეაერთებს რიონჰესთან. 1931 წელს მუშაობა დამთავრდება და შემოდგომაზე სადგური ამუშავდება 54.000 ცხენის ძალით.

—:—

„ზაჰესი"—„ვოლხოვსტროი"

ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურმა და „ვოლხოვსტროი"-მ ივნისში დასდეს ხელშეკრულება სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. საბჭოთა კავშირის ამ ორ უდიდეს ჰიდროსადგურებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად ზაჰესმა წლიურად უნდა გამოიმუშაოს 30 მილიონი კილოვატ საათი, რაც 1927—28 წელთან შედარებით შეადგენს მომატებას 50 პროცენტით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების დადების დროიდან გავიდა მხოლოდ 1 ნახ. თვე, ცნობები ზაჰესის მუშაობის შესახებ მოწმობენ, რომ სადგურის მუშებმა და ადმინისტრატიულმა პერსონალმა კარგად შეიგნეს, თუ რას ნიშნავს სოციალისტური შეჯიბრება. ივნისში გამოშვებულ იქნა 2,5 მილიონი კილოვატ-საათი, ანუ 120.000 კილოვატ-საათით მეტი მაისთან შედარებით. ივლისის პირველ ნახევარში მუშაობის ტემპი არ შენელებულა და ყოველდღიური გამომუშავება შეადგენს 84.000 კილოვატ-საათს. ეს ციფრები მოწმობენ, რომ ხელშეკრულება უეჭველად მთლიანად იქნება შესრულებული.

რა ხდება ადგილებზე

ახალი აღმშენებლობა ზუგდიდის მაზრაში

ზუგდიდი, 24 ივლისი. (საკ. კორესპ.). უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ზუგდიდის მაზრას აღმშენებლობის დარგში აქვს თვალსაჩინო მიღწევები: დამთავრდა ქალაქის სასტუმროსა და კოოპერატიული მაღაზიებისათვის ქვის ორსართულიანი დიდი შენობის აგება, შეძენილ იქნა 60-ძალიანი ელექტრო-მოტორი, რომელიც ანათებს ქალაქის [illegible], აშენებულია დიდი სასაკლაო, რემონტი გაუკეთდა ყველა კომუნალურ სავაჭრო და საბინაო დაწესებულებებს, აგებულ იქნა აგურ-კრამიტის ქარხანა, რომლის ქურა აძლევს [illegible] აგურს და კრამიტს, აგებულ იქნა ჩაის საშრობი ქარხანა და მუშების ბინები, დადიანის ყოფილი ეკლესია, ხალხის მოთხოვნით, გადაკეთდა მუზეუმად, აშენდა ბაგები ჯიშიანი საქონლისათვის, მიმდინარეობს ახალი საავადმყოფოს შენებლობა, გამაგრებულ იქნა დამბებით ყველა მდინარეების ნაპირები წყალდიდობისაგან დაცვის მიზნით, ქალაქის ქუჩები მოფენილ იქნა ქვაფენილებით, გაყვანილია კანალიზაცია და სხვ. ამ ხნის განმავლობაში მშენებლობაზე დაიხარჯა 274.884 მანეთი. სოფლის მეურნეობაში ორი წლის განმავლობაში მაზრას აქვს 132 კოლექტივი; ზოგიერთ თემში კოლექტივებში გაერთიანებულია მოსახლეობის, თითქმის, 75 პროცენტი. რაც შეეხება ნათესების მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ წელს თესვისათვის ცუდი ამინდები იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ შარშან მაზრაში 41000 ჰექტარი მიწა იყო დათესილი, წელს დათესილია 44.000 ჰექტარი. როგორც სიმინდის, ისე სხვა კულტურების მოსავალს საუკეთესო პირი უჩანს. საჭიროა მაზრის სამეური ახლავე შეუდგეს მოსავლის აკრეფის სამზადისს, რომ ხელი არ შეუშალოს შემოდგომის თესვას. შარშან მაზრაში დაითესა 200 ჰექტარი ჭვავი, წელს კი უნდა დაითესოს 5.500 ჰექტარი, საჭირო თესლი უნდა შემოიზიდოს ცენტრალური სამეურნეო ორგანოების საშუალებით.

ა. კოდუა.

—:—

პარტიის წმენდა

ზურჯაანი, 24 ივლისი. დაიწყო პარტიის წმენდა. მუშაობს ორი კომისია. წმენდა მიმდინარეობს უპარტიოთა მასის აქტიური მონაწილეობით (ადს).

ცრუ-კოლექტივები

ზურჯაანი, 24 ივლისი. წითელ წყაროს რაიონში გაჩნდნენ ცრუ-კოლექტივები, რომლებშიაც, თავიანთი სასოფლო-სამეურნეო იარაღის (სალეწი მანქანა და სხვ.) გადარჩენის მიზნით, თავს იყრიან კულაკები და შეძლებული გლეხები.

საადგილ-მამულო განყოფილებამ დაადგინა—მოახდინოს კოლექტივების გამოკვლევა მათი გაწმენდის მიზნით (ადს).

სოციალისტური შეჯიბრება

ცხინვალი, 25 ივლისი. ჩრდილოეთ-ოსეთის საოლქო აღმასრულებელმა კომიტეტმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც გამოწვევა მიიღო. (ადს).

ექსპედიცია ბრუტ-საბძელზე

ცხინვალი, 25 ივლისი. სამხრეთ-ოსეთის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი აწყობს ექსპედიციას სამხრეთ-ოსეთის უმაღლესი და მიუდგომელი მწვერვალის—ბრუტ-საბძელის შესასწავლად. მწვერვალზე ასვლა დაიწყება 15 აგვისტოს (ადს).

პარტიის წმენდისათვის

ცხინვალი, 25 ივლისი. ცხინვალის ორგანიზაციის წმენდა დამთავრდა. წმენდამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ გლეხობაში. იყო შემთხვევები, როდესაც გლეხები 10 ვერსის მანძილიდან მოდიოდნენ წმენდაზე დასასწრებლად. წმენდა მოხდა მრავალრიცხოვან კრებებზე (ადს).

მოსავალი აფხაზეთში

სოხუმი, 24 ივლისი. შემოდგომის პურეულის აღება აფხაზეთში კარგი შედეგებით მთავრდება. ადგილებიდან მიღებული ცნობებით შემოდგომაზე პურის მოსავალი ჰექტარზე უდრის 1—2 ტონას ადგილის პირობების, მოვლისა და ჯიშის მიხედვით.

შემოდგომის ქვავი იძლევა 820 კილოგრამ მოსავალს ჰექტარზე. დანარჩენი კულტურების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სიმინდი აღწევს 3 ნიშანს, კარტოფილი 3, ბოსტნეული 3, ბაღჩები 3, თამბაქო 2,8, ბამბა 2. დათესილი ბალახი 3. ამინდი სავსებით ხელშემწყობია (ადს).

მუშკორთა როლი საბჭოთა აპარატის წმენდაში

ამხ. გოლდბაუმის მოხსენება თბილისის მუშკორთა კრებაზე

24 ივლისს მბეჭდავთა კლუბში შესდგა თბილისის ყველა ბეჭდვითი და კედლის გაზეთების მუშკორთა საქალაქო კრება. კრების დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი საბჭოთა აპარატის მომავალ წმენდაში მუშკორთა მონაწილეობის შესახებ. ხსენებულ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელმა ამხ. გოლდბაუმმა.

საბჭოთა აპარატის წმენდის საქმეში—ამბობს მომხსენებელი, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ პრესას და კერძოდ მუშკორთა მონაწილეობას. მაგრამ გულახდილად უნდა ითქვას, რომ დღემდის ამ მიმართულებით პრესის და მუშკორების მიერ ძალზე ცოტაა გაკეთებული. საბჭოთა აპარატს ჩვენ უყენებთ მოთხოვნილებას, რომ მისი მუშაობა იყოს მოქნილი, მშრომელი მასებისათვის ხელმისაწვდომი და ამასთან ერთად, რაც მთავარია, საბჭოთა აპარატის საშუალებით გადაუმახინჯებლად უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში პარტიისა და ხელისუფლების ყველა დირექტივები.

დღემდის საბჭოთა აპარატის მუშაობას რომ ახლავს მთელი რიგი დეფექტები, ეს უდაო ჭეშმარიტებაა. ეს ფაქტი სხვათა შორის ნათლად დაადასტურა ჩვენს მიერ ამას წინად ჩატარებულმა საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის მოულოდნელმა შემოწმებამ.

ვინ უნდა იქნენ განდევნილი საბჭოთა დაწესებულებებიდან? პირველ ყოვლისა საბჭოთა აპარატი უნდა გაიწმინდოს კლასიური ხაზის დამმახინჯებლებისაგან, აშკარა ბიუროკრატებისაგან, მფლანგველებისაგან და ისეთი ჩინოვნიკებისაგან, რომლებიც თავიანთ მოვალეობას და მშრომელი მასების სამსახურს ზერელეთ უცქერიან. გარდა ამისა ჩვენ აპარატში გვყავს მთელი რიგი ცრუსპეციალისტები, რომლებიც თავიანთ თავს დიდ მცოდნედ ასაღებენ, ხოლო სინამდვილეში თავისი მუშაობით საგრძნობ ზიანს აყენებენ სოციალისტურ აღმშენებლობას. ამ ასეთი „სპეციალისტები"-ს წინააღმდეგაც უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები.

საბჭოთა აპარატის წმენდის საკითხს ჩვენ უაღრესი სიფრთხილით უდგებით, ამის გამო მიმდინარე წელში წმენდა ჩატარდება მხოლოდ ხუთ დაწესებულებაში: იუსტიციის, მიწადმოქმედების, ფინანსთა და შრომის კომისარიატების ორგანოებში და აგრეთვე თბილისის აღმასკომში მილიციის აპარატთან ერთად. გამწმენდი კომისიები უკვე ჩამოყალიბებულია, რომელშიაც შედიან მუშათა და გლეხთა ინსპექციის და პროფკავშირის წარმომადგენლები, ორი დაზგის მუშა და იმ დაწესებულების მეთაური, სადაც წმენდა უნდა ჩატარდეს. წმენდა დაიწყება პირველი სექტემბრიდან.

როგორი საზომით უნდა მივუდგეთ აპარატის წმენდის დროს ჩვენთვის სოციალურად უცხო წრეებიდან გამოსულ თანამშრომლებს?

მარტო ის ფაქტი, რომ ისინი საბჭოთა ხელისუფლებისათვის სოციალურად უცხო წრეებიდან არიან გამოსული, არ არის საკმაო მათი გაძევებისათვის საბჭოთა აპარატიდან. მართალია ამასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, მაგრამ თვითეული თანამშრომელი ჩვენ უნდა შევაფასოთ დღევანდელი მისი მუშაობის მიხედვით, თუ რამდენად სისწორით ასრულებს ის პარტიისა და ხელისუფლების დირექტივებს. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ნათესაურ კავშირს თანამშრომელთა შორის.

საბჭოთა აპარატის წმენდის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამშრომელთა შესახებ მასალების შეგროვებას, როგორც პრესის საშუალებით, ისე მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხაზით. ამ საქმეში მუშკორების როლი ძალზე დიდია. პრესამ და მუშკორებმა ამ თავიდანვე უნდა მოამზადონ ამ მიმართულებით საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი. ცენტრალურ პრესასთან ერთად, კედლის გაზეთებშიც უნდა გავაჩაღოთ კამპანია. დღემდის კედლის გაზეთებში თავსდება მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის მასალები. მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა აპარატის წმენდის პერიოდში კედლის გაზეთებში უნდა მოთავსდეს აგრეთვე წერილები საბჭოთა აპარატის მუშაობის, ამა თუ იმ თანამშრომლის საქმიანობის შესახებაც.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს საკითხს იმის შესახებ, რომ საბჭოთა აპარატიდან გაძევებული უღირსი ელემენტები კვლავ აღარ მოხვდნენ სხვა დაწესებულებებში. აპარატიდან გაძევებულები განიყოფებიან სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში მოხვედრილნი სამუდამოდ კარგავენ უფლებას კვლავ იმსახურონ საბჭოთა აპარატში, ასეთები დაუყოვნებლივ გაირიცხებიან აგრეთვე პროფკავშირიდანაც. მეორე ჯგუფში მოხვედრილთ უფლება არ წაერთმევათ სხვა დაწესებულებაში მუშაობის, ხოლო მესამე ჯგუფს—კი ეკუთვნიან ისეთები, რომლებიც ერთი დაწესებულებიდან ან თანამდებობიდან გადაყვანილნი იქნებიან მეორე დაწესებულებაში, ან უფრო დაბალ თანამდებობაზე. ამ საკითხის გადაწყვეტის დროსაც საჭიროა პრესისა და მუშკორთა განსაკუთრებული ყურადღება.

მესამე საკითხია საბჭოთა აპარატიდან გაძევებულთა ნაცვლად აპარატის შევსება ღირსეული თანამშრომლებით. ამ მიზნით მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა დაწინაურების საქმეს, რომლის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს პროფესიონალურ ორგანიზაციებს.

აი, ყველა ის საკითხები საბჭოთა აპარატის წმენდასთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროებენ პრესის და მუშკორთა განსაკუთრებულ ყურადღებას..

შეკითხვებზე პასუხის გაცემის, კამათის და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღუთქვამს ყოველმხრივ ხელის შეწყობას საბჭოთა აპარატის წმენდაში.

დასასრულ სხდომამ მოისმინა ამხ. გალკინის ინფორმაცია საერთაშორისო წითელი დღის ჩატარების საქმეში მუშკორთა მონაწილეობის შესახებ და აგრეთვე ინფორმაცია კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების გადარჩევის შედეგების შესახებ.

500.000 მანეთის ეკონომია

საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო მალქების (ЧЕЛНОК) ხე-ტყის მასალა მიმდინარე წლამდე საბჭოთა კავშირში შემოქონდათ ამერიკიდან. ამ საქმეზე ყოველწლიურად იხარჯებოდა 500.000 მანეთი ოქროთი.

გასული წლის დამლევს ლანჩხუთის სას.-სამ საკრედიტო ამხანაგობის ხე-ტყის ქარხანამ თავისი ინიციატივით დაამზადა მალქების სანიმუშო ძელები ადგილობრივი ჯიშის—წყავის ხისაგან და შესამოწმებლად გადაუგზავნა მოსკოვის სააქციო საზოგადოება „კარდოლენტა"-ს, რომელიც ამზადებს მალქებს საფეიქრო მრეწველობისათვის.

ნიმუშები შეამოწმეს სპეციალისტებმა ლაბორატორიული წესით და შემდეგ ჩაატარეს ცდები წყავის ხისაგან დამზ. მალქებზე თვით წარმოებაში. გამოირკვა, რომ წყავის მასალა გაცილებით უფრო გამძლე და გამოსადეგია მალქებისათვის, ვიდრე ამერიკიდან შემოზიდული მასალა (კარნილი და პერსიმონი).

ამ ახალი აღმოჩენის შემდეგ საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა— შესწყდეს მალქებისათვის საჭირო ხე-ტყის მასალის ამერიკიდან შემოტანა და მალქებისათვის დამზადებული იქნეს ჩვენებური წყავი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წყავი, რომელიც მრავლად მოიპოვება ლანჩხუთის რაიონში, აჭარისტანში და სხვაგან, მიჩნეული იყო მეტად დაბალი ღირსების საწვავ მასალად; ამ „უვარგისმა" მასალამ კი ჯერ ერთი მოგვცა ნახევარ მილიონ მანეთის ეკონომია და გარდა ამისა გააჩინა ახალი საქმე, რომელშიაც ჩაბმული იქნება რამდენიმე ასეული მუშა.

„სოფლის კავშირმა" გამოიკვლია ლანჩხუთის რაიონის, აჭარისტანის და ინგურის ხეობის ტყეები, სადაც აღმოჩენილი იქნა წყავის და სხვა ჯიშის (ბზა, ხურმა) ხე-ტყის დიდ ძალი მარაგი, რომლის წესიერი ექსპლოატაციით ჩვენ არამც თუ დავაკმაყოფილებთ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას ამ მასალაზე, არამედ შევძლებთ მისი დიდი რაოდენობით გატანას საზღვარგარეთ, სადაც მასზე დიდი მოთხოვნილებაა.

ინვალიდების დამხმარე კომიტეტი

საქართველოს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებობს ომის ინვალიდების, ავადმყოფობის გამო დემობილიზაციაქმნილ წითელ არმიელების და ომში დაღუპულთა ოჯახების დამხმარე კომიტეტი. კომიტეტში შედიან—ცაკის, საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის, მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების, კომკავშირის, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს, ჯანსახკომის, სოც. -უზრუნ. კომისარიატის, ფინსახკომის, პროფსაბჭოს, თბილისის საბჭოს, გლეხკომების და წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლები.

კომიტეტის მთავარი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ომის ინვალიდებისა და ავადმყოფობის გამო დემობილიზაციაქმნილ წითელ არმიელების ჩაბმას სასარგებლო შრომაში და გამონახოს საშუალებები, რომ დახმარება აღმოუჩინოს ომში დაღუპულთა ოჯახებს.

ინვალიდებს შორის კულტმუშაობის საწარმოებლად თბილისში გახსნილია ინვალიდების კლუბი.

თავის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლათ დამხმარე კომიტეტს მოწყობილი აქვს სარძეო-გასტრონომიული მაღაზიები, მატყლის საქსოვი ქარხანა, ტყავეულობის სახელოსნო და სხვ.

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებით, ომის ინვალიდების, ავადმყოფობის გამო დემობილიზაციაქმნილი წითელ არმიელების და ყველა იმ პირების რიცხვი, რომელთა უზრუნველყოფაზე ზრუნვა დავალებული აქვს დამხმარე კომიტეტს, უდრის 15.000 კაცს.

ამერიკელ ისტორიკოსის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი პროფესორი **უილიამ ევერეტი**. მასთან ერთად ჩამოვიდნენ ამერიკელი იურისტები **ვატსონ სმიტი და გელხორნი.**

პროფ. უ. ევერეტს გადაწყვეტილი აქვს შეაგროვოს მასალები და შეისწავლოს რევოლიუციონურ მოძრაობათა ისტორია ყოფ. რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე. ამ მიზნით მოსკოვში და ლენინგრადში მან დაათვალიერა რევოლიუციის მუზეუმები, არქივები და შეაგროვა ყველა მისთვის საჭირო მასალები „ნაროდნიკებისა" და დეკაბრისტების დროიდან დღემდე.

თბილისში პროფ. ევერეტი დარჩება ორი დღე და დაათვალიერებს საისტორიო-სამეცნიერო დაწესებულებებს. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ მას განზრახვა აქვს გამოსცეს სპეციალური შრომა.

სმიტი და გელხორნი, რომლებიც მოგზაურობენ პროფ. ევერეტთან ერთად, საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ეცნობიან ახალ რევოლიუციონურ კანონმდებლობას და იუსტიციის ორგანოების მუშაობას. მათ განსაკუთრებით აინტერესებთ ახალი კანონმდებლობა ქალთა უფლებების და შრომის შესახებ.

საქართველოდან ისინი მიემგზავრებიან უკრაინაში და იქიდან უკან ამერიკაში.

ქართული წითელი ჯარი ბანაკად

ქ. გორის მახლობლად ეგრედწოდებულ კვერნაკის მთის ფერდობზე გაშლილია № ქართული მსროლელი დივიზიის ბანაკი.

წითელ-არმიელები აქ, გაშლილ მინდორზე იწვრთნებიან სამხედრო საქმეში, პრაქტიკაზე იყენებენ იმ ცოდნას, რომელიც მათ შეიძინეს ზამთრის განმავლობაში, ყაზარმაში ყოფნის დროს.

წითელ-არმიელნი სროლაზე

—:—

დივიზიის ნაწილები საუკეთესოდ არიან მომზადებულნი ბრძოლისათვის. წითელ-არმიელთა შემადგენლობას კარგათ აქვს შეთვისებული ბრძოლის ხერხები, ზედმიწევნით ერკვევიან ტაქტიკურ ამოცანებში და სწრაფად ასრულებენ მეთაურების დავალებებს მეცადინეობის ჩატარების დროს.

ამჟამად დივიზიის ნაწილები აწარმოებენ ე. წ. საბრძოლო სროლას, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს ჯარის ყველა დარგი, გარდა ცხენოსან ნაწილებისა.

სროლას ესწრებიან კავკ. წ.-დრ. არმიის სარდალი ამხ. ავქსენტიევსკი და პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ნემერზელი.

არმიის სარდალი მეტად კმაყოფილია დივიზიის ნაწილების მომზადებით. მან აღნიშნა, რომ ლეგიონები საუკეთესოდ ატარებენ სროლას და თვალსაჩინო მიღწევები აქვთ საბრძოლო მომზადების დარგში.

აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ დივიზია წარმატებით ანხორციელებს სამხედრო-რევოლ. საბჭ. დირექტივას ტაქტიკურ ხელოვნების ხარისხის ამაღლების და მებრძოლებში ინიციატივის გამომუშავების შესახებ. მეთაურები, გარდა იმისა, რომ კეთილსინდისიერად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან არმიელთა მომზადებას.

მეთაურები არ არიან მარტო სარდლობის ბრძანების ამსრულებლები, არამედ თვითონ დამოუკიდებლად ამუშავებენ მიცემულ საბრძოლო თემას, ადგენენ გეგმებს და წარმატებით ანხორციელებენ მათ.

დისციპლინა დივიზიის ყველა ნაწილებში საუკეთესოა. ნაწილების მეთაურები კმაყოფილნი არიან წითელ-არმიელთა ყოფა-ქცევით, მათი დამოკიდებულებით ერთი, მეორესთან და მოსახლეობასთან. ყველა ნაწილებში შესამჩნევად შემცირდა დისციპლინის დარღვევის და სხვადასხვა დანაშაულების ჩადენის შემთხვევები. ეს, მოწმობს, რომ წითელ-არმიელთა კულტურული და პოლიტიკური დონე იზრდება.

—:—

ამჟამად დივიზიის მთელი შემადგენლობა ჩაბმულია სოციალისტური შეჯიბრების კამპანიაში. კამპანიამ ცხოველი გამოძახილი ჰპოვა ყველა ნაწილებში. ლეგიონები, ათასეულები და ასეულები ეჯიბრებიან ერთი მეორეს, სცდილობენ საუკეთესოდ შეასრულონ შეჯიბრების პირობები.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კამპანიას თან სდევს ზოგიერთი უარყოფითი მხარე; შეჯიბრების პირობები დატვირთულია მრავალი საკითხებით და თვით შეჯიბრებას ჩატარებაში არ არის მიღწეული ერთგვარი კონკრეტიზაცია და მეთოდიურობა. მოკლე ხანში ბანაკად მოწვეული იქნება ფართე თათბირი, შეჯიბრებაში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

—:—

ბანაკად გასვლის პირველ დღიდანვე დივიზიის ნაწილები შეუდგნენ მუშაობას მშრომელ გლეხობას შორის.

ყოველ ნაწილს შეფობის ქვეშ ჰყავს აყვანილი ერთი სოფელი. ამ სოფლებთან ნაწილებს აქვთ გაბმული მტკიცე კავშირი.

ნაწილები აწვდიან სოფლის სამკითხველოებს ლიტერატურას, მართავენ კრებებს და საუბრებს, უწევენ დახმარებას მედიკამენტებით და სხვ.

გორის ბანაკი. № ლეგიონის კლუბი

—:—

რაც მთავარია, ნაწილები აწარმოებენ სოფლად პროპაგანდას კოლექტიური მეურნეობის და პურის დამზადების ირგვლივ.

კვირას, 28 ივლისს, დივიზიის მთელი შემადგენლობა მიემგზავრება სამთავისის კომუნის დასათვალიერებლად. გზადაგზა, სოფლებში, დივიზია გამართავს მიტინგებს, რომლებზედაც სპეციალური მომხსენებლები გააკეთებენ მოხსენებებს კოლმეურნეობათა შესახებ.

სოფლების გარდა დივიზიას აქვს კავშირი მუშებთანაც. ხშირად თბილისიდან და ქუთაისიდან ბანაკის გასაცნობად მოდიან მუშები.

—:—

დივიზია ამჟამად ზრუნავს იმ წითელ-არმიელთა მომზადებაზე, რომლებიც შემოდგომაზე გაშვებულ იქნებიან გრძელვადიან შვებულებაში.

მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს შვებულთაგან კოლმეურნეობის მუშაკთა მომზადებას.

შვებულთა მთელი შემადგენლობის 90 პროცენტი ჩაბმულია კოლმეურნეობის საფუძვლების შემსწავლელ კურსებსა და წრეებში.

კურსებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი სპეციალისტები. მეცადინეობა კურსებზე სწარმოებს კვირაში 2-ჯერ, ორ-ორი საათით. თეორიული ცოდნის გარდა შვებულები ეცნობიან მეურნეობების გეგმიან მუშაობას, საფინანსო საქმეს, კონტრაქტაციას და სხვა.

ნაწილებშივე დგება კომუნები და არტელები, ნაწილდება ფუნქციები, ისე, რომ, სოფლად დაბრუნებისას შვებულები შეუდგებიან უკვე ცოცხალ მუშაობას კოლექტივების მოსაწყობად.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი თავისი მხრივ ხელს უწყობს კოლმეურნეობების მუშაკების მომზადებას არმიელებისაგან. მის მიერ ამ საქმისათვის გაღებულია 2.000 მანეთი და სათანადო ლიტერატურა.

—:—

დივიზია მომავალი წლიდან შეუდგება ბანაკის განახლებას. არმიელთა კულტურული დონის ზრდასთან ერთად, იზრდება და რთულდება მათი მოთხოვნილებებიც, ბანაკი ველარ აკმაყოფილებს არმიელებს. საჭიროა მისი საფუძვლიანი განახლება.

ლენინის კარვების მაგივრად მოწყობილი იქნება „ლენინის სახლები" ბატალიონების ფარგლებში.

ამ საქმისათვის დივიზიას დასჭირდება თვალსაჩინო თანხები. დივიზიის მთელი შემადგენლობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს მშრომელები და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა გაუწევს მას დახმარებას და დივიზია უზრუნველყოფილი იქნება საუკეთესოდ მოწყობილი ბანაკით.

კოლმეურნეობის საფუძვლების შემსწავლელი ჯგუფი მეცადინეობაზე

—:—

ე. ხუციშვილი.

ტანკი—„I-ლი ქართ. მსრ. დივიზია"

ჩინელი მილიტარისტების თავხედურმა გამოსვლამ, მათმა ყაჩაღურმა თავდასხმამ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, უდიდესი აღშფოთება გამოიწვია 1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის მეთაურთა და წითელ-არმიელთა შორის.

ბანაკად იმართებოდა მრავალრიცხოვანი კრებები, რომლებზედაც არმიელნი მოითხოვდნენ ჩინელ მილიტარისტების ერთხელ და სამუდამოთ ალაგმვას და ავალებდნენ საბჭოთა მთავრობას მიეღო თავხედ ყაჩაღების წინააღმდეგ უსასტიკესი ზომები.

ჩინელ მილიტარისტების თავხედური გამოსვლის საპასუხოდ დივიზიის მთელმა შემადგენლობამ დაადგინა ააგოს ტანკი სახელწოდებით: „1-ლი ქართული მსროლელი დივიზია", რომელიც გააძლიერებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს.

დივიზიის მთელი შემადგენლობა, წითელ არმიელები, მეთაურები და აგრეთვე მეთაურთა ოჯახები უკვე შეუდგნენ თანხების შეგროვებას ტანკის ასაგებათ.

დივიზიის შუამდგომლობა ტანკის აგების შესახებ, დაკმაყოფილებულ იქნა.

მეთაურებმა და წითელ-არმიელებმა დაადგინეს გადასდონ 2 დღის ხელფასი ტანკის ასაგებათ.

ნაწილები გამართავენ საღამოებს, რომლის მთელი შემოსავალი გადაიდება ტანკისათვის.

ქუთაისის რადიოფიკაცია

ამიერ-კავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს რადიოცენტრი შეუდგა ქუთაისის რადიოფიკაციას. რადიოფიკაცია ქუთაისში განხორციელდება ძლიერი ცენტრალური რადიო-მიმღები და ფართოდ მაუწყებელი სადგურის აგებით. ამ სადგურიდან მთელს ქალაქში, დაწესებულებებსა და ბინებში გაყვანილი იქნება მავთულის ხაზები, რომელთა საშუალებითაც ცენტრალური სადგურის მიერ მიღებული რადიო-გადაცემები (კონცერტები, ლექციები, მოხსენებები და სხვ. თბილისიდან, მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან) გადაიცემა იმ ბინებსა და დაწესებულებებში, რომლებშიც ცენტრალური რადიო-სადგურის აბონენტები იქნებიან.

ქუთაისის რადიოფიკაციის განსახორციელებლად, თბილისიდან ქუთაისში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს რადიოცენტრის ინჟინერი წვერავა.

—:—

ქუთაისის რადიოფიკაციას, — განაცხადა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში წვერავამ,—ამიერ-კავკასიის რადიო-ცენტრი ჩაატარებს ამიერ-კავკასიის 12 სხვა უდიდესი ქალაქის რადიოფიკაციასთან ერთად. მთელი ამ საქმისათვის ამიერ-კავკ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა გადასდო 800.000 მანეთი. მაგრამ, რადგან 13 ქალაქის და მათთან დაკავშირებული იმდენივე სასოფლო ცენტრის რადიოფიკაცია დიდ ხარჯს მოითხოვს, ამიტომ ჩვენ ამ საქმეში დახმარებას გვიწევენ ადგილობრივი აღმასკომებიც. ქუთაისის აღმასკომის პრეზიდიუმმა, ჩემი მოხსენების მოსმენის შემდეგ, გადასდო 5.000 მანეთი რადიო-ცენტრის დასახმარებლად ქუთაისის რადიოფიკაციის საქმეში.

რადიოფიკაცია განხორციელდება შემდეგნაირად. რადიოცენტრის ყოველი აბონენტის ბინაზე დაიდგმება რეპროდუქტორი ან აბონენტებს დაურიგდებათ სატელეფონო ყურმილები. ყურმილებს ან რეპროდუქტორებს მიიღებენ აგრეთვე ის დაწესებულებანი, რომელნიც სატრანსლიაციო რადიო-კავშირის აბონენტში იქნებიან. ამჟამად მთელი ამიერ-კავკასიისათვის ჯერ-ჯერობით მოგვეპოვება 21.000 რეპროდუქტორი და 6.000 ყურმილი. თუ ეს არ გვეყო, მივიღებთ დამატებით. მავთულიანი რადიოტრანსლიაციით სარგებლობისათვის ყოველი აბონენტი ქალაქში გადაიხდის თვიურად ერთ მანეთს, ხოლო ქალაქის ახლო-მახლო სოფლებში—30—40 კაპეიკს თვიურად. ქუთაისისათვის ასეთ სოფელს წარმოადგენს კურორტი წყალტუბო, სადაც აგრეთვე გაიმართება მავთულის რადიო-ტრანსლიაცია. გარდა თვიური გადასახადისა, აბონენტებმა ბინაზე ან დაწესებულებაში რადიო-კავშირის გაყვანისათვის რამდენიმე თვეში უნდა გადაიხადონ 40 მანეთამდე. ქუთაისში ჩვენ ვარაუდით გვეყოლება 1,200 აბონემენტამდე. თბილისში მათი რიცხვი 5 ათასზე მეტი იქნება.

ა. ს.

ავადმყოფობა „პელაგრა"

ზუგდიდის მაზრაში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი საგან)

ზუგდიდი, 24 ივლისი. უკანასკნელ ხანებში ავადმყოფობა პელაგრამ ზუგდიდის მაზრაში ეპიდემიური ხასიათი მიიღო. სამკურნალო დაწესებულებებს ყოველდღიურად მრავალი ავადმყოფები აწყდება, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან: გაშავებული და დახეთქილი აქვთ ხელები და ფეხები, განიცდიან ტკივილებს პირის ღრუში და მუცლის არეში. მრავალი მათგანი ნერვულ მდგომარეობაში და მწვავე ფსიქოზს განიცდის. ავადმყოფობა ღებულობს მასიურ ხასიათს. ადგილობრივი ძალებით ბრძოლა ამ სენთან შეუძლებელია. საჭიროა ჯანსახკომის მიერ გამოიგზავნოს ექსპედიცია სათანადო მედიკამენტებით.

ა. კოდუა.

—:—

საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ზუგდიდის მაზრაში გაჩენილ ავადმყოფობა პელაგრას და იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულია ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ, აცნობეს შემდეგი:

საქართველოში იყო პელაგრას გაჩენის შემთხვევები, მხოლოდ ამ ავადმყოფობას არას დროს არ მიუღია მასიური ხასიათი. ავადმყოფობა პელაგრას წარმოშობის მიზეზია უვარგისი სიმინდით კვება.

საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი მიიღებს სასწრაფო ზომებს ავადმყოფობის ლიკვიდაციისათვის.

ამ დღეებში ზუგდიდის მაზრაში იგზავნება ექიმი **მახვილაძე**, რომელიც ადგილობრივ გაუწევს ხელმძღვანელობას ავადმყოფობასთან ბრძოლას.

ზუგდიდის მაზრა უზრუნველყოფილია საჭირო მედიკამენტებით.

ავადმყოფობის აღმოსაფხვრელად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, უვარგისი სიმინდის შეცვლა კარგი ხარისხის სიმინდით.

ჭიათურა

ასეთი გაცხოველებული მუშაობა ჭიათურას იშვიათად უნახავს:

— არც ერთი საათით დღე და ღამეში ქარხნებს არ სძინავთ, მთელი ოცდა ოთხი საათი დაუზოგველათ სცემს მაღაროს მკერდზე წერაქვი, შეუწყვეტლივ მისრიალებენ კანატზე მარგანეცით დატვირთული პატარა ვაგონები, რკინის გზის სადგური ძლივს აუდის დატვირთული ვაგონების გაგზავნას და ცარიელის მიღებას.

სულ ახლო წარსულში მწვავეთ იდგა საკითხი მაღაროებიდან ქვის გადმოზიდვის შესახებ.

— პლატფორმებზე დაგროვილი მარაგი გაიზიდა, ფოთში გემი გემს სცვლიდა მარგანეცის გასატანათ და ამ დროს შენელდა მაღაროებიდან ქვის გადმოტანა, რადგან მეურმეები ყანებს ამუშავებდნენ.

ტრესტის მიერ დროზე მიღებული ზომებით, საქმე ერთი დღითაც არ შეფერხებულა, ხოლო ამჟამად კრიზისი სავსებით ამოწურულია.

კრიზისის ამოწურვას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ტრესტმა დროით მოიწვია და ჩააბა მარგანეცის გადმოტანაში ფურგონები თბილისიდან, სომხეთიდან და ახალციხიდან; მაგრამ, რაც უმთავრესია, ტრესტმა თვით შეიძინა ორას ულელზე მეტი ხარი, იგი დაურიგა ღარიბ გლეხობას, რომელთაც საქონლის ღირებულება ნაწილ-ნაწილ ერიცხებათ სამუშაო ხელფასიდან. გარდა ზემოხსენებული ზომებისა, ტრესტის მიერ ამუშავებულ იქნა რამდენიმე გაუქმებული მექანიკური ჩამოსაშვები, ზოგიც ახლათ მოეწყო და სამი ასეთი ჩამოსაშვები №№ 1, 2 და 27 ამჟამად კეთდება. სწორეთ კრიზისის დროს ე. ი. ივლისში მიიღო ტრესტმა უცხოეთში გაზიდული მარგანეცის სარეკორდო ციფრი— 90 ათასი ტონა.

ამჟამად ეს საკითხი ყოველგვარი „სიურპრიზებისაგან" დაზღვეული და უზრუნველყოფილია.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: —მაღაროებიდან მარგანეცის გადმოსაზიდათ ცხენიანი ფურგონები—მიზანშეწონილი ვერ აღმოჩნდა, მრავალი ცხენი იმსხვერპლა მარგანეცმა და ეს იმიტომ, რომ მაღაროებიდან პლატფორმამდე გადმოსაზიდი გზები ვიწროა, საშინელი აღმართ-დაღმართი, დატვირთულ ფურგონს ასეთ დაღმართზე ვერ უძლებს ცხენი, არც ნელი გავლა შეუძლია, ამავე დროს წინ მიმავალ ურემს, გზის სივიწროვის გამო, გვერდს ვერ უვლის და სხ. ყველა ამის გამო ცხენების უმრავლესობა დაიხოცა, დასუსტდა, დაძაბუნდა. ამიტომ, თუ შესძლო, ამჟამად მრავალი მეფურგუნე სტოვებს სამუშაოს და მიეშურება შინისაკენ.

დღემდე არსებობს, და თვეობით არც შეიძლება მისი ამოწურვა,—საბინაო კრიზისი, როგორც მაღაროებში, ისე ქალაქად, თუმცა მის ამოსაწურავად ტრესტი საკმაო ზომებსაც იღებს, ასე, მაგალითად: მაღაროებში უკვე დაწყებულია და წელს დამთავრდება 8 ახალი სახლი თვითეული 64 კაცისათვის.

პურით და სხვა სურსათ-სანოვაგით მუშები უზრუნველყოფილია, ამ მხრივ მუშათა გამოკვების საქმეს წუნი არ დაედება; საკვებით საქონელიც უზრუნველყოფილია; მხოლოდ აღსანიშნავია ქერის ნაკლებობა, რომელიც ცხენების გამოკვებაზე უარყოფითად მოქმედებს, რადგან მეფურგუნეები ცხენს სიმინდს არ აძლევენ,—ცხენები მიჩვეული არ არიან,—და მარტო თივა საკმაო არაა ასეთ მძიმე სამუშაოში ჩაბმულ საქონლისათვის.

მუშათა ხელფასი—დამაკმაყოფილებელია, ამერიკელებთან შედარებით მიმდინარე წელს იგი 7 პროცენტითაა გადიდებული, ხოლო ამ მხრივ კიდევ კარგ პირობებში მტვირთავები იმყოფებიან.

— თვითეული მათგანის ხელფასი დღიურათ ზოგჯერ 6—7 მანეთს შეადგენს.

ამჟამად მუშაობს 21 ქარხანა, ხოლო ამ დღეებში კიდევ ამუშავდება ორი ახალი ქარხანა №№ 1 და 2.

გაზიდვა—დღიურათ 240 ვაგონი,—არ ძემცირებულა და, პირიქით, მისი გაფართოება მოსალოდნელი.

ასე და ამგვარათ,—როგორც ეს ტრესტის მმართველმა ამხ. კ. მოდებაძემაც განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში,—ჭიათურის წარმოება დღითი-დღე მტკიცდება, ფართოვდება, იზრდება. გეგმით გათვალისწინებული ნორმის სრული განაღდება უზრუნველყოფილია, ისევე, როგორც უზრუნველყოფილია ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ამოცანათა დროით და უნაკლოთ შესრულება, განხორციელება.

გ. რიონიძე.

ფიზკულტურა და სპორტი

ფიზკულტუროსნების დემონსტრაცია

პროფკავშირების ფიზკულტურის ორკვირეული, ა.-კ. პროფსაბჭოს დადგენილებით. გადადებულია ნოემბრისათვის. ორკვირეულისათვის ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა გამოყენებული იქნება ანტი-იმპერიალისტური დღეების ჩასატარებლად.

27 ივლისს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, იმართება საღამო კლუბის სპორტმოედნების გახსნის აღსანიშნავად; 27 ივლისს იხსნება მოჭადრაკეთა საკლუბთაშორისო ტურნირი.

28 ივლისს ეწყობა მუშების და ფიზკულტუროსნების მასიური ექსკურსია ავჭალის ზაჰესში, სადაც გაიმართება მიტინგი ანტი-იმპერიალისტურ თემაზე. ფიზკულტუროსნებიდან ბაქოში გაემგზავრებიან ქალთა და ვაჟთა ფრენბურთის და კალათბურთის გუნდები, მძლეოსნები, მოჭიდავეები, სულ 250 კაცი.

ორშაბათს, 29 ივლისს, თბილისში ეწყობა საგიტაციო გადარბენა საქ. პროფსაბჭოს შენობიდან ორჯონიკიძის სახელობის კლუბამდე. გადარბენა დაიწყება ნაშუადღევის 5 საათზე. საუკეთესო მარბენალთათვის დაწესებულია ჯილდოები. პირველი ჯილდო—ფიზკულტურის წრის მოწყობილობა 100 მანეთის ღირებულებისა, მეორე ჯილდო—იგივე 75 მან. ღირებულებისა და მესამე ჯილდო—50 მან. ღირებულების მოწყობილობა.

ამას გარდა დაწესებულია ინდივიდუალური ჯილდოები. საუკეთესო მარბენალი გაგზავნილი იქნება ამიერ-კავკასიის ერთ-ერთ ცენტრში (ფიზკულტუროსანის არჩევით) ფიზკულტურ მუშაობის გასაცნობად; მეორე ჯილდო—მივლინება იმავე მიზნით ბათომში.

30 ივლისს ფიზკულტუროსნები ესწრებიან კომკავშირის უჯრედების სხდომებზე. ფიზკულტურის საგიტაციო ჯგუფი საბარგო ავტომობილით შემოივლის ქალაქს და მოაწყობს მფრინავ მიტინგებს. ამავე დღეს საღამოს კლუბებში გაიმართება ფიზკულტუროსნების გამოსვლები.

1-ლ აგვისტოს ყველა ჯგუფები გამოდიან თავთავიანთ კავშირებთან ერთად.

2 აგვისტოს შესდგება ფიზკულტურის ინსტრუქტორების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება კამპანიის შედეგები.

რკინისგზებზე

ა.-კ. რკ. გზა გადადის განუწყვეტელ მუშაობაზე

გზათა სახ. კომისარიატის წინადადებით, ახლო მომავალში ა.-კ. რკინის გზაზე გატარდება განუწყვეტელი შვიდდღიანი საწარმოო კვირეული.

პირველ რიგში ასეთი სისტემა გატარდება იმ სამუშაოებზე, რომელთაც აწარმოებს საღიანდაგო დარგი (უმთავრესად ახალ აღმშენებლობაში, კაპიტალურ შეკეთებაში და ქვა-ხრეშის დამზადებაში).

განუწყვეტელ მუშაობაზე გადასვლა გზას საშუალებას მისცემს უკეთ გამოიყენოს საამშენებლო სეზონი.

მასალების მოჭირნეობისათვის

ამჟამად ა.-კ. რკ. გზაზე სწარმოებს მოძრავ შემადგენლობის შეკეთებისათვის საჭირო მასალების ხარჯვის ნორმების გადასინჯვა.

ნორმების გადასინჯვა გზას მისცემს ხსენებულ მასალების ხარჯვის დიდ ეკონომიას.

სტალინის სახელობის ქარხნის საბრუნავი თანხა

სტალინის სახელობის ვაგონების და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანაში არსებული მასალების მარაგის ღირებულება გზის გამგეობის გამოანგარიშებით უდრის 350.000 მანეთს.

ქარხნის საბრუნავი თანხა განისაზღვრება 1.400.000 მანეთით.

ქრონიკა

17.924 მანეთი სას.-სამ. კოლექტივებს საბინაო მშენებლობისათვის

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გასული წლის წლიური მოგებიდან სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში საბინაო მშენებლობისათვის გადასცა 17.924 მანეთი. აღნიშნული თანხა საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა შემდეგნაირად გაანაწილა: წილკანის (თბილისის მაზრა) სას.-სამ. კოლექტივს—3.924 მანეთი; არხილოს კალოს (კახეთის მაზრა) სას.-სამ. კოლექტივს—4.000 მან.; პატრიკეთის (ქუთაისის მაზრა) სას.-სამ. კოლექტივს—4.000 მან.; ლებალათურის (სენაკის მაზრა) სას.-სამ. კოლექტივს—4.000 მან და ტაძრის (ახალციხის მაზრა) სას.-სამ. კოლექტივს—2.000 მან.

პროფ. ლ. გრინი ჯანსახკომში

გუშინ, ამერიკელ მრეწველთა დელეგაციის წევრი პროფ. ლ. გრინი ესტუმრა საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, სადაც მას საუბარი ჰქონდა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმის მდგომარეობაზე.

პროფ. გრინმა დაათვალიერა თბილისის ზოგიერთი სამკურნალო-სამეცნიერო დაწესებულებები.

თბილისის ლითონის ქარხანა

ახალშენებათა სამმართველოში მიღებული ცნობით, უკვე დაწყებულია მუშაობა თბილისის ლითონის დიდი ქარხნის ასაგებად. ქარხნის საამშენებლო ტეხნიკური პროექტი უკვე დამტკიცებულია. მიმდინარე წლის განმავლობაში ქარხნის ასაგებ სამუშაოების შესასრულებლად დახარჯული იქნება 350.000 მანეთი.

სულ ქარხნის აგება დაჯდება 4.000.000 მანეთი.

მუშათა კლუბების მუშაკთა ექსკურსიის დაბრუნება

ერთი თვის მოგზაურობის შემდეგ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქებიდან დაბრუნდა ა.-კ. რკინის გზის მუშათა კლუბების მუშაკთა ექსკურსია.

ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 15 კაცმა გზის ყველა უბნებიდან.

ექსკურსანტებმა შემოიარეს მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი და როსტოვი, სადაც დეტალურად გაეცნენ მუშათა კლუბების მუშაობის ყველა ფორმებს.

შაქრის ახალი ნორმები

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დადგენილებით, 1 აგვისტოდან თბილისის მშრომელი მოსახლეობისათვის დაწესებულია შაქრის ახალი ნორმები: პურის წიგნაკების მიხედვით თითოეულ სულს თვეში მიეცემა ერთი კილო შაქარი. კოოპერატივის წევრებს გარდა ამისა წიგნაკზე მიეცემა—500 გრამი.

აგვისტოს განმავლობაში ჩატარებული იქნება კოოპერატიულ დუქნებზე შაქრის მისაღებად მიმაგრებულ მოსახლეობის ხელახალი აღრიცხვა.

თბილისის აღმასკომში

◆ **საბანაოს მოწყობა მტკვარზე.** მტკვარზე საბანაოს მოწყობა დამთავრდება ორ კვირაში.

◆ **წყალსადენის ელექტროფიკაცია.** დამთავრდა თბილისის წყალსადენის ელექტროფიკაცია. წყლის გადმოქაჩვა ავჭალიდან ქალაქში ამჟამად სწარმოებს ელექტრო-ენერგიის საშუალებით.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **ეპიდემიური სენების ლიკვიდაცია.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცნობით, ამჟამად მთელ რესპუბლიკაში არსად არაა შემჩნეული ეპიდემიური სენების გავრცელება.

◆ **თვალის სნეულებათა კლინიკის დახურვა.** შენობის შეკეთების გამო, დროებით დახურულია თვალის სნეულებათა კლინიკა.

სხვადასხვა

◆ **სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწყობილობები.** გერმანიიდან მიღებულია ცნობა, რომ თბილისში გამოგზავნილია თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწყობილობები. სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწყობას უხელმძღვანელებს აბრეშუმის ტრესტი.

◆ **ძვირფასი ხე-ტყის მასალების დამზადება.** სატყეო მრეწველობის ტრესტმა გადასწყვიტა დაიწყოს ძვირფასი ჯიშების ხე-ტყის მასალის დამზადება. კერძოდ განზრახულია მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის საჭირო ხე-ტყის მასალის დამზადება.

◆ **სტუდენტთა ექსკურსია.** სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო ტეხნიკური საზოგადოების გზა-ხიდების სექცია აწყობს სტუდენტთა ექსკურსიას თბილისიდან კავკავამდე. მსურველთა ჩაწერა სწარმოებს ტეხნიკურ სექციაში (თავისუფლების მოედანი, ყოფ. ქარვასლის შენობაში).

—:—

ხელოვნების ქრონიკა

საიათნოვას ლექსები

ი. გრიშაშვილმა დაამზადა წიგნი საიათნოვა (მეორე გამოცემა); ამ გამოცემაში შევა საიათნოვას ჯერ დაუბეჭდავი ლექსები (ლენინგრადის არქივიდან და სხვ.). მეორე გამოცემაში ქართული ლექსების გარდა მოთავსებული იქნება აგრეთვე საიათნოვას თურქული და სომხური ლექსები ი. გრიშაშვილის მიერ ქართულად თარგმნილი. წიგნს დართული ექნება რედაქტორის მონოგრაფია საიათნოვაზე და ვრცელი ლექსიკონი.

ცირკი

თბილისის პოლიტგანმა ცირკის შენობა მომავალ სეზონში საექსპლოატაციოთ გადასცა ინვალიდთა დამხმარე კომიტეტს. ცირკის დირექტორ-ორგანიზატორად მოწვეულია ცირკის ძველი ადმინისტრატორი ს. ქუთათელაძე, მის მოადგილედ მაქს ხოდსკო. ქუთათელაძე უკვე გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქებში დასის შესადგენად. დასში შევა ცირკის ჟანრის პირველხარისხოვანი ნომრები და აგრეთვე უცხოეთის ატრაქციონები, რომლებიც ამჟამად საბჭოთა კავშირში გამოდიან.

სასამართლო

ბანდიტები კოლექტივის სათავეში

სოფელ ზელდულეთში (გორის მაზრა) 1928 წელს დაარსდა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი. ღარიბი გლეხები დიდი აღტაცებით შეხვდნენ კოლექტივის დაარსებას. დაიწყო მასიური შესვლა კოლექტივში. რა სჯობს გაერთიანებულ ძალას, ნაკლები ენერგიის დახარჯვით მეტი ნაყოფის მიღებას, მთელი დაქსაქსული მეურნეობის ერთ მთლიან შეხმატკბილებულ ოჯახად გადაქცევას!—ასე ფიქრობდნენ ღარიბი გლეხები და მთელი თავისი ავლა-დიდებით შედიოდნენ კოლექტივში.

მაგრამ გავიდა რამდენიმე თვე. როგორც მასიური იყო ღარიბი გლეხების შესვლა კოლექტივში, ისევე მასიური ხასიათი მიიღო კოლექტივიდან გამოსვლამ.

მიზეზი? მიზეზი ის იყო, რომ კოლექტივს სათავეში მოექცნენ უსაქმური, ზარმაცი, ანტისაზოგადოებრივი ელემენტები, რომლებიც მხოლოდ დროის ტარებაზე და თავიანთი სტომაქის გამოძღომაზე ფიქრობდნენ, რომლებიც კულაკების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და თავშიაც არ იხლიდნენ კოლექტივის ინტერესებს, სამიკიტნოებში ანიავებდნენ კოლექტიურ დოვლათს.

ეს პირები გახლდათ: **ილია ივანეს ძე ცერცვაძე, დათა ივანეს ძე ცერცვაძე, ივანე მაისურაძე, კოლა ბუდაღაშვილი და სხვები.**

კოლექტივს თავმჯდომარეობდა **ილია ცერცვაძე**, რომელიც კვირაში ერთხელ თუ ინახულებდა კოლექტივს, დანარჩენ დროს თავის ამქრებთან ერთად სამიკიტნოებში ატარებდა. არა ერთხელ აღშფოთებულან ღარიბი გლეხები მით, რომ მათი „ხელმძღვანელი" და უკანასკნელის ამყოლ-დამყოლნი არაფერს აკეთებდნენ და მხოლოდ ანიავებდნენ კოლექტივის ქონებას. გლეხებს არა ერთხელ გამოუთქვამთ თავიანთი უკმაყოფილება, მაგრამ ილია ცერცვაძე მაჯლაჯუნასავით აჯდა კოლექტივს და „ურჩი" გლეხების ჩასაჩუმებლად ათამაშებდა მუშტებს და ზოგჯერ ხანჯალსაც.

ღარიბმა გლეხებმა პაპინაშვილებმა, როცა დაინახეს, რომ მათი შრომა ფუჭად იკარგებოდა, მიატოვეს კოლექტივი. კოლექტივის თავმჯდომარემ ეს იუკადრისა. მან გადასწყვიტა პაპინაშვილებისათვის სამაგიეროს გადახდა კოლექტივიდან ასე დემონსტრატიულად გასვლისათვის. წაუკიდა ცეცხლი კოლექტივის საბძელს და პოლიტსამმართველოს აცნობა, რომ თითქოს პაპინაშვილებმა ჩაიდინეს ეს. პოლიტსამმართველომ დააპატიმრა ძმები დათა და ალექსი პაპინაშვილები. ცოტა ხნის შემდეგ დათა გაანთავისუფლეს, ალექსი კი არა.

ერთ დღეს კოლექტივის „ხელმძღვანელებს" დიდი ლხინი ჰქონდათ ერთ-ერთი სამიკიტნოში იმის „აღსანიშნავად", რომ მათი ამქარი, კოლექტივის წევრი **ამირიძე** და სხვები, რომლებიც ხულიგნობისათვის უნდა გაესამართლებიათ, სასჯელს გადაარჩინეს და საქმე შინაურულად მიაფუჩეჩეს.

რაღაც საბედისწეროდ იმავე სამიკიტნოში პურის საჭმელად შედის დათა პაპინაშვილიც. დაინახეს თუ არა პაპინაშვილი ილა და დათა ცერცვაძეებმა და ვანო მაისურაძემ ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს, გავიდნენ გარეთ და ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემობრუნდნენ. გალეშილი „კოლექტივისტები" სუფრიდან აიშალნენ. დათა პაპინაშვილი იჯდა მარტო კუთხეში და პურს სჭამდა.

ამ დროს ცერცვაძეები და მაისურაძე თათბირობდნენ იმაზე, თუ როგორ მოესპოთ სიცოცხლე დათა პაპინაშვილისათვის. ისინი ჩასაფრდნენ იმ გზაზე, რომლითაც დათა პაპინაშვილს უნდა გაევლო. ერთი მათგანი გაუშურა მათ საერთო ნაცნობ **კოლა ბუდაღაშვილთან**, რომელსაც გაუმხილა შეთქმულება და გამოართვა გრძელი დანა.

დ. პაპინაშვილი გაუდგა გზას. მიაუახლოვდა მდინარე ტორტლას. იქ წისქვილის მახლობლად პაპინაშვილს შემოესიენ ბოროტგამზრახველები. ერთმა ყელში გაურტყო დანა, მეორემ მუცელში ჩასცა ხანჯალი, მესამემ თავში დაარტყა და ასე მხეცურად სიცოცხლე მოუსპეს დათა პაპინაშვილს.

მოკლულის გვამი მხეცებმა ჩაფლეს სილაში და წავიდ-წამოვიდნენ.—„დაიკარგა" პაპინაშვილი. დაიწყო მითქმა-მოთქმა: „ყაჩაღად გავიდა?... რა ჰქონდა საყაჩაღო?"

კოლექტივის „ხელმძღვანელები" განაგრძობდნენ ქეიფს და დროს ტარებას. ერთ-ერთი ქეიფის დროს ღარიბი გლეხების თანდასწრებით ვანო მაისურაძემ ყველას დააძალა ერთი სადღეგრძელო. ეს იყო „უპატრონო მკვდარის" სადღეგრძელო. ვიღაცას მოაგონდა დათა პაპინაშვილი. „თუ ყაჩაღად არის, კოლექტივის წევრებს უნდა ეშინოდესო"—სთქვა მეორემ.

„მის მოსვლამდე, არაფერი გეტკინოს"—დასძინა ილია ცერცვაძემ.

ამ ლაპარაკს ყურს უგდებდნენ გლეხები, რომლებმაც აიღეს ეჭვი და ამის შესახებ აცნობეს ხელისუფლებას. ეჭვით დაპატიმრებულ იქნენ ცერცვაძეები და მაისურაძე. ისინი გამოტყდნენ დანაშაულში.

საქმე გაარჩია გორის სამაზრო სასამართლომ ამხ. **მ. ბლიაძის** თავმჯდომარეობით. პროცესმა, რომელიც 3 დღე გაგრძელდა, დიდძალი ხალხი მიიზიდა.

ილია ცერცვაძეს, დათა ცერცვაძეს და ვანო მაისურაძეს მიესაჯათ ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და სამოქალაქო უფლებების აყრა ხუთ-ხუთი წლით.

კოლა ბუდაღაშვილს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. პასუხისგებაში იყვნენ მიცემული აგრეთვე კოლექტივის სხვა წევრებიც, რომელთაც მიესაჯათ სასჯელი სხვადასხვა ვადით.

ბერ.

შემთხვევები

გაფლანგვა

ამ დღეებში თელასში აღმოაჩინეს სახაზინო ფულების გაფლანგვა.

ფულები გაუფლანგავს ინკასატორ გრიგოლ ლუკას ძე დოლიძეს, რომელიც მიიმალა.

გაფლანგული თანხის რაოდენობა 2.048 მანეთს უდრის.

თავის მოწამვლა

მარიამ დავითის ასულმა ერისთავმა (მცხ. მესამე სამილიციო უბანი) იოდით მოიწამლა თავი. ერისთავის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა ალიშ ახმედოვი, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

ქურდობა

გაქურდეს ნინო გეგეჭკორის ბინა (სტავროპოლის ქ. № 2), წაიღეს 180 მანეთის ნივთები.—ც. პიკს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 44 მანეთი და სხვადასხვა საბუთები.—უმუშევართა კოლექტივის ადგილკომის შენობიდან (ბამბის რიგი № 8) მოიპარეს ბეჭდები.—კონდრატი ტიტიშვილს ცენტრალურ ბაზარში ჯიბიდან ამოაცალეს 170 მანეთი.

საქ. სამხედრო გზაზე

ივლისის შუა რიცხვებში არაჩვეულებრივად ადიდებულმა მდ. თერგმა გადალახა ნაპირები, დარიალის ხეობაში რამდენიმე ადგილას წალეკა სამხედრო გზატკეცილი. პირდაპირი მოძრაობა თბილის-კავკავს შორის შესწყდა.

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს მიერ მიღებული იყო სასწრაფო ზომები დანგრეულ ადგილების აღსადგენად. სამუშაოებზე გამოწვეული იყვნენ წითელარმიელები.

ეხლა გზა იმდენად შეკეთებულია, რომ 24 ივლისიდან თბილის-კავკავს შორის აღდგენილია პირდაპირი მოძრაობა მსუბუქ ავტომობილებისათვის. მძიმე ავტობუსებს დაზიანებულ ადგილებზე გავლა ჯერ არ შეუძლიათ. მუშაობა გზის საფუძვლიანად შესაკეთებლად გრძელდება.

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ცნობით, გზის კაპიტალურად შეკეთებისათვის საჭიროა 150.000 მანეთი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

26 ივლისს წმენდა ჩატარდება შემდეგ უჯრედებში

1. სავაგონო პარკი — სავაგონო პარკის შენობაში; შემმოწმებელი კომისია—ამხ. **რთველაძე, მირიმანოვი და თავდიშვილი.**
2. ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა კავშირი — საკუთარ შენობაში; შემმოწმებელი კომისია—ამხ. **თოდრია, არეშიძე და გალიპხაერი.**
3. 1-ლი სტამბა—საკუთარ შენობაში პლეხანოვის პროსპექტი, საღამოს 6 საათიდან; შემმოწმებელი კომისია—ამხ. **ფილია, რცხილაძე და სამოილოვი.**
4. ქიმიკოსები — კომუნალური ქ. № 119; შემმოწმებელი კომისია იმუშავებს ამხ. **იტრიევის, შავერდოვის და დემეტრაშვილის** შემადგენლობით.
5. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი—სასოფლო - სამეურნეო მუზეუმის შენობაში ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, საღამოს 6 საათიდან; შემმოწმებელ კომისიაში შედიან — ამხ. **კვანტალიანი, ნაფეტვარიძე და ჩესანიკი.**
6. საქართველოს ღვინო — გოგოლის ქუჩა № 63; შემმოწმებელ კომისიაში შედიან — ამხ. **ესაკია, შახსუვაროვი და ფხაკაძე.**
7. სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი და გლეხთა სასახლე — გლეხთა სასახლის კლუბში, საღამოს 6 საათიდან; შემმოწმებელი კომისია—ამხ. **ფურცხვანიძის, სტეფანოვის და ლავრენტიევის** შემადგენლობით.
8. ა.-კ. რკინის გზები მე-6 უბანი—საუბნო მუშათა კლუბში, საღამოს 5 საათიდან; შემმოწმებელი კომისია იმუშავებს—ამხ. **ცინცაძის, არუთინოვის და რ.-ზადეს** შემადგენლობით.
9. ფეხსაცმელების მოხელეთა კოლექტივი —ბამბის რიგი № 2, საღამოს 6 საათიდან. შემმოწმებელ კომისიაში შედიან—ამხ. **კუზნეცოვი, ჩიხრაძე და დარპინოვი.**
10. ადგილობრივი დეპო — პლეხანოვის სახელობის კლუბში; შემმოწმებელი კომისია —ამხ. **ყურულაშვილის, მიდკოს და კალაძის** შემადგენლობით.
11. ორთქლმავალთა დეპო — პლეხანოვის სახელობის კლუბში, დილის 10 საათიდან; შემმოწმებელი კომისია—ამხ. **ზაქრაძე, გაბერნკორნი და კესინოვი.**

—:—

საქ. სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის კომპარტიის ბიურო-კოლექტივი იუწყება, რომ დღეს, საღამოს 6 საათისათვის მოწვეულია პარტიისა და კომკავშირის ბიურო-კოლექტივების გაერთიანებული კრება.

კრებას აუცილებლად უნდა დაესწრონ პარტიის წევრები და კომკავშირელები.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო იუწყება, რომ დღეს, ნაშუადღევის სრულ 4 საათზე ჯგუფურ კრებებზე დასასწრებათ უნდა გამოცხადდნენ კომკავშირის ყველა წევრები და კანდიდატები. ჯგუფურ კრებებზე დასწრება შეუძლიათ უპარტიოებსაც.

ღრმად დამწუხრებული, დედა—ბარბარე, ბებია—ეკატერინე ჩხეიძისა, და თამარა ქმრით გრიშა გორგიაშვილი, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და ძვირფასი

ნადეჟდა (იმედა) ნიკოლოზის ასული ფარულავა

სამოქალაქო პანაშვიდი პარასკევს, საღამოს 7 ს., დაკრძალვა შაბათს 27 ივლისს ნაშუადღევის 3 საათზე (ჭავჭავაძის ქ. № 20) კუკიის სასაფლაოზე. (ე)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დეიდები: მარიამ ფუხაშვილისა შვილებით ირაკლი და ეთერით; ალექსანდრა ქმრით რომან ფიცხელაური შვილებით—დოდო და ოთარით; ნინა ქმრით—გიგუცა კანდელაკი და შვილებით რუსუდან და ქეთინოთი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და უსაყვარლესი

ნადეჟდა (ნადიკო) ნიკოლოზის ასული ფარულავა

დაკრძალვა შაბათს, 27 ივლისს ნაშუადღევის 3 სა თზე

დამწუხრებულნი: დედამთილი ელისაბედ კეკელიძისა შვილებით: ისაკი ცოლ-შვილით, გიორგი, ველანია და კატო ქმარ-შვილით, შვილიშვილი შუშანა, სიძე იულო რამიშვილით შვილებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის საყვარელი

პელაგია დიმიტრის ას. კეკელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზუგდიდში 27 ივლისს. 2681

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე დიმიტრი, შვილები: ვერა, ქსენია, დათიკო, კოსტია და ლეო კეკელიძეები, დედა მენიკი ჟორდანიასი, და ფუცუ ბერიძისა ქმარ-შვილით, სიძე ილია მეუნარგია შვილებით და შვილიშვილით იუწყებიან უძვირფასესი და დაუვიწყარი

პელაგია (ჭუჭუ) დიმიტრის ასული კეკელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 27 ივლისს, ზუგდიდში. 2681

თავზარდაცემული მშობლები ლექსო და ოლა შავიშვილები; ბებო, ნინო, ბებია სონა, დები ელიკო და ნათელა იუწყებიან საყვარელ

პატარა ოთარის

გარდაცვალებას. გამოსვენება 26 ივლისს, 4 საათზე, ბინიდან მე-2 პეტროვის შესახვევი № 2. 2682

კალისტრატე, მარია და ნოდარ ფირცხალაიშვილები, იასონ და ბაბულია ჯორბენაძენი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ახლობლებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

თედორე გვაჩის-ძე მაქაცარია

დაკრძალვა 26 ივლისს, ს. ნიგოეთში. 2684

გულდამწვარი შვილები სერგო და პელაგია,რძალი იულიანა, შვილიშვილი ალექსანდრე ლორიები მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს საყვარელი დედის

ნინო ლორიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 26 ივლისს, 4 ნახ. საათზე, ძნელაძის მე-2 ჩიხი № 5. 2685

თავზარდაცემული დედა ნატალია, დები: კატო და ანიჩკა, ძმები: ილია, ვარლამი, კირილე და აკაკი კაკაბაძენი ცოლ-შვილით მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ, რომ მათი უძვირფასესი

ქსენია კაკაბაძის

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 28 ივლისს, 4 საათზე სოფ. კუხში. (ე)

საზაფხულო ბაღი (ყოფ. „არტო")

დღეს, მოსკოვის დრამატიული ბალეტი

ნ. ს. გრემინას ხელმძღვანელობით

30 GIRLS 30

ახალი დადგმები

ქ. გოლეიზოვსკის, ა. მესერერის, ე მეის, ნ. ხოლფინის და გ. გევორქიანის.

კონფერანსიე: ქ. კარეევი. მუსიკალური ნაწ. გამგე ო. ნ. ტიხონოვა. დასაწყისი სად. 9 საათზე.ნ. 3024

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო აპოლო — ჯალმა — მხატვრული სურათი ოსტროვსკის ქალის მონაწილეობით

საზაფხულო ეთერი — ტარიელ მკლავაძის საქმე — ნატა ვაჩნაძის და მიქაბერიძის მონაწილეობით

საზაფხულო პალასი — მეწისქვილის შვილი — გრანდიოზული ფილმი (ლომონოსოვი)

მინიონი — ნახტომი — მხატვრული კომედია, რეჟ. იოგანსენი

პროგრამის გარეშე სახკინმრეწვის ჟურნალი № 15

მალე—თეთრი მხედარი, ჯამბაზ ჟორჟის ბენეფისი

დღეს, 26 ივლისიდან, კინო-თეატრებში

საზაფხულო აპოლო — მინიონი

ჯალმა — ოსტროვსკის ქალის და კოზელსკის მონაწილეობით.

მხიარული კომედია ნახტომი — რეჟ. იოგანსენი

პროგრამის გარეშე სახკინმრეწვის ჟურნალი № 15

მალე—ჯამბაზ ჟორჟის ბენეფისი. 3034

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობა სთხოვს ხელისმომწერლებს, კონტრაგენტებს და რწმუნებულებს

გაზეთი გამოიწერონ

აუცილებლად ახალი თვის დაწყებამდე, რადგან ქაღალდის სიმცირის გამო გაზეთის ზედმეტი რაოდენობა არ დაიბეჭდება და, ცხადია, ვერავის გაეგზავნება.

„კომუნისტი-"ს გამომცემლობა.

პროფორგანიზაციების საყურადღებოდ

საერთაშორისო წითელი დღისათვის

გამოვიდა და იყიდება

ე. წულაძე

ომი და მეორე ინტერნაციონალი

აკ. ჭუმბურიას წინასიტყვაობით. გვ. 65, ფასი 30 კაპ.

საქ. სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის დადგენილება № 16

1929 წელი 21 ივლისი.

საქართველოს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან მიმდინარე წლის 22 ივლისიდან უშუალოდ მოეწყოს ინვალიდთა კოოპერატიული ხე-ტყის და საამშენებლო მასალის დამამზადებელი ინვალიდთა კოოპერატიული საწარმოო არტელი „აღორძინება".
2. ახალი არტელის „აღორძინების" მოწყობასთან და დაარსებასთან ერთად ყველა დანარჩენ ინვალიდთა კოოპერატიულ არტელებს აეკრძალოს ხე-ტყის დამზადების წარმოება.

სახ. კომისარის მოადგილე **ვ. ცინცაძე.**

2683 საქმეთა მმართველი **დ. კალანდაძე**

სია

საქართველოს ომის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის ექსპლოატაციის ქვეშ მყოფ განყოფილებების და საწარმოოთა

1. მატყლ-საქსოვი სახელოსნო . . . სომხის ბაზარი № 30
2. ტყავეულობის სახელოსნო . . . კომუნალური ქ. № 62
3. ხე-ტყის ექსპლოატაცია . . . ს. დუუბგაში
4. შეშის „ კახეთში, ბორჯომის ხაზზე და აჭარისტანში.
5. სარძეო-საგასტრონომიო № 1 მაღაზია ჟორესის ქ. № 9
6. გამაგრილებელი წყლებით ვაჭრობა მაღაზია № 5 . . . . პლეხანოვის პრ. № 98
7. სარძეო მაღაზია და საწყობი № 4 . მუხრანის ქ. № 21
8. სას.-სამ. პროდ. და საკომ. მაღ. № 2 ახალი ბაზარი
9. „ „ „ „ „ № 7 მუხრანის ბაზარი
10. კოლონიალურ პარფიუმ. მაღაზ. № 8 ბნელი რიგი
11. ა.-კ. პირველი სახელმწიფო ცირკი . ელბაქიძის დაღმართი

კომიტეტის ჴ|მ. მდივანი **ენუქიძე**

ნ. 3033

ონის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. გამყრელიძე

აცხადებს, რომ ის 29 ივლისს 1929 წ. დილის 11 საათზე, ქ. ონში, ალექსანდრე ვარლამის ძე ჩიკვილაძის ეზოში, პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მისსჩიკვილაძის ქონებას: ერთ სართულიან საცხოვრებელ სახლს ორი ოთახისაგან შემდგარს, დახურულს ყავრით, ხის შენობას სამი კედლისაგან შემდგარს, რომლებიც მიდგმულია კალისტა კიბერიძის და ვარლამ ზაქრაძის საცხოვრებელ სახლზე და ერთ თელის ბეღელს, აგებულს ქ. ონში საზოვე საკუთეზე,—ა. ენუქიძის ქუჩაზე,—შეფასებულს 600 მან., აგრეთვე საოჯახო ნივთებს: ტანისამოსის და ბუფეტის შკაფებს, საკერავ მანქანას, ბამბუკის და რკინის საწოლებს, 39 ნახ. მეტრ ფართალს და სხვ. შეფასებულს 189 მან. 2680

ონის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. გამყრელიძე

აცხადებს, რომ 30 ივლისს, დილის 10 საათზე, სოფ. სომილოში, **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ალექსანდრე ვარლამის-ძე ჩიკვილაძის მოძრავ ქონებას: ტანისამოსის შკაფს, კამოდს, გრამაფონს და სხვა საოჯახო ნივთებს, ცხენს, ერთ-უღელ ხარს, ერთ ძროხას და უშობელს, აგრეთვე მუხის ბეღელს, ცაცხვის ოთახს და თელის დიდ კოხ-ბოსელს—გადასატანად, შეფასებულს 2091 მან. რაჭა-ლეჩხუმის მაზრის ფინგანის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქრებალოს უბნის სახალხო სასამართლოსაგან 6 ივლისს 1929 წ. თარიღით № 1700 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე.

საცხოვრებელი სახლის საჯარო ვაჭრობა მოხდება სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 311, 312 მუხლების დაცვით. 2680

იყიდება მსუბუქი ავტომობილი „ბენცი" 29 ცხენის ძალიანი და მატყლის პრესი.

ნახვა და პირობების გაგება შეიძლება დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კალინინის ქუჩა № 54 ამხ-ბა „მწყემსი". ნ. 3030

ექიმი ა. დ. პეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 2002, გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ ნინო სოლომონ ჩხეიძის ასულის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3032

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 785 გაცემული 1925 წელს ხაშურის ცხრაწლედის მიერ არიადნა სარიდანის ასული დეკანოსიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3031

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი გაცემული ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიიდან და შვიდწლედის დამთავრების მოწმობა № 375 გაცემული ქუთაისის მეხუთე შვიდწლედის მიერ ქეთევან იოსებ ზაქარიაძის ასულის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3032

საქ. ს.მ.უ.ს. საფეიქრო ზეთის და საპნის სახელმწიფო ტრესტი „საპონ-ზეთი"-ს

დასკვნითი ბალანსი

1928 წ. I-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი.

მუხლების დასახელება.	თანხა				%% ბალანს ჯამთან
	კერძო		საერთო		
I. ქონება.					
1. შენობები და ნაგებობანი	454.514	39			12,58
2. მანქანები და გაწყობილება	612·864	36			16,97
3. იარაღი	4.632	84			0,13
4. ინვენტარი	36.427	23			1,01
5. ტრანსპორტი	8.696	—			0,24
6. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრ. გასაუმჯობესებ. ფონდის ქონება	38.616	77	1.155.751	59	1,07
II. სათადარიგო გაწყობილება.			68.659	83	1,90
III. დაუმთავრებელი ნაშენი.			14.395	73	0,40
IV. დაუმთ. კაპიტალური რემონტი.			2.543	46	0,07
V. მასალები:					
1. ნედლეული და ძირითადი მასალა	659.042	47			18,24
2. სათბობი მასალა	1·861	01			0,05
3. სარემონტო საამშენ. მასალა	26.215	86			0,73
4. დამხმარე მასალა	100 122	15			2,74
5. მასალა და სათბობი გზაში	53.721	92	840.963	41	1,49
VI. დაუმთავრებელი წარმოება.			125.811	01	3,48
VII. ნახევარ ფაბრიკატები.			144.926	62	4,00
VIII საქონელი და მზა ნაწარმი:					
1. საქონელი და მზა ნაწარმი საწყ.	367.456	38			10,17
2. საქონელი და მზა-ნაწარმი საკომისიოთ გაცემული	49.634	40	417.090	78	1,38
IX. ფულადი სახსარი:					
1. კასსა (ნაღდი ფული, ჩეკები, შემოსული ამანათები, მარკები და სხვა)	6.009	38			0,17
2. მიმდინარე ანგარიშები	9.915	44	15.924	82	0,28
X. ფასიანი და პროცენტიანი ქაღალდები:			747	60	0,02
XI პაიები და აქციები (სხვა საწარმოთა):			37 611		1,04
XII. ანაბარი					
ანაბარი რესპუბლ. გრძელვადიან კრედიტის ბანკში	41.867	32	41.867	32	1,16
XIII. მიღებული თამასუქები და დოკუმენტები:					
1. მიღებ. თამასუქები (პორტფელში)	15 000				0,42
2. პროტესტ ქმნილი თამასუქები	4·811	14			0,14
3. ბანკში განაღდებული „	464.684	51			12,87
4. ფასდადების და სხვა ასაღები საბუთები	3.819	01	488.314	66	0,11
XIV. ანგარიშ სავალდებულო თანხები:			690	46	0,02
XV. დებიტორები:					
1. მუშა-მოსამსახურენი	11.255	62			0,31
2. მომწოდებლები და მოიჯარენი	96.553	44			2,67
3. მყიდველები და დამკვეთლები	32.190	79			0,89
4. სხვა და სხვა დებიტორები	36.232	19			1,00
5. საეჭვო დებიტორები	65.510	17	241.742	21	1,82
XIV. მომავალი წლების ხარჯები:			15.319	82	0,43
ბალანსი			3612.360	32	100,0

პასივი.

მუხლების დასახელება.	თანხა				%% ბალანს ჯამთან
	კერძო		საერთო		
I. კაპიტალები:					
1. საწესდებო	1.236·52	40			34,23
2. საამორტიზაციო	56.388	24			1,56
3. სარეზერვო (სათადარიგო)	53.969	47			1,49
4. საწარმოს გაფართოების კაპიტალი	97.385	03	1.444.264	14	2,70
II. ფონდები:					
1. მუშა-მოსამსახურ. ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებ. ფონდი	42.414	26			1.17
2. მუშათა გამოგონების ფონდი	274	51			0,01
3. სპეციალური ფონდები	837	37	43.526	14	0,02
III. რეზერვები:					
1. საეჭვო ვალების რეზერვი	65.132	62			1,80
2. ფასდაკლების რეზერვი	39.096	03	104.228	65	1,08
IV. ბანკები:					
1. სპეციალური მიმდ. ანგ-ში უზრუნველყოფილი საქონლით	80.233	33			2,22
2 ბანკები განაღდებულ თამასუქებით	464,684	51	544.917	84	12,87
V. გაცემული თამასუქები:			658.773	31	18,24
VI. კრედიტორები:					
1. მუშა-მოსამსახურენი	7.802	82			0,22
2. მომწოდებლები და მოიჯარენი	31.534	89			0,87
3. მყიდველები და დამკვეთლები	414.287	06			11,44
4. გადაუხდელი გადასახადები და გამოსაღებები	31.880	22			0,88
5. სხვა და სხვა კრედიტორები	08.603	74	594.108	73	3,01
VII. შედეგები:					
1. მოგება საანგარიშო წლისა	222.541	5	222.54	51	6,19
ბალანსი			3612.360	32	100,0

ბალანსის იქითა მუხლები

მუხლების დასახელება	თანხა				%% ბალანს ჯამთან
	კერძო		საერთო		
I. უზრუნველსაყოფად მიღებული თამასუქების პირნი			172.510		
II. ფასეულებანი, მიღებული საწინდრათ და უზრუნველსაყოფ.:					
1. საგარანტიო თამასუქები	16.650		16.650		
ბალანსის იქითა ჯამი			189.160		
სულ			3.801.520	32	

ბალანსის გარეშე:
1. მიწა—61.209,5 კვ. მეტრი

მუხლების დასახელება	თანხა				%% ბალანს ჯამთან
	კერძო		საერთო		
I. გაცემული საგარანტიო თამასუქები			172,510		
II. საწინდრათ აღებულ ფასეულებათა პატრონნი	16.650		16.650		
ბალანსის იქითა ჯამი			189.160		
სულ			3.801.520	32	

მოგება ზარალის ანგარიში

დებეტი

მუხლების დასახელება	თანხა				%% ბალანს ჯამთან
	კერძო		საერთო		
1. სავაჭრო ხარჯები			130.732	19	16,43
2. საერთო სადმინ. ხარჯები			75.263	38	9,46
3. გადახდილი პროცენტები: ა) მოკლე ვადიან კრედიტებზე	69.013	74	69.013	74	8,67
4. ზარალი მასალების, ნახევ. ფაბრიკატ. და საქონლის დანაკლისიდან			33.929	53	4,26
5. ზარალი უიმედო ვალების ჩამოწერით			7.397	44	0,93
6. ანარიცხი საეჭვო ვალებ. რეზერვში			54.482	21	6,86
7. გადახდილი ჯარიმა, საურავი და სხვა			11.582	62	1,46
8. საქონლის და მზა ნაწარმის ფასდაკლების რეზერვში ანარიცხები			39.096	03	4,91
9. სამასალო ფასეულებათა შეფასების შემცირ. ზარალი, ღირსების დაკარგვის თუ დაბალ ხარისხში გადაყვ. გამო			91.178	15	11,46
10. კონსერვაცია ქმნილ საწარმოთა შენახვა			991	72	0,13
11. ზარალი საწარმოთა შეჩერების გამო			24.290	88	3,05
12. ზარალი გასულ ქონებიდან			4.540	18	0,57
13. ანარიცხები ს. მ. უ. ს. განკარგულებათა თანახმად			13.511		1,70
14. შემთხვევითი ხარჯები			17.036	25	2,14
ჯამი			573.045	32	72,03
სალდო: წმინდა მოგება			222.541	51	27,97
ბალანსი			795.586	83	100,0

კრედიტი

მუხლების დასახელება.	თანხა				%% ბალანს ჯამთან
	კერძო		საერთო		
1. მოგება საქონლის და ნახევარ ფაბრიკატ. რეალიზაციიდან			515.079	82	64,74
2. მოგება მასალის რეალიზაციიდან			4.529	49	0,57
3. მოგება სამუშაოთა და დაკვეთების შესრულებიდან			56.764	25	7,14
4. მიღებული პროცენტები: ბ) ანგარიშსწორ. და თამასუქებით	49·970	67	49.970	67	6,28
5. მასალის, ნახევ. ფაბრიკატების და საქონლის მეტობა			55.832	44	7,02
6. მოგება ჩამოწერილ უიმედო ვალების დაბრუნებიდან			329	79	0,04
7. მოგება საეჭვო ვალების რეზერვის გამოუყენებელ ნაშთის გადარიცხვით			1.183	68	0,15
8. მოგება გას. წლ. ფასდაკლ. გადარიცხვ. გამო			84.056	30	10,56
9. მიღებული საურავი და ჯარიმა			2.499	72	0,31
10. შემოსავალი საიჯარო მუხლებიდან			3.631	50	0,46
11. დივიდენდი, მიღ. სხვა წარმ. მონაწ.			1.989	—	0,25
12. შემთხვევითი შემოსავალი			19.720	17	2,48
ჯამი			795.586	83	
სალდო: წმინდა ზარალი					
ბალანსი			795.586	83	100,0

მოგების განაწილება

მუხლების დასახელება		სულ	
წმინდა მოგება		222.541	51
გადარიცხულია საშემოსავ. გადასახად.	10 %	22.254	15
ნაშთი		200.287	36
„ ტეხნიკ. სასწავლ. ფონდში	3 %	6.008	62
ნაშთი		194.278	74
„ მეცხვარეობის ფონდში		6.114	76
ნაშთი		188.163	98
„ მუშ. მოს. ყოფ. ცხ. გაუმჯ. ფონდ.	10 %	18.816	40
„ სარეზერვო კაპიტალში	10 %	18.816	40
„ გრძელ ვადიან კრედიტ. ფონდში	10 %	18.816	40
„ საწ. გაფართოებ. კაპიტ.	25 %	47.041	—
„ საწარმოთა ხელმძღ. პერსონალის წამახალის. ჯილდოს ფონდ.	0,25%	470	40
„ ხაზინის სასარგებლოდ	44,75%	84.203	38

ეს ბალანსი დამტკიცებულია საუწყებათა შორისო კომისიის მიერ (ოქმი № 6—1929 წ. 10 ივნისის თარიღით) და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

ტრესტის მმართველი **დ. რუხაძე**

მთავ. ბუღალტერი **ლ. რეინშრეიბერი**

ს.მ.უ.ს. მთავარი ბუღალტერი **პ. ა. ჯანელიძე**

ტირაჟი—42.621

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.